„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№4 (320)
აპრილი
2025 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეშვიდე წელი "LITERATURULI MESKHETI"

სამეფო სახლის წევრების გადასახლება რუსეთში

ვახტანგ გურული

(დასაწყ. წინა ნომერში)

არსებობს ივან ლაზარევის მკვლელობის მეორე ვერსიაც – მარიამ დედოფლისეული. მარიამ დედოფლის მიცემული ჩვენების მიხედვით, მოვლენები ასე განვითარებულა: 1803 წლის 19 აპრილს, დილით, დედოფალთან მივიდა გენერალ-მაიორი ივან ლაზარევი ოფიცრებისა და კაზაკების თანხლებით. გენერალი დედოფლის საწოლ ოთახში შევიდა და მას გააცნო პაველ ციციანოვის განკარგულება მისი და მისი შვილების რუსეთში სასწრაფოდ გაგზავნის შესახებ. დედოფალმა ითხოვა, – ერთი საათი მაინც დამაცადეთ, ბავშვებმა გაიღვიძონ და მეც გამოვალო. ლაზარევი გაბრაზდა და კაზაკებს უბრძანა საწოლიდან გადმოეყვანათ დედოფალი და ბატონიშვილი თამარი. თვითონ ლაზარევმა დედოფლის საწოლი ოთახი დატოვა. ოფიცრებმა და კაზაკებმა დედოფალს ხელი სტაცეს და საწოლიდან ჩამოთრევა მოუნდომეს. მაშინ ხანჯალმომარჯვებულმა **ჯიბრაილ ბატონიშვილმა** შესძახა: ***სანამ ცოცხალი ვარ, დედაჩემს არ გაორევინებთო.*** თამარ ბატონიშვილმაც თახჩიდან ხანჯალი ჩამოიღო, მოიმარჯვა და მუქარით მიმართა რუსებს. ხმაურზე ლაზარევი ხმალამოღებული შეიჭრა დედოფლის საწოლ ოთახში. მარიამ დედოფალმა ხანჯალს ხელი სტაცა. ეს რომ ლაზარევმა დაინახა, დედოფალს ხმალი მოუქნია და მხარში დაჭრა. დედოფალს მეორე ჭრილობა გენერლის თანმხლებმა **კაჭკაჭოვმა** მიაყენა. დედოფალს აღარ ახსოვს, ვინ მიაყენა მარცხენა ხელის ზურგზე მესამე ჭრილობა, რადგან გონება დაკარგა. იგი თბილისის პოლიცმაისტერმა **სურგუნოვმა** მოასულიერა, ხოლო ასლან ორბელიანმა საბანზე დააწვენინა და გარეთ გააყვანინა. საბანში გახვეული დაჭრილი დედოფალი დიდ ყუთში მოათავსეს და ყუთი რუსმა ჯარისკაცებმა ქალაქის გასასვლელისაკენ წაიღეს. ვერის ხიდთან დაჭრილ დედოფალსა და მის გამცილებელ რაზმს სომეხი **ექიმი თათულა** წამოეწია, რომელმაც დედოფალს ჭრილობები შეუხვია.

მარიამ დედოფალი 1803 წლის 16 ივნისს რუსეთის იმპერიის სინოდისადმი გაგზავნილ თხოვნაში აღნიშნავდა, რომ გენერალ ლაზარევის მკვლელობის ამბავი მან ვერეს ხიდთან ექიმ თათულასაგან შეიტყო. როგორც ჩანს, უფრო სანდო მარიამ დედოფლის ვერსია უნდა იყოს – დედოფალს ივან ლაზარევი არ მოუკლავს, გენერალი არც რომელიმე ბატონიშვილის მიერაა მოკლული. თანამედროვეებმა, – ქართველებმაც და რუსებმაც, კარგად იცოდნენ, რომ ივან ლაზარევი აზნაურმა **ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა** მოკლა. სიტყვები, – „ხელი დედოფალს?!“ რომელიც დედოფლის საწოლ ოთახში მყოფებმა სავსებით გარკვევით გაიგონეს, სწორედ ნიკოლოზ ხიმშიაშვილს ეკუთვნოდა. გენერლის მოკვლის შემდეგ ნიკოლოზ ხიმშიაშვილი ფანჯრიდან გადახტა და თბილისი დატოვა. ნიკოლოზ ხიმშიაშვილი რომ გენერალ ლაზარევის მკვლელი იყო, ადასტურებდა სამეგრელოს დედოფალი **ნინო (გიორგი XII-ის ასული)** 1817 წელს საქართველოს მთავარსარდალ **ალექსეი ერმოლოვისათვის** გაგზავნილ წერილში. დედოფალი ნინო აღნიშნავდა, რომ სიკვდილის წინ ნიკოლოზ ხიმშიაშვილს მისთვის უთქვამს, ივან ლაზარევი მე მოვკალიო. 1818 წელს არქიეპისკოპოსი **პაფნუტიც** ნიკოლოზ ხიმშიაშვილს ლაზარევის მკვლელად მოიხსენიებდა. ნიკოლოზ ხიმშიაშვილს ლაზარევის მკვლელად მიიჩნევდა **ალექსანდრე ორბელიანიც**. ივან ლაზარევის მკვლელობის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა თბილისში. ხმა დაირხა, რომ იმპერატორი ქალაქის დარბევისა და მისი მცხოვრებლების დასჯის ბრძანებას გასცემდა. პაველ ციციანოვს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ ხალხი დაეწყნარებინა. მარიამ დედოფალი, როგორც აღვნიშნეთ, იმ დღესვე, 1803 წლის 19 აპრილს, გაამგზავრეს თბილისიდან. ოფიციალური ვერსიით, დედოფლის სახლის გაჩხრეკისას რუსებმა იპოვეს გადამალული თოფები და დამბაჩები. **სერგეი ტუჩკოვი** 1803 წლის 19 აპრილს, ადრე დილით, შეუდგა ციციანოვის ბრძანების შესრულებას. ბაგრატ ბატონიშვილთან ერთად თბილისიდან გასული გენერალი მცხეთაში ჩავიდა. გზაში ტუჩკოვს ლაზარევის მკვლელობის ამბავი აცნობეს. კიდევ რამდენიმე საათიც და **ასლან ორბელიანმა** მცხეთაში ჩაიყვანა მარიამ დედოფალი შვილებითურთ. ღირსებააყრილ დედოფალს, როგორც მკვლელს, ვორონეჟში გადასახლება მიუსაჯეს. ციციანოვმა ბრძანება გასცა, რომ მარიამ დედოფლისთვის დანა არ მიეცათ სადილის დროსაც კი. ციციანოვმა მცხეთაში ერთი ღამით შეჩერებულ გენერალ



ძველი თბილისი

ტუჩკოვს თავისივე პოლკიდან ერთი ბატალიონი გამოუყო. რუსებს ცნობა ჰქონდათ, რომ მარიამ დედოფალმა გაქცევის მცდელობის წინ თაგაურის ხეობის ოსებს 1.000 მანეთი გაუგზავნა და, მისი რუსეთში გადასახლების შემთხვევაში, გზის ჩაკეტვა სთხოვა. 1803 წლის 4 მაისს დუშეთის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი ციციანოვს მოახსენებდა, რომ აზნაურმა **გიორგი ყაზბეგმა** მას ასეთი რამ უთხრა: ***„ჩვენმა დედოფალმა თქვენი გენერალი მოკლა, ორი დღის შემდეგ არც შენ იქნები ცოცხალი!***“ მიუხედავად ამგვარი განწყობისა, გიორგი ყაზბეგს დედოფლის გათავისუფლება არ უცდია. 1803 წლის 20 აპრილს გენერალ-მაიორი სერგეი ტუჩკოვი მცხეთიდან გავიდა, დუშეთი და ანანური გაიარა, კავკასიის მთავარი ქედი გადალახა და სტეფანწმინდაში ჩავიდა, სადაც ერთი დღე შეისვენეს. გამცილებელთა რაზმს 30 კაზაკი შეუერთდა. კაზაკებმა ამბავი მოიტანეს, რომ დარიალის ხეობაში შეიძლება ჩასაფრებას წასწყდომოდნენ. მეორე დღეს ტუჩკოვმა სწრაფი მარშით იარა, ხოლო მესამე დღეს, დილით, დარიალის ხეობაში შევიდა. ტუჩკოვმა რაზმი მზადყოფნაში მოიყვანა, ხოლო მებარაბნეებს საბრძოლო მარშის შესრულება უბრძანა. ჩასაფრებული ოსები აჩქარდნენ და რუსული საბრძოლო მარშის გაგონებისთანავე ცეცხლი გახსნეს. ტუჩკოვისთვის ცნობილი გახდა, თუ საიდან ისროდნენ. თერგზე არსებულ ორივე ხიდთან რუსები ძლიერ ჩასაფრებას წაწყდნენ, თუმცა შეჯახების შემდეგ მათ გზა გაიკვლიეს და იმავე დღეს სოფელ ბალთას მიაღწიეს. მეორე დღეს დედოფალი მარიამი შვილებითურთ ვლადიკავკაზის სიმაგრეში ჩაიყვანეს, სადაც ისინი მოზდოკის კომენდანტმა **პროტოპოპოვმა** გადაიბარა. ვორონეჟში ჩასვლის შემდეგ მარიამ დედოფალი მონასტერში გამოკეტეს. რვა წლის შემდეგ მას უფლება მისცეს, რომ მოსკოვში გადასულიყო საცხოვრებლად.

დარეჯან დედოფლის გადასახლება რუსეთში

მარიამ დედოფლის რუსეთში გადასახლების შემდეგ პაველ ციციანოვი დარეჯან დედოფლის საქართველოში დროებით დატოვებას დასთანხმდა. ამის მიზეზი დედოფლის შერყეული ჯანმრთელობა იყო. მიუხედავად ავადმყოფობისა, დარეჯან დედოფალი არ წყვეტდა რუსეთის ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებას. მის გარშემო თავს იყრიდნენ რუსული მმართველობით უკმაყოფილო თავადები, მათ შორის გამოირჩეოდნენ თავადი **იოანე ორბელიანი** და მისი სიძე თავადი **სოლომონ თარხნიშვილი.** სოლომონ თარხნიშვილი ციციანოვით უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა თავადი შამშადილუსი მოურაობიდან გადააყენა. იგი არც მალავდა, რომ საქართველოს მთავარსარდლის დაუძინებელი მტერი იყო. სოლომონ თარხნიშვილი სარგებლობდა თავისი სიმამრის ავტორიტეტით და რუსული მმართველობისადმი მტრულად განწყობილ ძალებს უყრიდა თავს. ციციანოვი გრძნობდა, რომ მის წინააღმდეგ ორგანიზებული ძალა მოქმედებდა. მალე საქართველოს მთავარსარდლის ეჭვი დადასტურდა. ციციანოვს შეატყობინეს, რომ იოანე ორბელიანი, სოლომონ თარხნიშვილი და კიდევ რამდენიმე თავადი რუსეთის იმპერატორთან თხოვნის გაგზავნას აპირებდნენ. თხოვნის შინაარსი ასეთი იყო: უნდა მომხდარიყო საქართველოს უზენაესი მთავრობის რეორგანიზაცია და ახალ მთავრობაში უნდა შესულიყო მხოლოდ ოთხი ქართველი თავადი და ერთი რუსი მოხელე, რომელიც მთავრობის თავმჯდომარეც იქნებოდა. ცხადია, ციციანოვს თავადების თხოვნის პეტერბურგში გაგზავნა ხელს არ აძლევდა. მან თავადების გასაგონად განაცხადა, რომ იმპერატორისათვის თხოვნის გაგზავნა შეესაძლებელი იქნებოდა მას შემდეგ, რაც გამგზავნელებს ექნებოდათ მთხოვნელთა წერილობითი მინდობილობა იმის ახსნა-განმარტებით, ვინ და რა მიზნით აგზავნიდა თხოვნას. იმავდროულად, ციციანოვის ბრძანების თანახმად, საქართველოს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელმა ექსპედიციამ მოსახლეობას ამცნო, რომ ერთ თხოვნაზე რამდენიმე კაცის ხელმოწერა დაუშვებელი იყო. იმპერატორთან თხოვნის გაგზავნის გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა ჯერ ჩამცხრალი არ იყო, როდესაც დარეჯან დედოფალმა პაველ ციციანოვს თბილისიდან სოფელ მუხრანში გაშვების ნებართვა სთხოვა, სადაც იგი მუხრანელი ბაგრატიონების მამულში თავის შვილიშვილთან აპირებდა ცხოვრებას. წასვლის მიზეზად დედოფალმა შავი ჭირის საფრთხე დაასახელა. ციციანოვმა კარგად იცოდა, რომ შავი ჭირი მხოლოდ მოგონილი მიზეზი იყო, მაგრამ დედოფალს მუხრანში წასვლის ნებართვა მაინც მისცა. თავის დაზღვევის მიზნით საქართველოს მთავარსარდალმა მუხრანში განლაგებულ ნარვის დრაგუნთა პოლკის ესკადრონის მეთაურს, პოლკოვნიკ **უმანცევს** უბრძანა, თვალყური ედევნებინა დარეჯან დედოფლისათვის. ჩავიდა თუ არა მუხრანში, დარეჯან დედოფალმა ქართლის თავადების გადაბირება დაიწყო. მან თავადებს ამცნო, რომ მალე საქართველოზე გამოილაშქრებდა ირანის შაჰი, ხოლო ლეკთა ხუთასკაციანი რაზმი მუხრანში შემოიჭრებოდა და მას კავკასიის მთიანეთში გაიყვანდა. დედოფლის დავალებით იმავე ხმებს ავრცელებდნენ ქუთაისში მყოფი მისი ვაჟები, **იულონ** და **ფარნავაზ ბატონიშვილები.** ციციანოვს მოახსენეს, რომ თავადი **ამირეჯიბი** შვილთან ერთად დარეჯან დედოფალს იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილებთან აკავშირებდა. ამირეჯიბსა და მისი შვილზე მეთვალყურეობა დაწესდა, მაგრამ ორივემ გაქცევა მოასწრო. დარეჯან დედოფლის მიერ ქართლის თავადების მიმხრობის მცდელობამ ციციანოვი დაარწმუნა იმაში, რომ დედოფალი რუსეთში აუცილებლად უნდა გაესახლებინათ. თავისი გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს მთავარსარდალი უკვე ღიად საუბრობდა. მალე ციციანოვს აცნობეს, რომ პეტერბურგში მყოფმა მირიან ბატონიშვილმა საქართველოდან სპარსულ ენაზე დაწერილი ანონიმი ავტორის წერილი მიიღო. ანონიმი ავტორი მირიან ბატონიშვილს აცნობებდა, რომ დედამისი, დარეჯან დედოფალი ავად იყო და რუსეთში გამგზავრება არ შეეძლო. წერილის ავტორი მირიან ბატონიშვილს სთხოვდა, ყოველი ღონე ეხმარა დედოფლის საქართველოში დასარჩენად. წერილის ბოლოს, თითქოს, სხვათა შორის, აღნიშნული იყო, რომ ციციანოვის მხრიდან დევნის გამო **ბატონიშვილი თეიმურაზ გიორგის ძე** ხუთას მომხრესთან ერთად საქართველოდან ირანში გადაიხვეწა. ირანში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი ასევე ცდილობდა წინ აღდგომოდა დარეჯან დედოფლის რუსეთში გადასახლებას. ბატონიშვილს კარგად ესმოდა, რომ თუ დარეჯან დედოფალი სამშობლოს დატოვებდა, ქართლ-კახეთში მეფობის აღდგენის იდეა სამუდამოდ დასამარდებოდა. 1803 წლის 1 ივლისს ალექსანდრე ბატონიშვილმა თავრიზიდან წერილი გაუგზავნა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრ I-ს და დედოფლის საქართველოში დატოვება სთხოვა. 1803 წლის 10 ივლისს ალექსანდრე ბატონიშვილმა უკვე ციციანოვსაც გაუგზავნა წერილი. ბატონიშვილი საქართველოს მთავარსარდალს წერდა, რომ თბილისში დაბრუნებაზე თანახმა იყო, მაგრამ იმიტომ არ ბრუნდებოდა, რომ არ იცოდა, რა ბედი ეწეოდა მას. ალექსანდრე ბატონიშვილი ციციანოვს ბრალს სდებდა იმაში, რომ მისთვის წერილის გაგზავნა პირადად არ იკადრა და წერილი თავად ერისთავს დააწერინა. ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ იგი რუსეთში წასვლაზეც თანახმა იყო, მაგრამ კარლ ცნორინგის, ვიქტორ კოჩუბეისა და პაველ ციციანოვის საქციელმა გადააფიქრებინა. საქართველოს მთავარსარდალი ალექსანდრე ბატონიშვილთან ურთიერთობის მოგვარებას ჯერ კიდევ მანამდე ცდილობდა, ვიდრე ბატონიშვილი რუსეთის იმპერატორსა და პირადად მას მიმართავდა. 1803 წლის 31 აგვისტოს ციციანოვი ალექსანდრე ბატონიშვილს სწერდა, რომ თუ ბატონიშვილი რუსეთში გამგზავრებაზე თანახმა იქნებოდა, მას იქ შესაფერი პატივით მიიღებდნენ. ციციანოვი ალექსანდრე ბატონიშვილის თანმხლებ თავადებსა და აზნაურებს ჰპირდებოდა, რომ საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, იმპერატორის წინაშე უშუამდგომლებდა, რათა ეს უკანასკნელნი ჩადენილი დანაშაულისათვის არ დასჯილიყვნენ. იმ თავადებსა და აზნაურებს, რომლებიც ირანში დარჩებოდნენ, საქართველოს მთავარსარდალი მამულების ჩამორთმევით ემუქრებოდა. ციციანოვის 1803 წლის 31 აგვისტოს წერილი ალექსანდრე ბატონიშვილთან აზნაურმა **ზაქარია ჯორჯაძემ** წაიღო. გზის ფულად მას 100 მანეთი მისცეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ზაქარია ჯორჯაძეს წინათ ირანიდან ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები მოჰქონდა დარეჯან დედოფალთან. ამჯერადაც ალექსანდრე ბატონიშვილმა მას დარეჯან დედოფალთან ოთხი წერილი გამოატანა. ერთგულ აზნაურს

გაგრძელება მე-5 გვ. ▶

ბესიკ კაიშაური

ჟუჟუ ბებო

სანამ ტაძარში შევიდოდა, თვალებმინაბული დადგა კართან და სულის ენით, მდუმარედ ილოცა, სამჯერ პირჯვარი გადაიწერა, თავსაკონი გაისწორა და ტაძრის კედელს მოწიწებით ეამბორა, მერე დარბაისლური ნაბიჯებით შედგა ფეხი უფლის სასახლეში და არისტროკრატული დახვეწილობით შევიდა ტაძარში. ანალოღიაზე დაბრძანებულ ხატს თაყვანი სცა, ეამბორა, რაღაცას შეევედრა და ის-ის იყო, მესანთლესთან სეფისკვერების შეძენა დააპირა, რომ პატარა გოგონები მიეგებნენ.

– „აი, ეს არის ჟუჟუ ბებო!“ – უთხრა ერთმა მეორეს და ჩაეხუტა მოხუცს.

– გენაცვალოს ჟუჟუ ბებო! შენ კი გიცნობ, მაგრამ ამ ბავშვს რომ არ ვიცნობ? გამაცანი! – გულში ჩახუტებულს უთხრა მოხუცმა და ორივეს ხელი მოხვია.

– ჰო, ეს ჩემი დეიდაშვილია, ქეთი, ქალაქიდან მესტუმრა, გაიცანით! – არტისტულად უთხრა თვალებცქრიალა გოგონამ და მარჯვენა ხელისგული დეიდაშვილისკენ გაიშვირა.

– ქეთი თუ ქეთევანი? – დაზუსტება სცადა ჟუჟუ ბებომ.

– რა ვიცი, ქეთი! ასე ვიცნობთ ჩვენ! – დაბნეულად გაიღიმა გოგონამ.

– მის მფარველ ანგელოზს სახელს ნუ დავუმახინჯებთ, ბებო გენაცვალოთ! ქეთევანია ეს ლამაზი გოგონა და შეეწიოს მისი წმინდა მოსახელე! თქვა და ახლად გაცნობილს მიმართა:

– ქეთევან, შვილო, შენ პირველად ხარ ჩვენს სოფელში?

– არა, შარშან ზაფხულშიც ვიყავი, არდადეგებზე, თუმცა, ეკლესიაში პირველად ვარ, – უხერხულად გაიღიმა გოგონამ.

– ჰოდა, თუ პირველად ხარ, რა უნდა ქნა? უნდა ჩაიფიქრო რამე, ხომ ასეა? – თქვა ჟუჟუ ბებომ, მერე მესანთლეს მიუბრუნდა, საბავშვო ლოცვების წიგნი შეიძინა და კვლავ მიმართა გოგონას: – რაღაც ხომ ჩაიფიქრე? ახლა შენი ჩანაფიქრის ახდენის დროა, ვინ უნდა დაგეხმაროს?

– ღმერთი? – დაბნეულად იკითხა გოგონამ.

– ჰო, ღმერთი, მაგრამ რომ დაგეხმაროს, ჯერ მასთან საუბარი უნდა ისწავლო, აი, ეს წიგნი დაგეხმარება ღმერთთან საუბარში, – უთხრა და ლოცვის წიგნი მიაწოდა. მერე მობილურის ნომერი სთხოვა და დასძინა, – დაგირეკავ, დღესასწაულებს მოგილოცავ ხოლმე, ხომ შეიძლება?

– კი, როგორ არა! – გაეღიმა ქეთევანს და თავისი მობილურის ნომერი ჩააწერინა კეთილმოსურნე მოხუცს.

– ჰოდა, ეგრე, ვიმეგობროთ, ერთმანეთი მოვიხსენიოთ ლოცვებში, მაგას რა ჯობია! – მხიარულად წარმოთქვა ჟუჟუ ბებომ და კიდევ ერთხელ ჩაეხუტა ახლადგაცნობილ გოგონას. მერე მრევლს გადახედა და თავისი მადლიანი ღიმილ-სალამი თითოეულს ყვავილებივით ჩამოურიგა.

დიდი სევდა და ნაღველი იდგა ჟუჟუ ბებოს თბილი ღიმილის მიღმა. მეუღლე და ორი ვაჟკაცი შვილი მიწას მიაბარა და მათი სულების საოხად იღვწოდა. ახლაც, წირვის დასასრულს, ჟუჟუ ბებომ ჯვარცმასთან მიიტანა თავისი მძიმე ჩანთა, ამოალაგა პურ-ღვინო, ზეთი, მარილი, თავისი ხელით დამზადებული ნაირ-ნაირი საჭმელ-ნუგბარი და მოძღვარს სთხოვა, პანაშვიდი გადაუხადე ჩემს მიცვალებულებსო, თან ქაღალდზე ჩამოწერილი სია მიაწოდა.

– ყველა შენი მიცვალებულია? – გაუღიმა მამა მოსემ.

– სწორი შენიშვნაა, მამაო! ყველა ჩემი არ არის, მაგრამ... მაინც ჩემია! მისიანებს რომ არ ახსენდებათ, ვიღაცამ ხომ უნდა იზრუნოს ახლადშესვენებულებზე, ჰა? – ღიმილით თქვა მოხუცმა და ირიბად ყველას შეახსენა სხვაზე ზრუნვის საღვთო სათნოება.

– ღმერთმა შეგიწიროს! – უთხრა მოძღვარმა და პანაშვიდის მსახურება დაიწყო.

ყველაფერი რომ მორჩა და მრევლიც დაიშალა, ჟუჟუ ბებოსთან ახალგაზრდა გოგო და ბიჭი მივიდნენ და სთხოვეს ტაძრის ფონზე ფოტოს გადაღება.

გაიოცა მოხუცმა და ჰკითხა:

– „ბებო გენაცვალოთ, რაში გჭირდებათ ჩემისთანა ბებერის ფოტო?“

– ჩვენ საპატრიარქოს გაზეთიდან ვართ და, დავალებული გვაქვს ხანდაზმულ მრევლთან ინტერვიუ ჩავიწეროთ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, რამდენიმე კითხვას დაგისვამთ, – მოწიწებით უთხრა ჟურნალისტმა გოგომ და ჩამწერი მოიმარჯვა.

– კი, მაგრამ... მე რატომ შემარჩიეთო? – გაკვირვებულმა იკითხა ჟუჟუ ბებომ, თუმცა უარი არ უთქვამს, უხერხულობისგან თავშლის გასწორება დაიწყო და პირმოცინარი დადგა ტაძრის ფონზე. რამდენიმე ფოტო გადაუღეს, მერე სკამზე ჩამოსხდნენ. გოგონამ ქაღალდზე ჩამოწერილ კითხვებს გადახედა და ჰკითხა:

– რატომ დადიხართ ეკლესიაში?

– ეკლესიაში იმიტომ დავდივარ, რომ... მინდა ღმერთთან ახლოს ვიყო აქაც და იქაც! – უთხრა და გაუღიმა.

– უფრო კონკრეტულად, რას გაძლევთ თქვენ ეკლესია? – კითხვა დააზუსტა ჟურნალისტმა.

– მეხმარება, რომ უკეთესი ვიყო, სიბოროტე აღარ ჩავიდინო. ზოგჯერ ცუდს რომ გავიფიქრებ ვინმეზე, ვბრაზდები... ჩემს თავზე ვბრაზდები და ღმერთსა ვთხოვ, შენდობა-შენევნას, რომ მსგავსი ცუდი აზრები მომაშოროს.

– როგორ ფიქრობთ, შეგცვალათ ეკლესიამ? – მორიგი კითხვა დაუსვა კორესპონდენტმა.

– კი, უფრო მეტად მიდრეკილი გამხადა სიკეთისკენ. თუ რამე მაქვს ორი, სულ იმას ვფიქრობ, ვის აკლია, ვის სჭირდება, რომ ის მეორე მას ვაჩუქო, კიდევ ისა, რომ... ვცდილობ ისე მოვიქცე, როგორც ქრისტე გვარიგებს სახარებით, რა ვიცი... – მშვიდად და მკრთალი ღიმილით უპასუხა მოხუცმა.

– ჟუჟუ ბებო, თქვენს სოფელში სამი ათასზე მეტი მოსახლეა, ეკლესიაში კი კანტი-კუნტად დადიან, ამაზე რას იტყვით, მათ არ უნდათ ღმერთთან ყოფნა?

– ეე! სულ მაგას არ ვდარდობ, შვილო! ჩემ თანასოფლელებს ვერაფრით ვერ შევაგნებინე, რომ მომზადება გვმართებს ღმერთთან შესახვედრად. აბა, ბაღ-ვენახიო, საქონელიო, შრომაო, ოჯახიო... და ღმერთისთვის დრო და ადგილი აღარ რჩება მათ გულებში. აგერ, დღეს მოხუცი გოგია პირველად მოვიდა ეკლესიაში და როგორ მიხარია, რომ იცოდე, შვილო! – სახე სათნო ღიმილით გაებადრა ჟუჟუ ბებოს.

– რას ურჩევდით მათ, ვინც ჯერ არ მოსულა ეკლესიაში?

– რჩევა საკმარისი არ არის, უნდა ვიმოქმედოთ ქრისტიანებმა. დღეს პატარა გოგონა გავიცანი ჩვენს ტაძარში, თორმეტი წლისაა და ისიც პირველად მოვიდა ეკლესიაში; ლოცვების წიგნი ვაჩუქე, მისი მობილური ჩავიწერე, სხვა ქალაქიდანაა და შეიძლება ვეღარც ვნახო, მაგრამ დავურეკავ ხოლმე, მივულოცავ დღესასწაულებს, ვილოცებ მასზე, ვიმეგობრებ, რჩევებსაც მივცემ და იქნებ შევაყვარო ეკლესია. ეს იცით რამდენს ნიშნავს?

– რამდენს? – გაეღიმა ჟურნალისტს.

– ბევრს! წარმოიდგინეთ, ეს გოგო თუ ეკლესიის წევრი გახდა, ღმერთსა და მოყვასს შეიყვარებს, ცოდვებს შეებრძოლება და შეიძულებს, საღვთო მადლით აივსება, უკეთესი მეუღლე და დედა იქნება, მარილი და სანთელი იქნება გარემოცვისთვის და რა მოხდება? ... გაბრწყინდება საქართველოც!

– თქვენ ამას როგორ შეძლებთ, ჟუჟუ ბებო? – ცოტა ირონიაც ერია ჟურნალისტის გაკვირვებაში.

– მე როგორ შევძლებ, შვილო! ამას ღმერთი აკეთებს ჩვენი ხელით. მარტო თხოვნა და ლოცვა რისი მაქნისია, თუ არ იმოქმედე. მეც ვცდილობ, ვიმოქმედო და, რაც არ შემიძლია, ღმერთს მივანდობ.

– ჟუჟუ ბებო, ცოტა უხერხული კითხვა რომ დაგისვათ, შეიძლება? – მორიდებით ჰკითხა გოგონამ.

– მკითხე, გენაცვალე! – გაუღიმა მოხუცმა.

– გარდაცვალების არ გეშინიათ?

– სიკვდილისა კი მეშინია, მაგრამ გარდაცვალებისა – არა! – მოკლედ უპასუხა ჟუჟუ ბებომ, მაგრამ ჟურნალისტის დაბნეულ ღიმილზე შეამჩნია, რომ ნათქვამს ვერ მიუხვდა გოგონა და დასძინა, აკი გითხარი, შვილო, ქრისტესთან ყოფნა მინდა-მეთქი, ჰოდა, სანამ ხორცში ვართ ადამიანები, ვერ ვახერხებთ ქრისტესთან სრულყოფილად ყოფნას, ასე არ არის? ამქვეყნიური საზრუნავი გვაშორებს უფალს, გარდაცვალების შემდეგ კი მხოლოდ ქრისტესთან ვიქნები. ახლა დასკვნა შენ გააკეთე, შვილო, გარდაცვალება კარგია თუ ცუდი.

– კი, მაგრამ...

– ვიცი, შვილო, ვიცი, რომ ამას მკითხავ, რა გარანტია მაქვს, რომ ქრისტესთან მოვხვდები, ჰო? აბა, რა გარანტია მექნება, ბებო გენაცვალოს, მაგრამ ამ სიბერეში სხვა რა საფიქრალი მაქვს, ვემზადები გარდაცვალებისთვის. დარჩენილ დროს არ ვკარგავ, ვუფრთხილდები, სულ ვესაუბრები უფალს, სულ ვცდილობ მისი ნება და მცნებები ავასრულო, სულ ყველაფრისთვის მადლიერი ვარ, უფლის. ვცდილობ, ქრისტეს თვალებით ვუყურო მოყვასს და სამყაროს... დანარჩენი უფლის ნებაა! – თქვა ჟუჟუ ბებომ და პირჯვარი გადაიწერა.

– „ჟუჟუ დეიდ, არ წავიდეთ?!“ – შუახნის შაოსანმა ქალბატონმა გამოსძახა ზურგსუკნიდან და ჩვენი რესპონდენტიც აფორიაქდა.

– ვაიმე, შვილებო! უნდა ბოდიში მოგიხადოთ, მეჩქარება! შვილმკვდარმა დედებმა საკურთხი უნდა დავურიგოთ გაჭირვებულებს, მერე ავადმყოფთან ვარ მისასვლელი, ლოგინადაა ჩავარდნილი და ზიარებისთვის უნდა მოვამზადო... რა ვქნა, შვილო, ყოველი წუთი გასაფრთხილებელია და ყოველი სიკეთე მოსასწრებია. აი, მე რომ ახლა დავიზარო და ის ავადმყოფი გარდაიცვალოს, ღმერთი ხომ მომთხოვს პასუხს ამ სიზარმაცისთვის, ჰა? – ღიმილით უთხრა ჟუჟუ ბებომ ახალგაზრდა ჟურნალისტებს და დაემშვიდობა.

...

„დღეგრძელობის საიდუმლო აღმოვაჩინე!“ – უთხრა ჟურნალისტმა გოგონამ მეგობარს.

– რა აღმოაჩინე?

– დღეგრძელობის საიდუმლო.

– და რაში მდგომარეობს ეგ საიდუმლო? – გაეღიმა ბიჭს.

– მისიის შეგრძნებაში. აი, უყურე, ჟუჟუ ბებო ოთხმოცდაათი წლისაა და სულაც არა ჰგავს სხვა მიყრუებულ ბებრებს, ჯანსაღად აზროვნებს, ენერგიულია, სახარებისეული გონიერი ქალწულივით გეგმავს, მოქმედებს, აორგანიზებს სხვადასხვა ღვთისნიერ აქტივობებს, ზრუნავს სხვებზე, მოწყალებას გასცემს, არ აცდენს წირვა - ლოცვას, ლოცულობს, მარხულობს, ეზიარება და ბევრ ახალგაზრდაზე მეტს აკეთებს... როგორ?.. რატომ?.. რისთვის?...

– რისთვის? – კითხვა გაიმეორა ბიჭმა.

– მისია აქვს და ამ მისიის შესასრულებლად სასიცოცხლო ძალები ეძლევა ღვთისგან.

– რა მისია?

– იცი, ერთი ლამაზი ამბავი გამახსენდა: ზღვას თევზები გამოერიყა ნაპირზე. პატარა გოგო იდგა და წყალში ყრიდა მომაკვდავ თევზებს. კაცმა დაინახა და ჰკითხა: „შვილო, რატომ წვალობ, ამდენ გამორიყულ თევზს შენ ხომ ვერ გადაარჩენ?“ გოგონამ შეხედა ირონიულად მოღიმარ კაცს და მშვიდად უპასუხა: „რომელი თევზიც დავაბრუნე ზღვაში, გადარჩენილები არიან!“ – ამ გოგონას მაგონებს ჟუჟუ ბებო, თავისი ღვთიური მისიით, ქრისტესთან აბრუნებს „ზღვიდან“ გამორიყულ სულებს.

– ამით თვითონაც ემზადება ღმერთთან შეხვედრისთვის.

– ჰო, ეს არის გონიერი ქალწულობა, შენი საქმით და ურთიერთობებით სულის ლამპარი სულ ანთებული გქონდეს და ელოდებოდე ქრისტესთან შეხვედრას.

მაია ხოფერია

წვიმს და...

წვიმს და გული გამიწყალა წვიმამ,
წვიმს და ვფიქრობ, გადაიღებს როდის?
ადრე რასაც სულ ნამცეცა მწყინდა,
ახლა ცრემლი უმიზეზოდ მომდის!...
ადრე თითქოს მიხაროდა მცირე,
ამ სამყაროს სიყვარული მჭირდა,
დღეს ჩვენ შორის დაწერილა ტირე,
ვინაც ჩემ ბედს, ჩემს მაგივრად ჭრიდა!...
მარტმა იცის უსაშველო წვიმა,
ნაადრევად აფეთქება ნუშის,
მენატრები ისე, როგორც წინათ,
და ცივ ხელებს ვაფათურებ სულში!...
რა აზრი აქვს ფერდაკარგულ წუთებს,
რა აზრი აქვს, სისხლის ნაწერ პწკარებს,
მოგონებებს ღამეს თეთრად ვუთევ
და საკეტიც შევუცვალე კარებს!...
ცხრაკლიტულში გამოვკეტე გული,
ცისფერ ტბისკენ არ გამექცეს მზერა,
ასაფრენად შევამზადე სული,
არ გამიშვებ მარტოს არსად – მჯერა!...
ცაზე ვუცქერ მონაცრისფრო რიჟრაჟს,
სველ ქუჩაზე მიბარბაცებს მთვრალი,
მხოლოდ ერთს გთხოვ, არ ჩამთვალო
გიჟად,
წვიმს და წარსულს გადავავლე თვალი!...

***

გულში ქარიშხალი, სულში ქაოსია
ველარ დავაღწიე თავი ლაბირინთებს,
ფიქრი სინანულზე – ახლა რა დროსია...
მე თუ ავტირდები – შენ ვინ
გაგიღიმებს?!...
დღეა გადამღლელი – სულ არ მიხარია,
სხვა თუ გეყვარება – მე არ დავმცირდები,
ადრე გავეცლები დროის რია რიას
ფრთები რომ დამემსხვრეს,
მაინც ავფრინდები!!!
უნდა გადმოგხედო ერთხელ ცის თაღიდან,
მიწამდე დაშვება რთულია არც ისე,
მითხარი, რას ეძებ? მითხარი – რა გინდა?!
ეკლიან ვარდებს თუ – გათოშილ
ნარცისებს!...
მაგრამ შენ დაფრინავ ჩემსავით
უბრალოდ,
გაფრენა ყოფილა სულისთვის წამალი,
ჩვენ ვერ წაგვშლიან, ვერასდროს
უკვალოდ,
მიზანი ერთია, მიზეზი მრავალი!!!
სულში სიმშვიდეა, გარეთ ქაოსია,
თავი დავაღწიე მგონი ლაბირინთებს,
ფიქრი სინანულზე ახლა რა დროსია
მე თუ ავტირდები – შენ სხვა გაგიღიმებს!!!

***

ეს გზა როდესმე შენთან მომიყვანს,
მაგრამ სათქმელი მექნება სულ სხვა,
სისხლით დაწერილ ლექსებს მოგიტან,
რომელიც დღემდე წარსულით მსუსხავს...
დიდი ხანია მაგ თვალთა მზერა,
სხვა თვალის ფერზე დაგეშილია,
მათი ციმციმის სიყალბის გჯერა,
მაგრამ მე მაინც არ მეშინია...
გეტყვი – რომ ღირდა ცხოვრება შენთვის,
გეტყვი – რომ ღირდა სიცოცხლე ამად,
ჩვენ ერთმანეთის სიშორე შეგვშლის,
ლოდზე დამსხვრეულ ტალღას რომ
ვგავართ...
ეს გზა როდესმე შენთან მომიყვანს
და გზას ექნება ბილიკიც, ხიდიც,
ლექსით ნაწამებ ფურცლებს მოგიტან,
სადაც გხატავდი, მაგრამ ვერ გშლიდი !!!...

ქეთევან დედოფალს...

დედოფალო, საქართველოს სინდისო,
ცის ტატნობზე ღვთისმშობელს გვერდს
უმშვენებ,
დედამიწას, თურმე გული მისდისო,
როცა ცოდვას უგნურები უშვებენ!...
არ გინდოდა შენ შირაზის ვარდობა,
კახეთის გულს ამშვენებდი სიწმინდით,
საქართველო გლოვობდა და დარდობდა,
და ლოყაზე სილას თავად ვიწნიდით!...
დედოფალო, ეკლიანი გვირგვინით,
მკერდაჩეხილს სისხლი მიწას ალბობდა,
შენი სულის უკვდავებით გვივლიდი,
შენი რწმენის მტკიცე ძალა გვათბობდა!...
ვინ გაკვალა ბილიკები უვალი,
ან სამშობლო ან შირაზის ვარდობა,
შენ სიკვდილით აირჩიე უფალი,
შენ წამებას ურჯულონიც დარდობდა!...
დღეს ტაძარში ხატებს დასდის მირონი,
ცრემლის კვალსაც ეს კედლები ინახავს,
დედოფალო – საქართველოს წმინდანო,
ისტორია შენს ქალობას გვინახავს!!!

***

მე მახსოვს, იმ დღეს დუელში მომკლეს,
შიგ მკერდში მომხვდა ნასროლი ტყვია,
არ გავაგრძელებ და ვიტყვი მოკლედ,
სიკვდილით გული არ დამწყვეტია.
აზრი არ ჰქონდა ჩემს გამარჯვებას,
სისხლით შეღება სვავმა ნისკარტი,
არც ამიღია ზემოთ მარჯვენა,
რადგან ვიცოდი, რომ არ გიყვარდი.
როცა სიცოცხლეს მწუხრი აქრობდა,
ცაში ჩიტებმა შეჰქმნეს განგაში,
როგორც შენ თვალზე ცრემლი არ გქონდა,
ისე არ მქონდა ტყვია ნაგანში.

ინგა ლობჯანიძე

ფრთა გაშალე არწივისა

გადახედე ამ სამყაროს,
შენ შვილი ხარ თვით უფლისა,
და არ მისცე წუთისოფელს
დრო დაცემის, დაჯაბნისა.
გულში ლომი აღრიალე,
ფრთა გაშალე არწივისა,
აბა, სისხლი რა სისხლია
თუ ის ძარღვში არ ჰყივისა.
თუ სურნელს არ დაატარებს,
გაზაფხულის დარივითა,
ხორციც მხოლოდ ხომ ლეშია,
თუ ოფლს არ ჰღვრის ხარივითა.
გული?! გულიც არც რა არის,
თუ იქ ღმერთი არა ზისა,
თუ არა აქვს ერთგულება
ძმის და ცოლის ლამაზისა.
არემარეს თუ არ აფრქვევს
ოქროს სხივებს, თბილი მზისას,
თუ არ დააქვს სიყვარული
სამშობლოს და მოყვასისა...
განა სადმე მხარე არის,
დარი ჩვენი მთა-ბარისა?!
ჩვენი დიდი წინაპრების
დავითის და თამარისა ...
და ვინ მოსთვლის მათ სახელებს,
შეწირულთ და განაწირთა,
ვინც სამშობლოს სადიდებლად,
მძიმე ჯვარი თავს იტვირთა...
განა სადმე არის ერი
მცველი უფლისა კვართისა,
ამდენ სიწმინდის მქონენი
და ამგები ტაძრებისა.
სამფერი და იდუმალი
შემოქმედი ანბანისა,
„ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანა,
მშობელი დიდ რუსთველისა,
დე, ფარავდეს ეს ღვთის ძალა,
ჩემს ერს აწ და მარადისა!!!

ტაო–კლარჯეთი

სწავლობ, მაგრამ ვერ ისწავლე,
„ძმაო“ ჩვენი ანა-ბანა,
ეს ტაძრები დასანგრევად
აუგია ქართველს განა?!
ამ მიწაზე ჩემს წინაპარს
უცხოვრია ოდითგანა!!!
აქ უმღერდა გმირ ვაჟკაცებს
ქართლის დედა იავნანას.

აქა მკიდა და ლეწავდა
მამა - პაპა პურის ყანას,
აქ წურავდა საბარძიმედ
ღვინოს ძირ-ძველ ვაზისგანა.
დიდი რწმენით აშენებდა
ხახულს, ხანძთას, ტბეთს და ბანას,
ოთხთას, იშხანს, პარხალს, შატბერდს,
ოპიზას და დოლისყანას.
ტაო-კლარჯეთს უგალობდა,
ზარს რეკავდა ოშკიდანა,
და ვინ მოსთვლის ამ მიწაზე
წმინდა ტაძრებს ამისთანას.
მათ დიდებას ქედს უხრიდა,
დიდ მეფეთა ოქროს ხანა,
ახლა ვუცქერ გულმოკლული,
სული მეწვის ცოდვისგანა.

ტაო წყალში ჩაძირულა,
ცრემლი დასდის თვალთაგანა,
ანგელოზნი უგალობენ
ჭირისუფლად თავს ადგანან.
ჩამოშლიათ წმინდა მკერდი,
მიტოვებულთ კაცთაგანა,
ძალას აძლევთ ზართ გუგუნი
ზარზმის წმინდა ტაძრისგანა.

ყურს უგდებენ მესხთა სუფრულს
აჭარლების განდა-განას,
ამდენ რამის გადამტანნი
მაინც რა ამაყად დგანან.
დგანან რწმენად და იმედად
თავის მიწის გასატანად,
დგანან თავის მძიმე ჯვარის
გოლგოთაზე ასატანად.

ნურვინ ხარობს, მათ ნანგრევებს
თუ გათელავს ფეხთაგანა,
ცოდვას ყველას მოჰკითხავენ,
აქ თუ არა, იმ ქვეყანას!!!

ღვთით კურთხეულო მხარეო

მესხეთო, ედემს ვადარე
მე შენი არე-მარეო,
მადლობა, რომ რაჭის შვილი
შენს კალთას შემიფარეო.
გულში ჩამიკარ, გამათბე,
და მეც მზეს შეგადარეო,
რაჭას გამსგავსე მშვენებით
მასსავით შეგიყვარეო.
თუმცა ვაების ცრემლები
შენ უფრო მეტი ღვარეო,
ფარად ედექი სამშობლოს,
გოლგოთა გაიარეო.
შავ ჩოხით დამშვენებულო,
სისხლით ნაფერო არეო,
რამდენი ნაღველით სავსე
ფიალა გამოსცალეო.
რამდენჯერ გმირთა აკვანთან
გითენებია ღამეო,
რამდენი კარგი ვაჟკაცი
შენს მიწას მიაბარეო.
ურდოს უღელქვეშ გმინავდი,
ბევრი დღე განვლე მწარეო,
ჯვარს გულით დაატარებდი
ფარ - ხმალი არ დაყარეო.
არ გაახარე მომხვდური,
დაგვტოვე პირმცინარეო,
რწმენით ნაჭედი ისარი
მტრის გულში გაატარეო...
ვუცქერი შენს ნაიარევს, –
ცრემლები ვერ დავმალეო,
შენს მკერდს ნაფენი იები
ვთვალე და ვერ დავთვალეო...
და მაინც ფეხზე დადექი,
ჩემო ტანჯულო მხარეო,
უბეს მალული წალამი
კვლავ რწმენით გაახარეო.
ააწკრიალე ზარები,
ღვთის მადლი გადმოღვარეო,
ღვთისმშობლის კალთა ჭრილობებს
მალამოდ დააფარეო...
ჩემო ლამაზო მესხეთო,
შენს მიწას ვენაცვალეო,
შენი ლამაზი ცის ფერი,
მე სხვაში ვერ გავცვალეო.
ვერ შეველიე შენს ლურჯ მთებს,
ფიქრებით დავიარეო,
ამაგიანი კალთები
გულს ხატად დავიფარეო.
ღმერთო, ამ ნაკურთხ მიწაზე
გვახარე, გვამზიანეო,
ხანძთაში ჯვარი დაგვწერე,
კლარჯეთში გვაზიარეო.

ფახრ-ად-დინ გორგანი



რედაქციისაგან:

„ლიტერატურული მესხეთი“ აგრძელებს მსოფლიო პოეტური შედევრის, სპარსული სამიჯნურო რომანის „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის ლექსად გარდათქმული ვარიანტის ბეჭდვას, რომელიც მწერალმა ანზორ სიფრაშვილმა გარდასახა XII საუკუნეში გადმოქართულებული პროზაული ტექსტის მიხედვით. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ თხრობითი წინადადებების პირდაპირ ლექსად გარდაქმნა შეუძლებელია, რადგან პოეზიის კანონები (რიტმი, რითმა, დაბალი და მაღალი შაირი და სხვ.) დიდად განსხვავდება პროზაულისგან. აქედან გამომდინარე, „ვისრამიანის“ პოეტური ტექსტიც, რა თქმა უნდა, განსხვავდება პროზაულისგან და ბევრ გამოთქმას, აზრს, შედარებასა თუ სხვ., რაც ანზორ სიფრაშვილის მიერ გალექსილ ტექსტში გვხვდება, მკითხველი XII საუკუნეში თარგმნილ და 1964 წელს გამოცემულ რომანში ვერ იხილავს. შეიძლება ითქვას, ანზორ სიფრაშვილი „ვისრამიანის“ პროზაული ტექსტის მიხედვით ახალ, დიდ და მშვენიერ პოემას ქმნის, რომელიც წაკითხვისას მკითხველში დიდ სიამოვნებას აღძრავს.

ამასთან სიამოვნებით დავძენთ, რომ ეს ახალი, დიდი და ლამაზი პოემა, რომელიც, ვიმედოვნებთ, ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი გახდება, პირველად ჩვენი გაზეთის გვერდებზე იბეჭდება.

წინა თავების მოკლე შინაარსი: მას შემდეგ, რას შაჰმა მოაბადმა თავისი ცოლის, ვისის, ღალატი შეიტყო, მან იგი და მისი საყვარელი რამინი თავიდან მოიშორა, მაგრამ ვისის სიყვარული მაინც ვერ დაძლია და ისიც და რამინიც კვლავ სასახლეში დააბრუნა.

ვისრამიანი

რამინისაგან ვისის მოყვანა მარავს და მოაბადისგან გამხიარულება და მეჯლიში

სხდეს სამივე მხიარულად: რამინ, ვისი, მოაბადი,
ვითარც სამნი მნათობნი და ვით ოქრონი თვითნაბადი,
მათზე ითქმის ესე სიტყვა – მე ვარ და ჩემი ნაბადი,
თავადაც ხომ ძვირფასნი და თან ძვირფასთა რამ საბადი.

შეუნდეს სამივ ერთმანეთს რაც შეცოდება ჰქონია,
გულს ჯანგი ჩამოიხოცეს, თქვეს კარგად გასაგონია,
სხდეს მხიარულნი, კმაყოფით, არცა რად დასაღონია,
სამივემ ამო სიტყვანი ერთმანეთს გაურონია.

ჯდა შაჰინშა ტახტსა ზედა, ვისი უჯდა მას გვერდითა,
შვენებითა ვითარცა მზე, სავსე გულით და მკერდითა,
ყოვლის ქალთა დასთა მჯობი – სხვაგვარად არ დავწერდითა,
მოაბადი მხიარული, ხალვათობით, მოფერდითა.

ხელთ ჰქონდა ვისსა ბროლისა ჭიქა, წვრილადა სმიდესა,
ხან ტუჩსა მიაკარებდის, ხანდისხან დაისხმიდესა,
მოაბად უხმო რამინსა, უმზადებს ტახტის კიდესა,
რამეთუ რამინისაგან ჩანგის კვრას მოისმიდესა.

რამინი იყო მეჩანგე დიდი და მეტად ცნობილი,
ხშირად აიღის საკრავი, მიჯნურთ ფიქრთ მისანდობილი,
მას ზედა შაირთ მღერებლად იყო ოსტატად ხმობილი,
მისის ლხინითა ხარობდის მრავალი მისი ძმობილი.

აწ რა ჩანგი ხელთ აიღის, მყის სარკმელნი გაიღიან,
ვინმე რამეს თუ იტყოდის – სიტყვა უკუ წაიღიან,
ლხინში ხელი უშეშდებათ, კერძი ვერ გადაიღიან,
სიამოვნით ფრინველთაცა ერთობ სულნი დაიღიან.

იწყო რამინმა შაირთა სამიჯნუროთა თქმანია,
ვისსა გულს მოხვდის, უხარის გულსა ჩამწვდომი ხმანია,
პირი ვარდისებრ უყვავდის, დასთმო სასმლისა სმანია,
მისგან თქმა იამებოდის, მდუმარებს მთელი ხანია,

მერმე თქვის: „ – ნუ შეიწირვებ, გულო, შენ დაწყლულებულო,
არ ქვა ხარ და არცა რკინა, გულო, ტანჯვითა ქებულო,
ნუ ემდურები მიჯნურსა, მისგან არ დავიწყებულო,
რა ვქნა თუ ტრფობით დამარცხდი არვისგან დამარცხებულო.

იხარებდე და ლხინობდე, აწ ერთი წამი შენია,
აიღე ჭიქა ღვინითა, ის ხომ სუფრისა მშვენია,
დააგდე ჭირი ყოველი, რისთვის არ მოგილხენია,
ესე მბრუნავმა სანუთრომ ღამეს არჩია დღენია.

უწყოდე: ყოველი ჭირი მუდამ იცვლება ლხინითა,
ეტლი თუ დღეს დაგამძიმებს, ხვალ ბედს მოგართმევს სინითა,
შენდობას გთხოვს და სიკეთეს განვდის ვით ჭიქას ღვინითა,
ერთხელაც მოვა შენი დღე, გაგახარებს გვირგვინითა.

გყოფს ყოვლის ჭირსგან აზატად, იქნები გულმხიარული,
საწუთრომ რაც მოგარგუნა – ჭირი, ღია თუ ფარული,
იგივ საწუთრო შეგიცვლის, გახდება ის მოყვარული,
ოდენ სთქვა – ღმერთსა დიდება და ეშმაკსა კი არული.

რა შაჰინშამ ღვინო შესვა, და მის ტვინსა მიეფერა,
ცნობას ღვინო მოერია, ძარღვი წითლად შეეფერა,
რამინს მღერას კვლა შესთხოვდა, ვითარც ძმა და არ მეფე რა,
მანაც ხათრი არ უტეხა, თხოვნა ძმისა შეეფერა:

„საროს შევხედე მავალსა, გავესაუბრე მთვარესა,
წალკოტსა შეველ სავალსა, იათ და ვარდთა არესა,
ვიცი ყოველი წარვალსა, ვინღა დარჩება გარესა,
მხოლოდ ტრფობა არ ჩავალსა ამაოების მხარესა.

წალკოტს შიგან დათესილი დიდი სიყვარული ვნახე,
ვარდი ვნახე შვენიერი, ეკლის ღობე გადავლახე,
ზამთარ-ზაფხულ დაუჭნობი, არ უთქვია სიტყვა მკვახე,
კაეშნის გამქარვებელი, მიჯნურთათვის იყო მახე,

შევავედრე მისად გული, საკუთრად მის სიყვარულსა,
საუკუნოდ მივცემ ჩემს თავს ტრფობას თუნდა მოპარულსა,
დღე და ღამე მის ჭვრეტაში ველტვი გრძნობას დაფარულსა,
ამით იშვებს თვალი ჩემი, ამითა ვგრძნობ სიხარულსა.

კაცს შურის თვალი ვერას ვნებს იმდენს, რასაც ვნებს თავადა,
ვინ ქვეყნად რისი ღირსია – იღებს კარგად თუ ავადა,
ავსა თუ სჩადის მასაცა საქმე წაუვა შავადა,
მე ტრფობით არად ვარგივარ არცა მგლად, არცა კრავადა“.

შაჰინშას ესე სიმღერა ესიამოვნა, ეხარა,
ვისისა ტრფობა სტანჯავდა, მართლად–არ იყო მკვეხარა,
აწ უფრო მეტად აენთო, მის წინა თავი ეხარა,
მხოლოდ მასზედა ფიქრობდა, მისთვისა ვარდი ეხარა.

მოუნდა – ვისმა მოართვას ღვინო ოქროსა ფიალით,
იქნებ მან ჭირი გაჰყაროს, აღარ იტანჯოს ტრფიალით,
ვისიმაც მყისვე მოართვა თვალთა ელვისებრ ციალით,
მერე შეჰკადრა სიტყვანი სიცილითა და ტკრციალით:

„ – ჰე, ხელმწიფეთა ხელმწიფევ! ათასსა წელსამც მივოდე,
ვითარ შენ გინდა, ყველასთვის ინათობებდე, სხივობდე,
შენსა ბრძანებათ ვმორჩილებთ, მეც აროდეს ვარშივობდე,
ლომსა ლომობა გეკუთვნის, არწივი ხამს არწივობდე.

რაცა გწადია, რასაც იქმ – მთლად ღმერთისაგან სრულია,
ჩვენთვის ესრეთ სმა ჰამოა, მტრისათვის დია მტრულია,
გულითა გლოცავ, მეფეო, არა ვარ დაზაფრულია,
ერთი თხოვნა მაქვს მცირედი, ინებე, ამისრულია:

თუ მიბრძანებ და იკადრებ– ძიძამაც გაიხაროსა,
აქამდე დია უყვარდი, აწ უფრო შეგიყვაროსა,
უხმე და აქავ მოვიდეს, შეგვხედოს მზეს და მთვაროსა,
შენზედ მლოცველმა, ერთგულმა გულს დარდი გადიყაროსა“.

მოაბადმაც ბრძანა, უხმეს, აღასრულეს მისი ნება,
ძიძა იქვე დასვეს სკამზე, არ დაიწყეს დახანება,
გვერდთ დაუჯდა ვისიც ძიძას, ზის, თავი არ დაანება,
ხოლო შაჰი მოაბადი რამინს ამას ეუბნება:

„ – შენ მწდე იყავ და ღვინოსა სხმიდი და მოგვართმევდია,
მით გული გამიხალისე, გადამიყარე სევდია,
ოდეს მოყვარე მოართმევს – ღვინო მაშინ დარდს ხევდია,
მეცა მეამა მოწვდილი, მინდა რომ კვლა ვნახევდია“.

ხოლო რამინმა რა შესვა, ვერ მალავს გულში ნადებსა,
გრძნობს რომ მის გულში ეს ღვინო ტრფობას უმეტეს ბადებსა,
თვალს აღარ ჰკიდებს არცა მწვადს, არც პურს და არცა ქადებსა,
ვისისა ღვინოს მიართმევს, ჩუმად ხელზე ხელს ადებსა:

„– ჰე, ულევო სიხარულო, აჰა, ჩემგან ღვინოს სმიდი,
მე მოგართვი ესე თასი, მისსა ძალას გამოსცდიდი,
გამახარე სიხარულით, დე, სამუდმოდ მე მიცდიდი,
მყისვე მომკლა, ოდეს თასსა შენი ბაგით გამოვცლიდი.“

ვისმა მალულად შეჰღიმა, მას შეანათა თვალები,
უთხრა: „ – ღმერთმანი, მართალ ხარ, სიტყვა სთქვი არნამთრ-
ვალები,
ღმერთმან ნურასდროს გაგხადოს ვით მთვარე ფერნამცხრალები,
ნუ დაგილევდეს სიხარულს, არ გყავდეს განამწყრალები.

რა სული გვდგა ნურასოდეს მოვიკლებდეთ სიხარულსა,
შენს თავს ჩემსას არას ვარჩევ თვით ჩემს სულსა ესდენ კრულსა,
ჩემს სახელს ნუ დაივიწყებ ნურც ცხადს, ნურცა დაფარულსა,
ცხადი ტრფობა რით სჯობია, მითხარ, ტრფობას მოპარულსა?

არ დაგივიწყო ოდესმე, ჩემთვის ხარ ცისა ცვარია,
მხიარულების მომტანი ამისთვის შეგიყვარია,
მოაბადისა ქმნული კი ჩანს ღვთისგან ნამეხარია,
რადგან საჩემო საქმისთვის მის გული მთლად დამწვარია“.

ყოველი ესე სრულიად მოაბად კი გაიგონა,
მაგრა ვითომ არ ასმია, აღარ სთქვა, არ მოიგონა,
სრულად დაწყნარდა, გულს შიგან არ ჩათქვა, არ ჩაიგონა,
თქმას გაჩუმება არჩია, გონებას უხმო, იგონა.

ძიძასა ეგრე უბრძანა: „ –ძიძაო, შენ მწდეობდიო,“
რამინსა უთხრა: „ – ბევრს უბნობ, ნეღან ყველასა გვჯობდიო,
როცა იმღერდი ჩანგზედა, სხვებს შორის შენ მხოლობდიო,
აწ აიღებდე კვლა ჩანგსა, და კვლავაც გაგვართობდიო“.

ძიძამ მწდეობა დაიწყო, ღვინოს ასხამდა სურითა,
მოაბადი და რამინი, გულში ერთ-ურთის შურითა,
ვისისთვის გახელებულთა, მრავალჯერ თასს შესმურითა
თავსაღა ვერ იკავებენ, თანაც კვლა ღვინოც სწყურითა.

რამინმაც იწყო ჩანგზედა დაკვრა და ზედა მღერანი:
„ – რა მიჯნურობა მეწვია – ვინყე ჩანგისა ჟღერანი,
საით წარვიდე არ ვიცი, სადაა ჩემი მერანი,
თავს ველარ ვაღწევ ტრფობასა, გარს მადგას როგორც მტერანი.

მიჯნურობისა ტანჯვისგან ყვითლად შემქმნია პირია,
აწ ღვინო თუღა მიშველის, ცრემლი მდის, ვკვნესი, ვტირია,
გულის ჯანგს ის თუ ამიყრის, აღარ მექნების ჭირია,
ვარდისა ფერის ღვინო დღეს სულზედა უფრო მჭირია.

ვინც მხედავს – ვარ მხიარული, მტერსა ვგონივარ ჭკვიანი,
იმან რა იცის ჩემს გულში აღარ ჰყვავიან იანი,
ჩემს ხვაშიადს ვინ გაიგებს, გზები რად შემხვდა ქვიანი,
მეც არვის ვანდობ ჩემს დარდსა, რად დღენი არ მაქვს მზიანი.

ღვინითა მთრვალსა დღე და ღამ დამვიწყებია წადები,
ვერვინ შეიგნო ჩემს გულში დღემდე რა იყო ნადები,
ერთი სატრფომა თუ იცის გულზე ხანჯალს რად ვადები,
მისთვის ვარ გულდაწყვეტილი, მისთვისა დანაბადები.

ძალმიძს ლომს სული ავართვა, ვერ მომერევა შიშია,
თავად კი მიჯნურობამა წარმიღო სულის ნიშია,
ჰე, უღონოთა ღონეო ღმერთო, შენგან მაქვს ჯიშია,
შენ ერთსა ძალგიძს მიშველო, მომცილდეს ტანჯვა-ვიშია.

შენ ძალგიძს ბნელი ღამისგან ნათელ დღის გამოყვანება,
ჭირისგან ქმნა სიხარული, მართლად აქციო ზმანება,
დარდისგან იხსნა ეს გული, სატრფოს გულისა მგვანება,
მაშინ იხარებს რამინი, ვინ სულ შენ გეთაყვანება“.

ქვაცა დალბების სიამით – რამინი იმდენს მღეროდა,
თუ გვერდით მიჯნური ესვა, იმასა არც კი სჯეროდა,
თუცა მალვიდა ტრფობასა, ვისისა არ მისჩეროდა,
მაინცა აჩნდა ტრფობანი, მას მეტად გადამტეროდა.

ცეცხლს შიგან მყოფი იწვოდეს– განა რა საოცარია,
ნვასაც რომ ვერა მალავდეს, ცრემლის სდიოდეს ღვარია,
მთრვალსაცა მიჯნურობისგან ჩაუქრეს მცირე კვარია –
არ არის ეს გასაკვირი, მხოლოდ მწარე კი არია.

გვერდით ეჯდა საყვარელი, საოცნებო, სანატრელი,
მის სიყვარულს ვერ მალავდა, გულთან ჰქონდა დანა მჭრელი,
გულამოსკვნით მომღერალი, სატრფოზედა შაირთ მთქმელი,
სიყვარულს რომ ვერ მალავდა – განა იყო საკვირველი?

რა გუბე წყლითა აივსოს – გზას ჰპოებს იგი სადენსა,
ეგრეთ რა ტრფობა დასჭარბდეს, ვერ მორჩეს ცრემლსა ნადენსა,
ტრფობას გონება ვერ სჯაბნის, კარგ აზრს ვერ გამოადენსა,
არც შეგონება არა სჭრის, ვერ აუსრულებს წადენსა.

მოაბად ძლიერ დაითრო ღვინით და უფრო ვისითა,
მას მზესთან ერთად საწოლად შევიდა, შეძლო თვისითა,
რამინი გულდაწყვეტილი წართმეულ იმ ნარცისითა,
ისე აცრემლდა, რომ ქვაც კი ტიროდა ცოდვით მისითა.

თავის გლახ სადგომს მივიდა, დაიწყო ბედის მდურება,
ლეიბი მყვარი ჰგონია, ავად რომ იცის ყურება,
საბანი ეკლად ეჩვენა, არ უნდა მის დახურება,
გველები, მორიელები, ჰგონია მას ეშურება.

სიმთრვალითა მოაბადმან ვის დაუწყო ყვედრებანი,
„ცუდია იგ სიკეკლუცე, სწორს თუ არ აქვს შეხებანი,
შენ ის ხე ხარ შვენიერი, ვისი გვსურს სულ ფერებანი,
თუმც ნაყოფი მას მწარე აქვს, ვერ დაატკბობს შექებანი.

შაქარს გავს შენი ნათქვამი, ნახვა და ნაუბარია,
თუმც რასაცა იქმ ნაღვლისა იგი არს დასაგვარია,
ბევრი მინახავს მიჯნურნი უსირცხვილო რომ არია,
მაგრა კი არ შემხვედრია არავინ თქვენი დარია.

მიჯნურნი სხვას ვერ ხედავენ, ტოლიც რომ იყოს ხარისო,
ერთურთის ტრფობით ბრმდებიან, აღარც ხმა ესმით თარისო,
ჰგონიათ გვხედავს არავინ გარდა მზისა და მთვარისო,
ეგრე ფიქრობენ ორივე – ჩვენს გვერდით არვინ არისო.

მიჯნურ დიაცს გინდაც ჰყავდეს ათასობით ვინმე კურო,
მას ეტრფოდეს, სიტყვა უთხრას თუნდაც ჩუმი, საკურკურო,
თავს აიღებს პატიოსნად, რომ ქება არ დაიშურო,
გაიძულებს ჩუმად იყო, კარიც უხმოდ გაიხურო.

თქვენ ორნივე მიჯნურნი ხართ, ვერა ხედავთ მოყივნებას,
არა ჰფიქრობთ შემდგომ ჟამზე – ვის მოუტანს იგი ვნებას,
მე აწ გეტყვი ჩემსა სათქმელს, შენ ჰქმენ ისე, ვით გენებას,
დია, მინდა კარგი შენთვის, რო არ მოხვდე ქვეყნად სნებას.

ჰე, მთვარეო, ნუ მძაბუნობ, სიტყვას გეტყვი არ მრავალსა;
მეტისმეტი შემართება კაცს ამსგავსებს ვინმე მთრვალსა,
მტერად გახდის მოყვარესა, მთლად აურევს გზას და კვალსა,
საუკუნო სახელი სჯობს ამ საწუთოროს წარმავალსა.

რა ხელმწიფე ვირად იქმნას, ნუ იჩქარებ ამხედრებას,
რა ცეცხლი და რა ხელმწიფე, არ ისმენენ კაცთ ვედრებას,
გინდაც პილოს ძალი გქონდეს, ცეცხლისთვის წინ დახვედრებას
ნუ ინდომებ, რადგან ბედის ვეღარა იქმ დაყვედრებას.

ზღვის სიწყნარეს ნუ ენდობი, ღელვას ვინ გადარჩენია,
მეცა მრავალ მოთმინების კვლა გულში მაქვს ნარჩენია,
თვარა გული თუ გამიწყრა იქნე სხვათა სარჩენია,
ღალატი და ორგულობა ქვეყნად არვის შერჩენია.

ისეთ კედელს ნუ ააგებ – შენავ დაგეცეს თავზედა,
მე შენი სიყვარულითა ავი მინახავს ავზედა,
სიმწარე გადამხდენია, ვჯდომვარ უძირო ნავზედა,
ჭირი მინახვან მრავალი, სიკვდილთან ვიყავ ზავზედა.

თუ არ გინდა რომ ზიანი რაიმე წაგეკიდოსა,
უპატიობა ყელს მძივად ცუდად არ დაგეკიდოსა,
ვირემდის ესრეთ შეკრული გყავდე, შენ იყო მშვიდოსა,
ხმლით სიკვდილს რაზედ მანატრებ, გსურს სული
წაგეწყმიდოსა?

რა იქნება, რომ ერთხელაც, გამხსნა, დალეწო ჯადონი,
ჩემი მტერობა დააგდო, ამღერდე ვით იადონი,
შემიბრალო და შენავე ჩემდამი გქონდეს წადონი,
გიყვარდე, ჩემდა სიტყვანიც არ გქონდეს შენ უმადონი.

მზად ვარ შენ მოგცე მეფობა და ტახტი შემოგავედრო,
ვფიცავ, არც გული დამწყდეს და რაიმეც არ დაგაყვედრო,
ოღონდ კი ტრფობის ნათელი ჩემს თვალებს დაახვედრო,
პურიც მეყოფა მცირედი, ვით მსახურს თუ შემახვედრო“.

ვისსა ამისა მოსმენით გული დაეწვა ბრალითა,
მოაბად არა სტყუოდა, არც თქმიდა სიტყვით მწყრალითა,
ესოდენ დიდი ხელმწიფე იწვოდა ტრფობის ალითა,
ისე მოსთქვამდა, ვითარც ყრმა, არას შემძლები ძალითა.

ეს სიბრალული სთმო ვისმა, არც შეიცოდა მცირედა,
სულ სხვა პასუხი მოძებნა, არ იყო სიტყვის ძვირედა,

არ უთხრა, აწ ნუ იგლოვდა, თავსა ნუ დაიმცირედა,
ვინმეს ნუ ენახვებოდა დაჩაგრულად და მწირედა.

მოახსენა: „– ჰე, მაღალო, ხელმწიფეო საპატიო,
პატრონი ხარ ღვთისგან ქმნილი, გთხოვ, ეს სიტყვა მაპატიო,
შენ ბრძენი ხარ, მჭერმეტყველი, მეცნიერი-დაჰპატიო,
უწყი ყოვლი ბრძნული აზრი ერთ სიტყვაში ჩაატიო.

მე უთქვენოდ არად მიღირს სიცოცხლე და მზისა ცქერა,
რაცა ბრძანე, მართლად ბრძანე, ყოველივე მესმა, მჯერა,
ნუ გამაკიდეგანებდეს შენგან ჩემი ბედისწერა,
შენი ცქერა მეამების, გულმაც შენზე კვლა იმღერა.

ვფიცავარ რომ სხვისი შეყრა ჩემზე დიდი ჰარამია,
სული შენთა ფეხთ მიგია, უშენოდ დღე წკვარამია,
შენსა ფეხთა მტვერსა ვარჩევ რამინს, იგ არ ბარამია
ნუღარ ეჭვობ, ჩემთვის ისი, აწი, მხოლოდ ვარამია.

ცოცხალს ვეღარ მომაღორებს, ვერას მიზამს მისი ნება,
ის რაც მოხდა – მინანია, იმგვარი კვლავ არ იქნება,
ღმერთმა შენებრ მზე მომცა და შთამაგონა ესე მცნება,
აწ სინათლე სანთელისა რაღად მინდა, რად მეთნევა?

შენ ზღვა ხარ უკიდეგანო, სხვა ხელმწიფენი რუნია,
სიმართლე მხოლოდ ერთია, ის შენ ხარ – სხვანი ცრუნია,
შენ მნათობი ხარ, სხვა – მთვარე, დღისთვის რომ არ უზრუნია,
შენ სულ ღმერთის ხმა ჩაგესმის, სხვანი იმ ხმისთვის ყრუნია.

შენ სიყვარული რაიც გაქვს – ჩემის სულისა სწორია,
შენი თმის ბეწვი და ჩემი თვალნი ერთი – არ ორია,
რაცა ადრე ვქმენ – ვინანი, ეშმამა მომაღორია,
აწ ჩემგან ნახავ კეთილსა, ახლოს ვიყო თუ შორია“.

შაჰსა ვისის ესე სიტყვა გაუკვირდა, გაუოცდა,
ადრე ესე არ სმიოდა, აწ ეამა, ლამის კოცდა,
გულს იმედი შთაენერგა, გაუათდა, გაუოცდა,
დია ჰამოდ დაიძინა, თვალსა ძილი აუცოცდა.

მაგრა ვისს არ დაეძინა, ორთავეს შეიჭირვებდა,
ხან რამინს მოიგონებდა, უმისოდ თავს იკვირვებდა,
აქეთ მოაბადს იცოდდა, მის ყოფას გაიჭირვებდა,
თუცა სწამს მხოლოდ რამინი, სხვას ყველას მას შესწირვებდა,

ზედაღმა ფერხის ხმა ესმა – ეს რამინ იყო ბანზედა,
გული სტკიოდა ტრფობისგან, თუმცა კი იყო ჯანზედა,
ამობდა ღამის სიბნელით, ცრემლოდა ხანდახანზედა,
დარდობდა ცაში მთვარეზე ვითარც ვისისა მგვანზედა,

რამეთუ წვიმდა, ღრუბლებით ის ღამე იყო სრულია,
წვიმდა, ჰაერი ტიროდა, იტყოდი აღსასრულია,
მინა წვიმისა წვეთებით მთლად იყო დაკაწრულია,
ვერას ხედავდნენ თვალები სინათლის დანატრულია.

დამალულ იყო ცად მთვარე, ჰაერს ტკივილი ესოდა,
რამინი ვისს ვერ ხედავდა, ამად ტიროდა, კვნესოდა,
თუცა იმედს არ იწყვეტდა – კვლა ვნახავ იმა მზესო და
იქავე იჯდა ლოდინით, თავსა რომ დაუწესოდა.

იმედით – ვისსა ვნახავო, თოვლი მიაჩნდა ქაფურად,
სიბნელე ნათლად ეგონა, შორს მგლის ხმა – ახლო დაფურად,
ბანსა სახავდა სამოთხედ, წვიმას – სურნელის ქაფურად,
ალხენდა სატრფოს იქ ყოფნა, თავს მიიჩნევდა შაფურად.

რა სიახლოვეს გზა იყო ქვიშიან-ლამიანია,
იმას საყვარლის უპედა ჰგონებდა ღამიანია,
საყვარლის უპე ფოცხვრისას ემსგავსა ისი ხანია,
აივსო მოლოდინითა, სნამს რომ არ დაუხანია.

ჰამოა ის მიჯნურობა, როს გამჟღავნების გეშინის!
არ გინდა გამოგიცხადდეს, სურვილი გაქვს სულ მზე შინის,
სხვად არა დარდი არა გაქვს, თუნდაც ცით წვიმის თქეშინის,
სიცხისა ალი თავს გედგას, ან სეტყვა თუნდ დაგეშინის.

ოღონდ გულები მიჯნურებს ჰქონდეთ სრული და ულევი,
მათი ტრფობა ნუ იქნება დიდი ხნის ნამარხულევი,
არა თქვან ერთმანეთზედა: იყო ჩემ ნაერთგულევი,
აწ დაუთმივარ, გავმხდარვარ მე მისგან შენაძულევი.

რამინი შიშსა შეეპყრო, არა თავისად – ვისადა,
არა ევნოსო, ფიქრობდა, გული გაუხდა ზღვისადა,
თავის თავს აღარ სწყალობდა, შიში გაუჩნდა ძმისადა,
ვისს არა შეამთხვიოსო – ეს ფიქრი გაითვისადა.

ბანზედ იჯდა, არ უკვირდა სიცივე და თოვლი, ყინვა,
რადგან გულსა ცეცხლი ჰქონდა, ქარს ესმოდა მისი გმინვა,
თვითო ცვარი დიჯლად უჩანს, ნიავია დევის ქშინვა,
სმენა დაბლით მიემართა, თითქოს ესმა შაჰის ხვრინვა.

მის ცეცხლსა ვერვინ დაშრეტდა, ვერცა მდინარე ჯეონი,
ცრემლი წარღვნადა დასდენდა, ვით ნოეს ის წარღვნეონი,
თოვლი წვიმადა ფერს იცვლის, ვით კანსა ქამელეონი,
რამინს, გულდაუთმობელსა მთლად დალეოდა დღეონი.

ნება-ნებასა კვნესოდა რამინი ღვიძლდამწვარია,
მოსთქვამდა: „– ჰე, მოყვარეო, რაზედ არა ვარ მკვდარია,
ნუთუ ხარობ რომ შენ შიგნით, მე კი თოვს ქვეშე ვარია,
შენ გფარავს ეგე ყარყუმი, მე მეყინება მხარია?

შენ გძინავს ნებიერადა, მე მუხლამდი ვარ ლამშია,
შენ გვერდით უწევ საყვარელს, საქმე მოჰყავი დამშია,
ნებიერობით ქვე გძინავს, რაცა გსურს – იქმი წამშია,
იმას აღარა დაეძებ მე რომ მწყურია და მშია.

შენი მიჯნური რომ ტირის, რომ დაჰღმუიან ქარები,
ფიფქები მხრებს რომ უმკობენ ვით შენ გმკობს ყალამქარები.
შენ ძილი თავს დაგტრიალებს, სიზმრებში მიეჩქარები,
მე კი ჭირი მკლავს მრავალი, ბევრები და უშქარები.

ჰეი, ქარო, განძლიერდი, ეს ქვეყანა დააქციე,
მარავს ვინმე შეგეყაროს – განურისხდი, გააქციე,
რა წამოხტეს იგ ძმა ჩემი – ხერხი უყავ, ნააქციე,
ვისის საწოლს თუ კი შეძრავ – პირით ჩემსკენ მოაქციე,

იქნება ძილი დათმოს და როგორმე შემიწყალოსა,
თორემ ავდგები, ჩემს თავზე ერთ დღეს გავლეწამ კალოსა,
დავთმობ ყოველსა დიდებას, წავალ, ჩავიცვამ ჯვალოსა,
იქნებ ისმინოს ეს კვნესა და მეტად არ მაწვალოსა,

მარტო ვზი და თოვლში ვზრები, თავსა წვიმა დამდის ღვარად,
მესისხლეთაც ვებრალები, მხოლოდ ვისის ვყავარ მწარად,
რა შეიტყობს იგ მასკვლავი, ნუთუ არას მომცემს ფარად?
არ ატირდის? მყისვე ჩემსკენ თუკი იფრენს ქარდა-ქარად?“

ვისისა ესმა ფეხის ხმა, მიხვდა რამინი არისო,
უმისოდ ყოფნა – ფიქრობდა – რა ვქნა, ჩემთვის არ კმარისო,
ღონეს ეძებდა შეხვედრის, მიჯნურს ვით მიეხმარისო,
ვეღარ დაეთმო რამინი, რა ექნა, ის უყვარისო.

ძიძა აგზავნა ბანზედა – რამინს რა სურდა – გაეგო,
ვიდრე ის დაბრუნდებოდა, ლამის ხანჯალზე დაეგო,
მზად იყო თავშეწირვისთვის ხმალი ქარქაშს არ ჩაეგო,
რამინის სიყვარულითა ცაში კოშკები აეგო.

ბანთგან ძიძა ჩამოვიდა რამინისა შეთვლილობით,
„– მთვარევ, ნუთუ დამივიწყე, ვინ გსახე მე მზის ცილობით,
ნინათ ღვარე სისხლი ჩემი, ახლა მისერ გულს ჭრილობით,
რად გამწირე მე, ვინაცა შენ გიგონებ სულ ტკბილობით?

მე ხომ ვარ შენი მიჯნური, თუ ჩემზე გული დალიე?
მაშინ გამიხსენ ძარღვი და ჰა, ჩემი სისხლი დალიე,
თუ კვლავ გახსოვარ – მო, მნახე, ჩვენს შორის გზანი დალიე,
მაგ შენი უგულობითა ეს გული მთლად გადალიე.

შენის სურვილით ვიჭირვი ზედა თოვლთა და ყინვათა,
შენ სტავრათ შიგან ნებივრობ, არ ისმენ ჩემთა გმინვათა,
მე ვერასოდეს ვერ დავთმობ შენის ლოყების ბზინვათა,
შენ კი მე აღარ გახსოვარ, ნაბიჯნი გიგავს გლინვათა.

მესმოდა შენი კისკისი – ბედნიერების სიცილი,
მთლად დაგვიწყნია პირობა, მაშინ ნათქვამი ფიცილი,
მე, დაე, შევიჭირვოდე, დარდს ვიცი ვერ მოვიცილი,
გგონავ ვერ ვხვდები შენ ღალატს? აგრეა, არ გწამი ცილი.

დე, ღმერთმა ესრეთ ინებოს – იყო სულ მოსვენებაში,
მე რომცა გავიჭირვიდე – ვიქნები კვლა შენს ქებაში,
ღმერთმა შენ ლხინი გიბოძა, მე კი ჩამაგდო სნებაში,
ხომ კარგად იფერ მაგ ლხინსა, თუნდაც ჩემს დავიწყებაში?

მე კვლავ ულხინოდ ვიარი, რისი ღირსიც ვარ – იგია,
იმდენსა დარდსა ვემონვი – თავი ვერ გამომიგია,
შენ იყავ უჭირვებელი, შენდა თავი წამიგია,
მმრთებს სულ შენ გემსახურო, ესაა ჩემი რიგია.

შეჭირვებანი ჩემთვის ხამს, არ შენთვის, მით რომ ნაზი ხარ,
შენ ჭირსა ვერას გაუძლებ, შენ ხომ ჩანგი ხარ, საზი ხარ,
ღმერთის ხელით და მის ყალმით ლამაზად მონახაზი ხარ,
არ უწყი ვითარ უყვარხარ რამინს, ზედ თვალსა აზიხარ.

არ უწყი ვითარ საბრალო ვარ მე დღეთა და ღამეთა,
მე, შენი მომგონებელი, მნახველი შენს სიამეთა,
ამა სიცივის გამძლები, როს ჟამი მეყიამეთა,
გულდაწყლულებულს, უძილოს, ნაგემს ამდენის შხამეთა.

რად არ გინდა რომ დამიხსნა თოვლისგან, სიცივისაგან,
შეცოდებანი არა გაქვს, ნუთუ შექმნილხარ ქვისაგან?
თუცა ყინვასა ვაგდივარ – ვიწვები მე ცეცხლისაგან,
შენთა უბეთა გამათბე, ნუ მწირავ სიცოცხლისაგან.

დამანახე პირი შენი, ეგე ჩემი სულთამდგმელი,
ლმობიერად გამომხედე, გულს ჩავიკრა – მომეც ხელი,
ჩემს ყელზედა მომახვიე ეგე შენი თმა-სულნელი,
ჩემი გული შენს ძებნაში დაიკარგა, აღარ ველი.

შენმა სიშორემ წინ ორმო მე გამითხარა ვეება,
ბედმა, რომელიც ოდესღაც შენთვის ლომსაც კი შეება,
დე, იმ ორმოსა ჩამაგდოს, შენს გულს თუ მიემზეება,
მზადა ვარ სიმარტოვისგან კვლა ვნახო გაშავდღეება.

მიმატოვე და გამწირე, თითქოს არასდროს გენახო,
თითქოს მე შენი მიჯნური შენს ხსოვნას არ შევენახო,
რადა მკლავ უიმედობით, შენ ჩემო ბაღო, ვენახო,
სხვა გზა არა მაქვს, აწ უნდა მოგშორდე, არ დაგენახო.

სიშორისა ღრიანკალსა ნუ მკრავ გულსა შენგან კრულსა,
უიმედოდ ნუ დამტოვებ შენს მონასა ხელგაკრულსა,
თმობის ღონეს სრულად დავთმობ, შავის ბედით გადაკრულსა,
ან ზღვაშიდა თავს დავიხრჩობ, ჩავვარდები ან უფსკრულსა.

მეტი რაღა მოგახსენო, ტუსაღი ვარ შენი, ტყვე ვარ,
აღარ მახსოვს ახლა ვინ ვარ, ბალახი ვარ, ხე ვარ, ტყე ვარ,
შენზე მუდამ მსასოები ერთი ვინმე სატრფო გყევარ,
მზედ მინათებ, თუმცა მაინც უკუნ სიბნელეს შეგყევარ“.

პოეტურად გარდაქმნა **ანზორ სიფრაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

სამეფო სახლის წევრების გადასახლება რუსეთში

◀ დასაწყისი გვ. 1

წერილების დედოფლისათვის გადაცემა არ დასცალდა. ისინი რუსებს ჩაუვარდათ ხელში. ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების წერილების წაკითხვის შემდეგ ციციანოვმა დარეჯან დედოფლის რუსეთში დაუყონებლივ გადასახლება გადაწყვიტა. 1803 წლის 10 სექტემბერს საქართველოს მთავარსარდალმა დარეჯან დედოფალს აცნობა, რომ 15 სექტემბრისათვის მდინარე თერგზე ხიდები აღდგენილი იქნებოდა. ციციანოვი დედოფალს სთხოვდა რუსეთში გამგზავრების კონკრეტული თარიღი დაესახელებინა. მოგვიანებით, 1803 წლის 5 ოქტომბერს, ციციანოვი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ ვიქტორ კოჩუბეის წერდა: *„ასეთი სიმკაცრე ჩემთვისაც და მისთვისაც (დარეჯან დედოფლისათვის – ვ. გ.) უსიამოვნოა, მაგრამ აუცილებელია“*. 1803 წლის 11 სექტემბერს დარეჯან დედოფალი ციციანოვს მუხრანიდან წერდა, რომ ავად იყო და საწოლიდან ადგომა არ შეეძლო. მალე საქართველოს მთავარსარდალს შეატყობინეს, რომ დედოფალი რუსეთში გამგზავრებაზე არც კი ფიქრობდა. ამ ცნობის მიღების შემდეგ, 1803 წლის 16 ოქტომბერს, პაველ ციციანოვმა გენერალ-მაიორ **დიმიტრი ორბელიანს** უბრძანა, მუხრანში ჩასულიყო და დედოფალი ძალის გამოყენებით გაემგზავრებინა რუსეთში. დიმიტრი ორბელიანი შიშობდა, რომ დარეჯან დედოფლის შვილიშვილები მუხრანბატონის სასახლიდან დედოფლის გამოყვანას არ დაანებებდნენ და წინააღმდეგობას გაუწევდნენ. ამიტომ იყო, რომ თბილისიდან მუხრანში გაიგზავნა ეგერთა მე-17 პოლკის ორი ასეული, რომელსაც მუხრანბატონთა ციხე-კოშკისა და სასახლისათვის ალყა უნდა შემოერტყა. სასახლის ეზოში პირველი შევიდნენ ეგერთა და დრაგუნთა პოლკების უმცროსი ოფიცრები, უფროსი ოფიცრის მეთაურობით. ოფიცრები დარწმუნდნენ, რომ სასახლეში შეიარაღებული ხალხი არ იმყოფებოდა. დიმიტრი ორბელიანი

მარიამ დედოფალი

დედოფალს ეახლა და ურჩია წინააღმდეგობა არ გაეწია. გენერლისა და ეგერთა ორი ასეულის მუხრანში ჩასვლამ დედოფალი დაარწმუნა, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა. 1803 წლის 25 ოქტომბერს დარეჯან დედოფალი რუსეთში გაემგზავრა. 1803 წლის 3 ნოემბერს პაველ ციციანოვი რუსეთის იმპერატორს მოახსენებდა, რომ დარეჯან დედოფლის რუსეთში გამგზავრების შემდეგ კიდევ რამდენიმე თავადი იმერეთში იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილებთან გაიქცა. ციციანოვი ვარაუდობდა, რომ გაქცეულ თავადებს მიმდევრები გამოუჩნდებოდნენ. საქართველოს მთავარსარდალი იმპერატორს სთხოვდა, ამ თავადებისათვის მამულების ჩამორთმევის უფლება მიეცა.

იულონ ერეკლეს ძისა და ფარნავაზ ერეკლეს ძის გადასახლება რუსეთში.

ქუთაისში მყოფი იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილები 1804 წლის გაზაფხულზე მთიულეთსა და ხევში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით

გაგრძელება გვ.8 ▶

მსხვერპლი და დაშალეშა

(ეძღვნება ტერენტი გრანელს)

ოთხმოცდაათი წელი გასულა ტერენტი გრანელის კოსმიურ სივრცეში მუდმივ ბინადრად გადასვლისა (სხეული დედამიწამ არ დათმო). ამ ღრმად სევდიან თარიღს ალალად ვამჟღავნებ და გამორჩეული გენიალური მგოსნის, გარემო-თანამედროვეთაგან ტანჯვა-წამებულ იდუმალ სულიერ განძეულს ვამხელ მხოლოდ მართალი წარმოსახვით და სიბრძნისეულად – ჩემეულ ნააზრევს.

რიგით მერამდენე მოთხრობა, ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი, გულდათუთქული მიახლოებაა მგოსნის ტრაგიკულ ბუნებასთან, რასაც დაერქმევა „მიწიერი გაუცხოება – მსხვერპლი და დაბადება“ ჩემეული მართალი წინასიტყვაობაა მოთხრობისა, რომ რამდენიმე წელია ამ თემაზე ვმუშაობ: მწარე და მძიმეა სამყარო და სიცოცხლე. უკიდურესად რთული იყო ტერენტი გრანელის შემოქმედებითი მოღვაწეობა. ამ ნაწარმოებში მძაფრადაა გაშლილი ის ურთულესი სულიერი ფორმის შინაგანი უხილავი სურათები, რომლებიც აღტყინებულ-მგოსნურად გაიარა პლანეტარიუმის ცოცხალმა საკვირველმა მოვლენამ.

ის შინაგანი დრამა და ტრაგედია, რომელსაც უმძიმეს მდგომარეობაში ატარებდა გრანელი, ძალიან ბევრისათვის გაურკვეველი იყო, რომ არა, ასე ველურად არ განირავდნენ ღრმად მორწმუნე მგოსანს და სულიერად წმიდანს...

* * *

გრანელი რომელიღაც კეთილისმყოფელი ციური მანათობლის სახით განკაცებული ჩამობრძანდა დედამიწაზე, იტანჯა, ინვალა, იმოღვაწა, იყო სამაგალითო მართლმადიდებელი, მიწიერ-ზეციურად იაზროვნა და

ყველასგან განსხვავებული მგოსანი გრანელი კი უხილავში პოულობდა ხილულზე უახლოესს, დიდი ნიჭი ჰქონდა კოსმოსუბით დაკანონებული ცვლილებათა მიმდევრობითი გადასვლები ნათელ სახედ ვლინდებოდა უსასრულობის წესთა უმკაცრესი იოცნება, შეთხზა შეუდარებელი პოეტური და პროზაული შედევრები.

ვერა და ვერ შეეგუა დედამიწას და გაბოროტებულ დედამიწელებს, მხოლოდ ტკბებოდა საერთო სილამაზით და მშვენიერებით, რომელთაც კანტიკუნტად ეხებოდა. დადიოდა მარტოხელად უცხოპლანეტელივით და სრულიად გაუცხოებული წავიდა ჩვენგან, თავისი ძალიან მოკლე შემოქმედებით დროში თანამედროვეთათვის პატიოსანი, მაგრამ უცხო წეს-ზნეობით იცხოვრა. წარმოუდგენელი იყო მისთვის ღალატი, სიძულვილი, უღმრთობა; სამშობლო კი მგოსნისთვის ულამაზესი, მარად მანათობელი პლანეტა იყო ზეციური ღირსებით. ვერ იგუა ორგულობა და ის ზედმეტად წმიდა იყო დედამიწელებთან, თავის თანამედროვეებთან შედარებით, ამიტომაც უკვირდათ მისი და სძულდათ კიდევაც, მათთვის უცხო სხეული იყო გონებით, ნიჭით, შემართებით და მიუკარება უცნაურობებით.

გარემოსაგან იღლებოდა ხშირად...

მთელი არსებით პოეტი რატომღაც ყველაზე უფრო კოსმოსურ უხილავ ხაზებს, განწყობილებებს და ზეციურ მისტიკურ ელემენტებს გრძნობდა საფლავებთან ურთიერთობით, მათთან სულიერი გავლით პლანეტარიუმს პოეტურად აღიქვამდა და იქ ეძებდა, აკვირდებოდა მარად ჩაუქრობელ იდუმალებებს. მართლაცდა ღრმად მგლოვიარე ჭირისუფლებს არამიწიერი იერ-სახე აქვთ, ისინი ძალაუნებურად გრანელის არ იყოს, ინტუიციურად მიიზიდებიან გარე სამყაროსაკენ. მიზიდულობის წყარო მათი გარდაცვლილებაა. გრანელი კი ამ ჩვენგან ძალიან შორეულ განწყობილებებს დიდი მეცნიერის, აინშტაინის და მხატვარ-აბსტრაქციონისტის, კანდინსკის დონეზე აღიქვამდა და რა ნიჭიც არგუნა უფალმა, იმ ნიჭითვე ჭეშმარიტად გამოხატავდა ყოველივეს. პოეზია იყო მისი უდიდესი კალეიდოსკოპი – ვარსკვლავი. ტერენტი გრანელი მეცნიერად რომ მოვლენოდა დედამიწას, უთუოდ ოკეანეში ჩაძირულ ატლანტიდელებზე არანაკლებ ასტრონომიულ გამოკვლევებს დაწერდა. იმ სასწაული ცივილიზაციის დარად, უნიკალური სამოცდაათასამდე წიგნი ფანატიკოსმა ბერებმა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხანძარს რომ შთაანთქმევინეს.

ეს უკვე ადამიანზე, დედამიწაზე და უფალზე, შეუგნებელთაგან ჯვარცმის დონეზე უსასტიკესი ჭრილობის მიყენება იყო...

რი საოცრებების შეგრძნება-დანახვის...

– საფლავები! მართლაც ძალიან განყენებული და შორეულია ჩვენგან, ამიტომაცაა დედამიწა უცნაური ჩაუწვდომლობა, ის ხომ მილიონობით წლიდან მოყოლებული დიდი სასაფლაოა, სიცოცხლის და გარდაცვალების კოსმიური ურთიერთობაა, რაშიც მიუწვდომელი იდუმალებობებია ჩაწნული. ორი უკიდურესად განყენებულობაა დედამიწაზე სიცოცხლე-გარდაცვალება და მათ შუა დუმილ-საფლავი. ამ უსასრულო დრო-ჟამში დედამიწა – ჩვენი პლანეტა გარდაცვლილთა გამანოყიერებელ ფერფლადაა ქცეული – დაფარული, როგორც მიწის ქერქი, ასევე ზღვათა და ოკეანეთა ფსკერიც...

* * *

მარტოობისა და უიმედობის სევდაში ჩაფლული გრანელი ტყუპთა მშობიარე ქალივით იტანჯებოდა, მაგრამ სამყაროსეული სიახლოვე თავშეკავებას და გამძლეობას მატებდა, რადგან იბადებოდა სრულიად უცხო რაღაც საოცრება, ზეციური საუფლო თუ?! ნებისმიერ ცოცხალთათვის მიუწვდომელი. სამწუხაროდ, მგოსანი მაინც მსხვერპლი იყო და მიწიერ განუმეორებელ სიცოცხლეს ეთხოვებოდა, უთუოდ ბევრად უკეთეს – მრავალფორმიან ვარსკვლავეთურ სივრცეში მიემგზავრებოდა, მაგრამ არამიწიერი მშობიარობა და შორეულში გადასვლა უმძიმესია, უცნაურია და ამოუხსნელია თურმე. ადამიანთა უმეტესობა ბუნდოვანი მორჩილებით თანდაყოლილია ამ აღუწერელ პროცესთან. დიდი ხელოვანნი თუ გენიოსები ყოველ უმცირეს ნიუანსებს, მოვლენებს ღრმად განიცდიან და სხეულის ან სულიერი უკიდურესი გაცემით ტრაგიკულად ეთხოვებიან ჩვენი პლანეტის უმთავრესს, ხოლო მშობლიურ მიწას, თავ-თავიანთ სხეულს უტოვებენ უზენაესთან აუცილებელი ხარკის გაღებით.

უკვე მოსულიყო ჟამი გრანელთან, უმაღლესი სიწმინდის, უმძიმესი, უკეთილშობილესი, უდრეკი – ვაჟკაცურის, უსაზღვრო შემოქმედის და ეპოქისაგან უკიდურესად განწირულის საბოლოო ზეკანონებთან ანგარიშგებისა.

ტერენტის თანამგრძნობი და მზრუნველი უახლოესი და, ზოზია, წმიდანივით მწარედ მარტვილობდა და ვერ უძლებდა უმძიმეს მოვლენებს. ქალბატონ ზოზიას თვალწინ ვარსკვლავეთიდან მარადიულობა და გარდაქმნაა. ვარსკვლავეთთან დაქვემდებარებით გამოწვევა იყო ზეციური და შეწირვა. მას არ ჰქონდა უფლება დიდი მთლიანობის იდეა-ინტელექტიდან გამომდინარე გამძვინვარებულ დიქტატორსაც დამორჩილებოდა ან საქვეყნოდ აღიარებულ პარტიულ პოეტებს, ის პლანეტების წესთვისებით მარადიულად სიმართლეს განმარტოვდა, რაც სრული მსხვერპლშეწირვაა. ამდაგვარ უერთგულეს ზვარაკს ვერცერთი ძალა და ავტორიტეტი ვერ გამოიყვანდა უჩვეულო არეალიდან. პოეტი აქ წამებული იყო, უმაღლესის მეხოტბეობით და მიწიერი უბედურებით... ხოლო სამყაროს უხილაობის სივრცეში შემგრძნობ-უბედნიერესი, ის სრული ცოცხალი, სულიერი, გონიერი და გულითადი ნაწილი იყო მთვარეული სიშორის დიდ იდუმალებაში შემავალი.

* * *

აი, გრანელი ნაღდი ფსიქოლოგიური ფორმა იყო დიდი მოაზროვნის ხატისა „ადამიანი არის ჩამოვარდნილი ღმერთი, რომელსაც ახსოვს ზეცა“ (ლაროშფუკო).

უთუოდ, უშორესიდან დროებითი შემოწირულობა იყო დედამიწაზე, რითაც კოსმოსური ურთულესი განცდები აფორიაქებდა...

* * *

ქალბატონ ზოზიას მოეჩვენა, რომ უმოწყალოდ განდევნილი ტერენტი შუბლსისხლიანი, დაღარული და სანთლისფერი სახით ცისკენ მიფრინავდა, საფლავებიდან კი შავი ფერის ჩონჩხები ამოიყარნენ და გაძევებულს კბილების ხრჭიალით და ხელის მტევნების ჩხაკუნით აცილებდნენ.

მერმე უფლის სიკეთის ეკლესია გალურჯდა, სასაფლაოს ირგვლივ კი უცნაურნი წრეს უვლიდნენ და საშინელი უცხო ხმაური მოდიოდა მათგან.

შემდგომ თეთრი მხსნელი ანგელოზი ოქროს ჯვრით სიახლოვეს გამოჩნდა და უმალ მოჩვენებები გაქრნენ. მერმე ირგვლივ იისფერი ნისლი ჩამოწვა, მას ბინდი მოჰყვა საშინელი. სუნთქვაშეკრულ ზოზიას გული წაუვიდა და უღონოდ ჩაიკეცა. ვიღაცამ, წყალიო, იკივლა და იქაურობა მწარედ შეიძრა. ზოზიას თავზე ბნელი სივრცე, აღელვებული მღვდელი და დიდი ჯვარი ადგა... ტერენტი ადამიანთა ძვლების ნაკრები და ანგელოზი მათ სიახლოვეს არ ჩანდა, მიცვალებულის ფერშეპარულ



ფონით, მუქი ლურჯი ფერების ნისლით და აწიოკებული – უნაზესი სულით. მაინც კაცთა მოდგმის პირველადი ველური სული მბრძანებლობდა ყველაფერს და ურთულესი პროცესი მათემატიკური სიზუსტით სრულდებოდა. მგოსნის მიმართ გაბოროტებულ გარემოს ამ მოვლენებთან შეღწევა არ შეეძლო, მხოლოდ სიკეთისმყოფელი ადამიანები განიცდიდნენ კანტი-კუნტად...

ამქვეყნიური, მეოთხე თუ მეხუთე შავი ფორმა სიკვდილი – უხილავი, მაგრამ ის ხომ ნებისმიერ ხილულზე უმძიმესი ტკივილმიმყენებელია. უბოროტესი გზით მოგზავნილი ბნელის მოსვლა უფრო და უფრო უახლოვდებოდა ტერენტი გრანელს და ახალი სამყაროსეული ურთულესი ფორმითი მისტიკური პროცესი მშობიარობდა.

მრავალმხრივი იდუმალებით შემოსილი ნაცრისფერებით დაბინდული საფლავი კი ათ მცნებასავით გრანელის წინ გადაშლილიყო. არავინ იცის ან ვინ უნდა ჩაწვდეს ნებისმიერი საფლავის ზეციური საიდუმლოდ შემოსილ უმთავრეს მცნებას: შესაძლოა ჩვენი უახლოესი გალაქტიკის უხილავი ძაფებით ურთიერთკავშირიც იყოს დედამიწის სხეულზე განთავსებულ საკვირველება საფლავებთან.

ათასწლეულების წინანდელი სამარხები ჩვენთვის უფრო და უფრო მიუწვდომლობაში არსებობენ. მაგალითისთვის – დიდი აიეტ მეფის, მისი შვილის მედეას, ფარნავაზ მეფისა და მათ თანამედროვეთა. ჩვენს დროშიც უთუოდ ყველას თვალწინ პირველი კოლხი მგოსნის ან ასტრონომის საფლავის მტვერსაც ქარი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაჰყრის ხოლმე. უძრავად გასუსული შემდგომ მოძრავ, ანუ მოხეტიალე მარადიულ ჰაეროვან საფლავად გარდაქმნილი. ამდაგვარია სამყაროსა და დედამიწის უხილაობათა შეუვალი ურთულესი დინამიკა.

როგორც ზეცაში სულთა სიუხვის უსასრულობაა, ასევეა დედამიწაზე საფლავთა აურაცხელობა, რომლებიც შემოდგომის ფოთლებივით კვებავენ მიწას...

ყოველი საფლავი ურთულეს-ინდივიდუალურს და სამყაროსეულ ბნელეთის შინაარსს გადმოსცემს, მხოლოდ შინაგან ფარულს და ღვთიურ ნიჭ-ბუნებას შეუძლია მისი წაკითხვა. ტერენტი გრანელი, დიდი მგოსანი და მოა – ფორმალისტი მხატვარი ამ სახის ფუნქციით და უცხო ნიჭით სტუმრობდა ნებისმიერ სამარხს. განმარტოებული საფლავებიდან კი ამოდიოდა ცისფერი დუმილი და შორეული აზრები, მარადიულობის უხილავი ხედვით...

გრანელი ნოსტრადამუსივით კითხულობდა საფლავთა კოსმიურ საიდუმლოებას და ასე შორეულში მგზავრობდა.

* * *

გრანელის უცხო გენია გასცდა მანამდე ტრადიციულ მსოფლიო გენიათა სახე-ხასიათს და დამოუკიდებლად, თავგანწირვის ფასად გაიჭრა პლანეტარიუმის მოკაშკაშე სივრცისაკენ. საკვირველება, მისდათავად მოსვლაა პიროვნების – ნიჭის გამდიდრება და გარდაქმნაა. ვარსკვლავეთთან დაქვემდებარებით გამოწვევა იყო ზეციური და შეწირვა. მას არ ჰქონდა უფლება დიდი მთლიანობის იდეა-ინტელექტიდან გამომდინარე გამძვინვარებულ დიქტატორსაც დამორჩილებოდა ან საქვეყნოდ აღიარებულ პარტიულ პოეტებს, ის პლანეტების წესთვისებით მარადიულად სიმართლეს განმარტოვდა, რაც სრული მსხვერპლშეწირვაა. ამდაგვარ უერთგულეს ზვარაკს ვერცერთი ძალა და ავტორიტეტი ვერ გამოიყვანდა უჩვეულო არეალიდან. პოეტი აქ წამებული იყო, უმაღლესის მეხოტბეობით და მიწიერი უბედურებით... ხოლო სამყაროს უხილაობის სივრცეში შემგრძნობ-უბედნიერესი, ის სრული ცოცხალი, სულიერი, გონიერი და გულითადი ნაწილი იყო მთვარეული სიშორის დიდ იდუმალებაში შემავალი.

* * *

აი, გრანელი ნაღდი ფსიქოლოგიური ფორმა იყო დიდი მოაზროვნის ხატისა „ადამიანი არის ჩამოვარდნილი ღმერთი, რომელსაც ახსოვს ზეცა“ (ლაროშფუკო).

უთუოდ, უშორესიდან დროებითი შემოწირულობა იყო დედამიწაზე, რითაც კოსმოსური ურთულესი განცდები აფორიაქებდა...

* * *

ქალბატონ ზოზიას მოეჩვენა, რომ უმოწყალოდ განდევნილი ტერენტი შუბლსისხლიანი, დაღარული და სანთლისფერი სახით ცისკენ მიფრინავდა, საფლავებიდან კი შავი ფერის ჩონჩხები ამოიყარნენ და გაძევებულს კბილების ხრჭიალით და ხელის მტევნების ჩხაკუნით აცილებდნენ.

მერმე უფლის სიკეთის ეკლესია გალურჯდა, სასაფლაოს ირგვლივ კი უცნაურნი წრეს უვლიდნენ და საშინელი უცხო ხმაური მოდიოდა მათგან.

შემდგომ თეთრი მხსნელი ანგელოზი ოქროს ჯვრით სიახლოვეს გამოჩნდა და უმალ მოჩვენებები გაქრნენ. მერმე ირგვლივ იისფერი ნისლი ჩამოწვა, მას ბინდი მოჰყვა საშინელი. სუნთქვაშეკრულ ზოზიას გული წაუვიდა და უღონოდ ჩაიკეცა. ვიღაცამ, წყალიო, იკივლა და იქაურობა მწარედ შეიძრა. ზოზიას თავზე ბნელი სივრცე, აღელვებული მღვდელი და დიდი ჯვარი ადგა... ტერენტი ადამიანთა ძვლების ნაკრები და ანგელოზი მათ სიახლოვეს არ ჩანდა,

მიცვალებულის ფერშეპარულ

ზოზიას მოძღვრის ლოცვის და ხალხის ნერვიული ფუსფუსი ჩაესმოდა და თან მიკნავებული ხმით ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა:

– ძმა! – საცოდავი! – დავკარგე!..



მოციქულივით გარინდულ და გაოგნებულ ეკლესიას უკვირდა, ამ ცოდვილიან მიწაზე რომ იდგა...

* * *

სამყაროსეული მრავალთვისებიანი ძალები ადამიანზე ხშირად მოქმედებენ დამანგრევლად. იმავე ზომით ღრმად დადებითნი აღმშენებლადაც. ამჟამად უარყოფითისაკენ მიექანებოდა მიწიერთაგან გრანელის დასუსტებული სული და საფშვინველი. მარქსისტული გარემო მის ირგვლივ უკვე გამანადგურებლად მოქმედებდა, ჭლექისაგან შეჭმული ცხოვრებიდან გამოსვლა მხოლოდ სიკვდილით შეიძლებოდა, მიწიერი წუთისოფელი მარადიულობის უსასრულობაში გადადიოდა, ყოველივეს ამის ამოცნობას გრანელი საფლავის უშორესის ფენომენიდან ცდილობდა. აქ საფლავი იყო საფეხურები სამყაროს შეცნობისა და სიკვდილის წაკითხვა – მარადიული გამოუცნობის, ანუ მატერიალური კოსმიურობიდან იდეალისტური უხილავი აკადემია და მიუწვდომლობა. დანარჩენი ირგვლივ – ბინა, სახლი, დარბაზები, კლუბები, სურამის საავადმყოფოს ოთახით დამთავრებული, სულთამხუთავ ჩაბნელებულ, ჩაჟანგულ უსაშველო ციხე-დილეგად ეჩვენებოდა. ამჟამად გრანელი სამყაროსეული, ცოცხალი ნერვებმფეთქავი მწარე სინამდვილის წინ იდგა – იბრძოდა, ეძებდა, აზროვნებდა ზეადამიანურის სევდით და წმიდანური განცდით. მიწიერი სივრცე ვიწრო სულთამხუთავ დერეფნად გადაქცეულიყო, რომელსაც გაჰყავდა მიუწვდომელსა და უხილავ სამყაროში, სადაც მისი მოძრაობის სიჩქარე განუსაზღვრელი იქნება... გრანელი სულიერად იმდენად განსხვავებულად გაძლიერებულიყო, მას არაფრისა არ ეშინოდა და მიწიერ კეთილდღეობაზე ნამცეცზედაც არ ფიქრობდა. ის უკვე ადგა წამებულ წმინდანთა უპატიოსნეს გზას. ენანებოდა ციდან მოგზავნილი ლექსების დატოვება და ახლობლებზე კეთილი ფიქრი შერჩენოდა უკვე გონმიუწვდომელი სამყაროსკენ მიმავალ მოგზაურს...

აწეწილი მზისფერი მგოსნის მიერ შექმნილი და შეუქმნელი ლექს-შედევრები ბიბლიური, დამფრთხალი ჩიტებივით დაფარფატებდნენ და ადგილს ვერ პოულობდნენ, თითქოსდა გაურბოდნენ საკაცობრიო უსაზარლეს მომავალ ხანძარს...

* * *

ურთულესი და ტრაგიკულია მისტიკოსი ხელოვანის სიცოცხლე. ის ისწრაფვის ზეცისაკენ, პლანეტებისაკენ, რომლებიც მიუწვდომლობებშია, – ფანტასტიური მანძილია მასსა და ციურ სხეულებს შორის. უსასრულობის ძაფები მოდის და უხილავად გაბმულია, რომელსაც მოჰყვება ხილვები, წარმოსახვები, ოცნებები, მუზები და პოეტური მუსიკალური, ფილოსოფიურ-მისტიკური გააზრება. მაგრამ ობიექტური, ანუ ფაქტია, უხილავია და უშორესი. პლანეტარისტი გამოუვალ მდგომარეობაშია. მიწას და გარემოს ვერ ჰგუობს. მიწა მაინც პატრონია მისი, რადგან ის ხომ ცოცხალი პლანეტაა, ყოველმხრივ განსხვავებული და სამყაროს გარკვეული უძლიერესი სამოქმედო პროგრამაა ჩადებული, რომლის მოქცევაშია მისტიკოსი, და მგოსნის შინაგანი გენეალოგიის ხაზების ბადეშია შეღწეული ვარსკვლავთა მაგნიტური ძალები, რომლებმაც, კერძოდ, ამ სხეულში უფრო განავითარეს უცხო სვლა და მოქმედება. ამ დროს ადამიანი იტანჯება, რაღაც შორეულის, მიუღწევლის გრძნობები ჭამს. ამდაგვარ სრულ პროგრამას ზოგიერთი გენიოსიც ვერ სწვდება, რადგან უდიდესი კოსმოსური წინააღმდეგობებითაა სავსე. პლანეტარიუმის გამორჩეული მგოსნის ირგვლივ თავს იყრიან ზეციური ძალები და მისუსტებული სხეულითვე ექაჩებიან, მაგრამ მისი ფიზიკური არსება ხომ მიწა-პლანეტის საკუთრებაა და ამ ფორმით ორად იწეწება განწირული პიროვნება, მიწისა და ზეციური სამეფოს ქარბორბალას არამიწიერ წესრიგში აჰყავს და მგოსანი იტანჯება. ის უკვე სულიერად არამიწიერია და მისი ჯადო საფშვინველი ძალიან შორეულია და ეს პროცესი უმძიმესი ტკივილის მომგვრელია. სამყაროში – ჩვენი მზის სისტემაში, დედამიწის მარადიული, მიუწვდომელი პლანეტისეული კვნესის ხმა გაისმისო, თურმე!..



* * *

– ამ ბოლო დღეებში უცნაური სუნი ამდის ტანზე. ეს არაა ჭუჭყის, ოფლისა თუ დაუბანლობის, უფრო სიკვდილის მარადიული სუნია, რომელსაც გააჩნია მკვდარი პლანეტების და საფლავების ანუ იმქვეყნიურ ურთიერთობათა მთლიანობის შეგრძნება.

წარმოიდგინეთ, ტერენტი ამ დროს თავის თავსაც არ ელაპარაკებოდა... გაურკვეველია, ვისთან ჰქონდა დიალოგი.

* * *

შემოქმედის ერთ-ერთი შეუცნობელი ტრაგედიათაგანი ისიცაა, რომ უსახო სიკვდილი უკაფავს უკვდავებისაკენ გზას, თითქოსდა თავისი მიწიერი „მე“ უშლიდაო ხელს მის მაღალწარმოსახვით ქმნილებებს...

საფლავების უცნაური შეგრძნება, მიწის დამოუკიდებელი კეთილი სურნელი და მთვარის ღამეულობა ტრიალებდა ირგვლივ.

* * *

მგოსნის ასტრონომიულ-ასტროლოგიური, მისივე კუთვნილი ღამე მჭიდროდ აედევნა გამოუცნობი ფუნქციებით. გარემოს, დროის და სივრცის მიმართ ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანი, უცხო ძალებისაგან უკიდურესად ნერვიული აფეთქებით დამუხტულიყო და სრული გაუცხოებაა... მეზობელი საფლავიდან ზანტი სრიალა გველი გამოდის, მის ულამაზეს სხეულს სიკვდილის და საფლავის ფერთგანწყობილება, თეთრებში მოხატულით მოჰფენია, რენტგენული მომწვანო-მოცისფრო ფოსფორული გამოსხივებით. გრანელს კი არ ეშინოდა მისი, მხოლოდ უკვირდა. შეუვალი და მძაფრი საფიქრალი გააჩნდა თითქოსდა ფიზიკურად სუსტ ქვეწარმავალს. გაოგნებულ მგოსანს დაავიწყდა ყოველი საკუთარი და უახლოეს მიწიერ გარემოსთან მეტად ვარსკვლავეთური გახდა. ამასობაში პოეტის დაბინდული ვერცხლისფერი ფიქრი გაედევნა არამიწიერს. იმ წუთს, რატომღაც, ია-იას ფერებმა იმძლავრეს მის სხეულზე და სულმა იმძლავრა თითქოსდა ყოველგვარი შიშის და ტკივილის შეგრძნება გაქრა მისგან, ადამიანური. ფიქრზე უფრო სხვა ძალა მოაწვა სულმტკივნეული, არასამყაროსეული (რა იყო ეს ასეთი?!) მართლაც-და ღმერთი ხომ არ სტუმრობდა ამ უცნაურ კაცს. დუმილს მიღმა იდუმალი გარემო შემოუვიდა სანთლისფერ დალეულ სხეულში – უცხო იყო ის და უფორმო...

* * *

მსოფლიოს კაცობრიული პოეზიის თითქმის უმეტესობა სიმღერაა სიცოცხლეზე, სიყვარულზე, მშვენიერებაზე, ან ლექსთა თქმა პატრიოტიზმის, ისტორიისა, ტრაგედიისა, ფიქრია მომავალზე ოცნება და ლეგენდა-ზღაპარი არის ლექსი ქებათა-ქება-ხოტბა, ლოცვად თქმულიც არიან ლექსები უამრავი – რელიგიური, პოლიტიკური და საწინააღმდეგო. მრავალი ლექსი ამქვეყნად იუმორისტული და გასართობიცაა, ლექსი-კაფიაობა, სალანძღავიც გახლავთ მრავალი და ლექსი, დიდი პოემა, საოცრება „ვეფხისტყაოსანი“ სიბრძნის და ადამიანური ყველა თვისების კრებული „ფაუსტი“, ნიკორწმინდა, ლექსი „ვასაკა“, „მერანი“ ანუ „სულიკო“...

მაგრამ სხვაა მათ შორის გრანელის პოეზია, გრანელის ლექსად თქმა ამქვეყნიური ტანჯვა და წამება სიცოცხლეშივე სიკვდილთან სინქრონული მიახლოებაა – სიკვდილის ზეციურ-მიწიერი დასურათებაა. გრანელის პოეზია ვარსკვლავთა მოძრაობის – მათი გადაადგილების სამყაროს სივრცეში აურაცხელი ტრაგედიების მინი ლურჯ-ფორმიანი ფილმია – სახეა, პორტრეტია, გრანელის პოეზიის ის განცდაა, რომელსაც ნებისმიერ ცოცხალმა არსებამ უნდა გააროს და ბოლოს იმქვეყნიურობად უნდა იქცეს. სამარე – მიწაა, მაგრამ უძირობის ტევადობის, ბნელზე უფრო იდუმალი და უსასრულო სევდა, რომელშიც შეჭრილია ჩვენთვის უხილავი და საიდანისეული უცნობი სხივები. ბელტების საფარი დუმილი და საკვირველი მიზიდულობის. როგორც თვალთშეუვალი და მარად უცნობი გალაქტიკა, საფლავი გოლგოთაა – მიწის ჭრილობა მიყენებული ტკივილი, დარდი და ფიქრი, განაჩენი და უსაზღვრო სიკეთე; სამარხი შეუცნობადი ღვთიური მადლიერება სამყოფელი მარადიული სიკვდილით გამოგონილი და უთვალავი რაოდენობის ბნელზე ბნელი სადარბაზო, ცრემლის ნაკადული, უიმედო ფიქრი და ღამეული შავი კვადრატი, გამქრალი ნერტილი და... ტერენტის



უკანასკნელი ჭეშმარიტება, სახარების დონეზე თქმული...

* * *

ადამიანს მილიონობით წელი დასჭირდა ევოლუციურად განევითარებინა ხელოვნება, მეცნიერება, კულტურა და შინაგანი ინტელექტი, რომლებმაც ათასწლეულების სხვადასხვა მონაკვეთში უზარმაზარი ცივილიზაციები შექმნა, უძველესი განვითარებები ბევრად უფრო კოსმიურია, ვინემ გვიანდელის გზის ნაპირებში შექმნილები. ავითარებდა ადამიანი ნელ-ნელა აზროვნებას, ლიტერატურას, ფილოსოფიას, მეცნიერებას და იქმნებოდა ფუნდამენტალური ნაშრომები. დღევანდელი მოაზროვნის ბედი კი რთულზე რთულია, მთელი ეს სწავლებები აზრობრივად თუ სულიერად თავისთავში უნდა გამოატაროს, გადაამუშაოს, შემდგომ ახალი უნდა შვას (ხელოვანთ და მეცნიერთ ეხება). ურთულესი სვლაა პიროვნების ისედაც მოკლე ცხოვრებაში. ხსნა?! ისევ ვარსკვლავეთშია უცნაური გზავნილები, რომლის ნაკადი რჩეულია, ხედვა თუ ნიჭის შემადგენლობა ერთი და იგივეა, ოღონდ პიროვნებათა ადამიანური ვალდებულება და ფუნქცია იცვლება. ის სხვადასხვა ევოლუციური სასწაულები, რომლებიც დედამიწის უპირველესმა შვილმა შექმნა, მაინც ერთიანი მთლიანობაა. სამყაროსათვის უთუოდ ნიუანსური თანმიმდევრული ზრდაა ან სხვადასხვაობაა, მაგრამ ეს განსხვავებულობა ხომ ერთეულებმა მოიტანეს თავიანთი სიღრმისეული გონებრივი უღლით, მერმე იქმნება უდიდესი ინდივიდუალური სკოლები. მაგრამ ის ყოველი დროის ერთეულები - ინდივიდები ხომ მარადიული და სრულიად განსხვავებული ჩაუქრობელი ვარსკვლავებია.

ამ ზეციური სასტიკი ტვირთის ტარება გრანელს სამყაროს უსასრულობამ, მისმა განაჩენმა დააკისრა. მასთან ერთად ჩვენი პლანეტის ირგვლივ სივრცეში ერთეულებს თუ შეხვდა ეს ბედნიერი საამო და უსასრულო წამებითი – კოსმიური ჯვარცმა.

* * *

ძალიან ხშირად ადამიანებში, ჩვენს ირგვლივაც ხდება ეს სამარცხვინო სისუსტეები. გაურბიან ღმერთს, არ ცნობენ ზეციური სიყვარულისა და სიკეთის ბადეს, აქ ძალაუნებურად თავის პლანეტასაც გაურბის ის და, რა ხდება?! თავისთავის იზოლირებაა ვარსკვლავეთის უზარმაზარი გულის ფეთქვისაგან, თვითნებური ცოცხალი დასამარებაა არარაობასთან შერიგება და აქ უთუოდ ბნელი ძალა მოქმედებს. შხამიანი ვარსკვლავი და ეშმაკი ძლიერია და უთუოდ, ამ შემთხვევაში, ადამიანის უკიდურესი გათიშვა-მოდუნებაა, საუბედუროდ, სულით მოკვდინებაა და მეტი არაფერი

* * *

თითქმის ლანდადქცეულ მგოსანს, ყოველთაგან განწირულის, ნერვების წრიალი, წკმუტუნი, წკავწკავი და წამი-წამზე წრიულათ სვლა-წამება დაეწყო. აუტოკდა ძარღვები, კაპილარები და ყველასაგან მიტოვებულის სიახლოვეს მხოლოდ საფლავთა ბნელი ფიქრმწოლიარე ფონი ჩანდა.

უცხო შორიახლო შიშინი და შრიალი შემოდიოდა შთენილ სხეულში.

ადრე და ღრმა ალიონის ნისლისფერი სევდა სრულიად სივრცეს სასოწარკვეთით სერავდა. მხოლოდღა ძლიერი პოეტური საფშვინველით იკვებებოდა მგოსნის სხეული და მიწიერი ტანჯვა იწურებოდა.

უკვე განგრინებული გონება, გორად გარდასახული გული – განგება, გაუთავებელმა გოლგოთამ და გარემოსაგან დაუნდობლობამ თანდათან დაღალა და გამოფიტა ტერენტი, დღე-დღეზე ილეოდა კაცი, გონებით ბრმათაგან განწირული.

მერმე სიკვდილმა, ჰოი საკვირველებავ, საკუთარი მკვდრის სხეული დაკარგა და, მისდა დაუკითხავად, შეწირული მიწის კუთვნილება გახდა. კუთხე-კუნჭული უმაგისოდ არ მოიძიებოდა და ყველგან მგოსნის მარტოხელა უდანაშაულო სული ალიაქოთად დაძრწოდა, მარდი და მაგარი მუხლებით კი მოუსავლეთისკენ განგაშაყრილი მიემგზავრებოდა. მგოსნის მტანჯველი მართალ-მოლანდებები და მიუკარება მონობა მთლიანად მორჩა...

უსაშველო და უახლოესი ტანაჯორკილი ურჩხული უგვანოდ უგრეხდა ხელ-ფეხს და ზეცისაკენ ამგზავრებდა, რითაც მგოსნის მიწიერთაგან განწირვა-გამეტება დასასრულს უახლოვდებოდა.

გრანელის მკრთალი მზერა მიწისძვრას მომლოდინე მღვრიე წყლის აკვარიუმის ცისფერი თევზებივით წრიალებდა. მხოლოდ პოეზია იყო აქ ღმერთივით მარადიული, ნათელი, მართალი და მუდმივი: გარდამავლობა ვარდისფერი ვარსკვლავივით კოსმიურ სივრცეს მოწყვეტილიყო, დაუსაბამო მომავლის მთლიანობა მედგრად მოემართებოდა.

დაუდგრომელი დიდების დუმილი, დაუმორჩილებლობა და კაცთაგან დევნილის განწირვითი დაუნდობლობის დევნაა უწყვეტი...

უმკაცრესი მბრძანებელი სიყვარულ-სიკეთისადმი სიძულვილი, საშინელ და სასტიკ სარბიელს არ ტოვებდა და ყოვლის მძლე სიკვდილს გამანადგურებელი ძალა მოეკრიბა...

ყოველთა მზე მზიურად მზეობდა, მზესუმზირები მოელვარე მანათობელს მიფერებოდა. მათგან ზოგს თავი დაეხარა, თითქოსდა მიწას ებოდიშებოდა.

ეშმაკეული ერთსახეობა, ერთკბილა და ერთრქიანი ელამი, ელვად ეკვეთა ეულ – მხოლოდ ერთს...

გულცივი გაცვეთა, გონების გადაგვარება, უსაშველო ეპოქის გოლიათური გესლი, გველ-გუნდთა გორგოლაჭობა, გამცემლობა და გადაგვარება გალეულიყო. ყოველთა სისავსე და ახალი დრო, მოგუდულ პოეტთან ჯვარცმაგამოვლით, ზეციური უსასრულობისკენ მარადისობით მიამგზავრებდა. სამყაროს უსასრულო ძალა-განაჩენს კი, უიმედობა შეჰყროდა გაურკვეველი...

მხატვარ-მწერალი
რეზო ადამია

სამეფო სახლის წევრების გადასახლება რუსეთში

◀ დასაწყისი გვ. 1,5

ადევნებდნენ თვალს. აჯანყებულებმა ბატონიშვილებს ქართლში დაბრუნება და აჯანყების სათავეში ჩადგომა სთხოვეს. 1804 წლის 3 ივნისს იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილებმა ქუთაისი დატოვეს და ქართლისაკენ დაიძრნენ. აჯანყებამდე ერთი წლით ადრე იულონ ბატონიშვილმა კიდევ ერთხელ სცადა საქართველოს მთავარსარდალი პაველ ციციანოვი დაერწმუნებინა იმაში, რომ ქართლ-კახეთის სამეფო უკანონოდ იქნა გაუქმებული და რომ სამართლიანობა მოითხოვდა მეფობის აღდგენას. იულონმა 1803 წლის 16 თებერვალს წერილი გაუგზავნა ციციანოვს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევით. 1803 წლის 26 თებერვალს ციციანოვმა საპასუხო წერილი გაუგზავნა იულონ ბატონიშვილს. საქართველოს მთავარსარდალი ბატონიშვილს პეტერბურგში გამგზავრებას ურჩევდა, სადაც იგი რუსეთის იმპერატორისაგან დიდ წყალობას მიიღებდა. 1803 წლის 9 მარტს იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილები პაველ ციციანოვისადმი საპასუხო წერილში აღნიშნავდნენ: ბატონიშვილები დავით გიორგის ძე და ვახტანგ ერეკლეს ძე, როგორც დამნაშავენი, პატივაყრილები წაიყვანეს რუსეთში, რის გამოც ჩვენ არ ვაპირებთ პეტერბურგში გამგზავრებასო. 1803 წლის 20 მარტს ციციანოვმა იულონ ბატონიშვილს მისწერა: თქვენ რუსეთში წასვლა არა გსურთ, მე კი, როგორც რუსეთის იმპერატორის ერთგულ ქვეშევრდომს, არ შემიძლია ფიცი გავტეხო და იმპერატორის გადაწყვეტილებები განვსაჯოო (ციციანოვი გულისხმობდა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის გადასინჯვას). 1803 წლის 22 მარტს ციციანოვმა იულონ ბატონიშვილს კიდევ ერთი წერილი მისწერა, რომელშიც აღნიშნულია: თქვენ უსამართლოდ მადანაშაულებთ ვახტანგ და დავით ბატონიშვილებისადმი მკაცრად მოპყრობაში, ისინი საქართველოდან სასწრაფოდ იმიტომ წაიყვანეს, რომ ეწინააღმდეგებოდნენ ჩემს თხოვნას რუსეთში გამგზავრების თაობაზეო. ციციანოვი პირობას დებდა, რომ იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილებს, თუ ისინი რუსეთში გამგზავრებას გადაწყვეტდნენ, შესაფერისი ღირსებით მიიღებდნენ. ციციანოვმა ბატონიშვილები რუსეთში გამგზავრებაზე ვერ დაითანხმა, რამაც იგი უკიდურესად აღაშფოთა. იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილები 1804 წლის 3 ივნისს, როგორც აღვნიშნეთ, იმერეთიდან ქართლისაკენ დაიძრნენ. ერევნის სახანოზე სალაშქროდ მიმავალი პაველ ციციანოვი ჯერ კიდევ საქართველოს საზღვრებს არ გასცილებოდა, როდესაც მას შეატყობინეს, რომ იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილები იმერეთიდან ქართლისაკენ მოემართებოდნენ, საიდანაც დიდი ლიახვის, ხოლო იქიდან არაგვის ხეობაში აპირებენ გადასვლასო. ციციანოვმა სასწარაფოდ აცნობა გორის მაზრის მარშალს, პოდპოლკოვნიკ **შანშე ერისთავს:** დიდი სიფრთხილე გამოიჩინეთ, არ დაუშვათ ბატონიშვილების შემოსვლა გორის მაზრაში, რათა არ დაირღვეს მყუდროება და მშვიდობა, არ მოხდეს შფოთი და არეულობა. საქართველოს მთავარსარდალი გორის მაზრის მარშალს უბრძანებდა: წერილის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გადადით დიდი ლიახვის ხეობაში, თან წაიყვანეთ თავადები რევაზ და ზაზა მაჩაბლები და ეცადეთ ბატონიშვილები შეიპყროთო. ციციანოვი პირობას იძლეოდა, რომ თუ ჯეროვნად გაირჯებოდნენ, რევაზ და ზაზა მაჩაბლებს იმპერატორი დააჯილდოვებდა. ქართლის, არაგვის, ლიახვისა და ქსნის ხეობები ციციანოვმა სამ მაზრად დაყო: ქსნის ხეობა და საკუთრივ ქართლი პოდპოლკოვნიკ **მიხეილ ერისთავს** ჩააბარა, პატარა ლიახვის ხეობა – **ელიზბარ ერისთავს,** არაგვის ხეობა – **თორნიკე ერისთავს.** საჭიროების შემთხვევაში ისინი ერთმანეთს უნდა დახმარებოდნენ. წერილის ბოლოს ციციანოვი ასე მიმართავდა შანშე ერისთავს: ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემს ნდობას გაამართლებთ, რადგან, ჯერ ერთი, თქვენი გვარი რუსეთის ტახტის ერთგულებითაა განთქმული, მეორეც, ის, რომ ჩემი დავალების შესრულება თქვენს სამშობლოს მოუტანს სარგებლობასო. საქართველოს მთავარსარდლის წერილმა მიხეილ, ელიზბარ და თორნიკე ერისთავები ისე გაათამამა, რომ არათუ აჯანყებულებს, არამედ ბატონიშვილების ერთგულებაში შემჩნეულ ქართლის თავადებსაც აღარ ინდობდნენ. მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ცხრამუხელი აბაშიძენი, ტეტია თარხნიშვილი და კიდევ რამდენიმე ქართლელი თავადი და აზნაური. და ეს მაშინ, როცა იმერეთიდან ქართლისაკენ წამოსულ იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილებს თან მხოლოდ 55 თავადი და აზნაური ახლდა. 1804 წლის 3 ივნისს ქუთაისიდან გამოსული იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილები, რომელთაც თან ახლდნენ იულონის ორი შვილი, ლევანი და ლუარსაბი, ამალასთან ერთად, 8 ივნისს, იმერეთიდან მტკვრის ხეობაში გადმოვიდნენ. ბატონიშვილები მტკვრის ხეობაში მდინარე ლიკანის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) ხეობით უნდა შემოსულიყვნენ. ეს ბატონიშვილებისთვის ყველაზე მოხერხებული გზა იყო იმერეთიდან ქართლში გადმოსასვლელად. იყო მეორე გზაც, ზემო იმერეთიდან ჭერათხევის ხეობით, რომელიც სოფელ ალის გავლით დღევანდელ სოფელ გომთან გამოდიოდა. ამ გზით ბატონიშვილები ვერ ისარგებლებდნენ, რადგან გორსა და სურამში რუსეთის ჯარი იდგა და ქართლის ეს ნაწილი მუდმივად კონტროლდებოდა. იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასვლას აპირებდნენ, რათა ციციშვილების სათავადოს გავლით თავად თარხნიშვილების მამულში მისულიყვნენ. ბატონიშვილებმა ასეთი არჩევანი იმიტომ გააკეთეს, რომ ქართლის ეს ნაწილი, მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე საციციანო, სათარხნიშვილო და საჯავახიშვილო, რუსეთის ჯარის მიერ ვერ კონტროლდებოდა და, ამავე დროს, სრულიად თავისუფალი იყო ქსნისა და არაგვის ერისთავების გავლენისაგან. იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილების სამოქმედო გეგმა ასეთი იყო: ერთ-ერთი მათგანი თარხნიშვილების მამულიდან შიდა ქართლში, სოფელ ყორნისში, უნდა ასულიყო და დიდი ლიახვის ხეობაში შეჩერებულიყო; მეორე – არაგვის ხეობაში უნდა შესულიყო, საიდანაც მთიულეთში გადავიდოდა. თუ აჯანყება დამარცხდებოდა, ძმები ირანში – ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიხიზნებოდნენ. 1804 წლის 8 ივნისსვე, ღამით, იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილები, თავად აბაშიძეების დახმარებით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასვლას ცდილობდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს, ისევ ხეობაში დარჩნენ და თავი გოგიას ციხეს (დღევანდელ ბორჯომში) შეაფარეს. გოგიას ციხეში ბატონიშვილებმა სამი დღე-ღამე გაატარეს. ამასობაში აბაშიძეებმა ტივი შეკრეს, მაგრამ მდინარეზე გადასვლისას ტივი დაიშალა და გადასვლაც ვერ მოხერხდა. დიდი ხნით მტკვრის ხეობაში დარჩენა, სურამში მდგარი რუსეთის ჯარის გამო, საშიში იყო. ბატონიშვილები შიშობდნენ, რომ რუსები, აგენტურის წყალობით, მათ ადგილ-სამყოფელს დააგდენდნენ. ამიტომ იყო, რომ ბატონიშვილები გოგიას ციხეში მეტ ხანს აღარ გაჩერებულან. იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილებმა დააპირეს ფრონეს ხეობას აჰყოლოდნენ, რათა შემდეგ სოფელ თიღვისა და სოფელ ყორნისის გავლით დაბა ცხინვალში ჩასულიყვნენ. ცხინვალიდან ბატონიშვილები დიდი და პატარა ლიახვის სათავეებისაკენ აპირებდნენ წასვლას, საიდანაც ქსნისა და არაგვის ხეობაში გადავიდოდნენ, რათა რაც შეიძლება სწრაფად მთიულეთში ასულიყვნენ. შანშე ერისთავი, ზაზა და რევაზ მაჩაბლები, გიორგი ამილახვარი, თავიანთ სათავადოებში შეკრებილი ლაშქრით, და ქალაქ გორის კომენდანტი რეიხი, გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ბატონიშვილების მოძრაობას. 1804 წლის 24 ივნისს სოფელ აბისში მივიდა ცხინვალიდან 40 ეგერით წამოსული შტაბს-კაპიტანი ნოვიცკი. იმავე დღეს აბისში კაზაკების რაზმით შევიდა **ესაული კონდრაშევი.** ჯარის თავმოყრა ბატონიშვილებს არ გაუგიათ. 24 ივნისს მათ უღრან ტყეში გადაწყვიტეს ღამის გათევა. ადგილს, სადაც ბატონიშვილებმა ბანაკი დასცეს, სანურბლიე ერქვა. ეს ადგილი სოფლებიდან დიდი მანძილით იყო მოცილებული და მდევარი ძნელად იეჭვებდა, რომ ისეთ უღრან ტყეში ბატონიშვილების ბანაკი იქნებოდა. იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილების გადაადგილებას, როგორც ჩანს, ფარულად ადევნებდა თვალს ქართლელი თავადი **იაგორ ამირეჯიბი.** მოღალატემ შტაბს-კაპიტან ნოვიცკისა და ესაულ კონდრაშევის რაზმები მძინარ ბატონიშვილებს დააყენა თავზე. ატყდა საშინელი ხელჩართული ბრძოლა. რუსებმა მოულოდნელობით ისარგებლეს და ბატონიშვილების მძინარე ამალის ნაწილი დახოცეს. ქართველთაგან შეჯახებისას 20 კაცი დაიღუპა, მათ შორის ტეტია თარხნიშვილი და ფირან ჩერქეზიშვილი. რუსებს მოუკლეს ერთი ეგერი, ხოლო ერთი კაზაკი დაიჭრა. ეგერებმა იულონ ბატონიშვილიც კინაღამ მოკლეს, ცოტაც და, ბატონიშვილს ხიშტზე ააგებდნენ, რომ შტაბს-კაპიტან ნოვიცკის არ ეცნო იგი და მისი დატყვევების ბრძანება არ გაეცა. სიკვდილსა და ტყვეობას გადაურჩნენ ფარნავაზ ბატონიშვილი და იულონის ვაჟი ლევანი. მათ სიბნელით ისარგებლეს და უღრან ტყეს შეაფარეს თავი. გაბაწრული იულონ ბატონიშვილი საწურბლიიდან სოფელ ბრეთში მიიყვანეს. ბრეთიდან ტყვემ წერილი მისწერა თავის მეუღლეს – სალომეს: ბედმა მიმუხთლა, რუსებმა შემიპყრეს, თქვენც დამორჩილდით ბედს, მოდით და ერთად ავიტანოთ უბედურებაო. წერილის წამღები იულონის ერთგული მსახური აზნაური **აბაზაძე** არც თვითონ დაბრუნებულა და არც არავითარი პასუხი შეუტყობინებია ბატონიშვილისათვის. ჩანს, იულონის მეუღლემ პასუხის გაგზავნისაგან თავი შეიკავა: ქმარს უარი ვერ შეჰბედა, მაგრამ არც რუსების ხელში ჩავარდნა სურდა. კონდრაშევსა და ნოვიცკის ლოდინი მობეზრდათ და იულონ ბატონიშვილის თბილისში გადაყვანა დააჩქარეს. თბილისის ციხეში იულონ ბატონიშვილს ჩვეულებრივი ტუსაღის ულუფა, დღეში 25 კაპიკის საზრდო, დაუნიშნეს. პაველ ციციანოვმა ეს გადაწყვეტილება შეცვალა და ბატონიშვილს დღეში 10 მანეთად ღირებული ულუფა დაუნიშნა. ბატონიშვილ იულონის დაპატიმრების ამბავი ქართლსა და კახეთს უცებ მოედო. მეგობრებს თავზარი დაეცათ, მტრებმა გაიხარეს. პაველ ციციანოვი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ ვიქტორ კოჩუბეის სწერდა: უმაგრესი და მიუვალი ციხე რომ ამეღო და დამექცია, ისე არ გამიხარდებოდა, როგორც იულონის შეპყრობა. ვიდრე ამ ასპიტების (სამეფო სახლის წევრების – ვ.გ.) თესლი საქართველოს ახლომახლო იქნება, ქართველების თავქარიანობის გამო აქ მშვიდობა და მყუდროება არ ჩამოვარდებაო. როგორც ჩანს, ციციანოვი იმდენად იყო გახარებული, რომ ვიქტორ კოჩუბეის ასეთ რაიმეს უყვებოდა: ესაული კონდრაშევი ისე იბერება და იჭიმება, ისეთი კილოთი წერს რელაციას, რომ, გეგონებათ, სწორედ ამ კაზაკ ოფიცერს ან ნაპოლეონი დაუმარცხებია, ან კიდევ ალექსანდრე მაკედონელივით სპარსეთის ძველი მონარქია დაუმხია და მონარქი ცოლ-შვილით ტყვედ ნაუყვანიაო. ესაულმა კონდრაშევმა საქართველოს მმართველ **დიმიტრი ვოლკონსკის** მოხსენება მიართვა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მასა და შტაბს-კაპიტან ნოვიცკის იულონ ბატონიშვილის შეპყრობისას გვერდიდან არ მოსცილებიან თავადები იაგორ ამირეჯიბი და ნიკოლოზ მუსხელიშვილი. სოფელ აბისში ჩასული შანშე ერისთავი ისე გახარებული ყოფილა, რომ ესაულ კონდრაშევის მოხსენება დაუდასტურებია და აბისიდანვე გაუგზავნია ციციანოვისათვის, რომელიც იმხანად ერევნის ციხის აღებისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობდა. ციციანოვმა თავად შანშე ერისთავის შუამდგომლობის საფუძველზე ბატონიშვილ იულონის შეპყრობის მონაწილენი უხვად დააჯილდოვა: შტაბს-კაპიტან ნოვიცკის კაპიტანის ჩინი და მესამე ხარისხის ჯვარი ებოძა, ესაულ კონდრაშევს – ოქროს მედალი, იაგორ ამირეჯიბს – პორუჩიკის ჩინი და მისი შესაბამისი ჯამაგირი, ეგერებსა და კაზაკებს (სულ 100 კაცი) – ორ-ორი მანეთი თითოეულს. იულონ ბატონიშვილი ერთხანს თბილისის ციხეში იმყოფებოდა, 1805 წლის გაზაფხულზე კი რუსეთში დაასასხლეს. ფარნავაზ ბატონიშვილის გზავნილს რუსებმა კარგა ხანს ვერ მიაკვლიეს. მან ირანს შეაფარა თავი და როცა ვითარება ოდნავ განიმუხტა, ბორჩალოს გავლით საქართველოში დაბრუნდა. 1804 წლის 18 ივლისს ბორჩალოს დისტანციის ბოქაულის თანაშემწემ პრაპორშჩიკმა ქანანოვმა პაველ ციციანოვს მოახსენა: ფარნავაზ ბატონიშვილი დემურჩასალოს მახლობლად შაბლუხს დგას 600 ლეკით და თუშების, ფშავლების, ხევსურებისა და ოსების ლაშქარს ელოდებაო. ბატონიშვილს დემურჩასალოელი თათრებისათვის ჯარის შესანახი სურსათ-სანოვაგე უთხოვია. პრაპორშჩიკი ქანანოვი იმდენად გათავხედებულა, რომ მოხსენება პირდაპირ ერევნის ციხესთან მდგარი ციციანოვისათვის გაუგზავნია და თან მოხსენების ბოლოს რჩევაც უკითხავს გენერლისათვის: 8 ლეკი მყავს ტყვედ, თუ მათ გავათავისუფლებ, მპირდებიან ფარნავაზ ბატონიშვილს ხელ-ფეხშეკრულს მოგგვრით, არ ვიცი, გავცვალო თუ არა ლეკები ბატონიშვილშიო. ეტყობა, ციციანოვი სერიოზულად გააბრაზა პრაპორშჩიკის თავხედობამ და პასუხად ასეთი რამ მისწერა: მე რაღას მეკითხები, აიღე და გაცვალე ლეკები ბატონიშვილზეო. თანაც საქართველოს მთავარსარდალი ქანანოვს აფრთხილებდა, ლეკებმა არ მოგატყუონო. ცხადია, ქანანოვი ეშმაკობდა, მაგრამ ის კი ვეღარ გათვალა, რომ ციციანოვს ვერ გააცურებდა: პრაპორშჩიკ ქანანოვს მისდამი დაქვემდებარებული მცირე რაზმით ფარნავაზ ბატონიშვილი როგორ უნდა შეეპყრო, თუ მას 600 ლეკი იცავდა, ან აჯანყებული თუშები, ფშავლები და ხევსურები როგორ უნდა ჩასულიყვნენ ბორჩალოში, რუსეთ-ირანის ომის ფრონტისპირა რაიონში! ასე თუ ისე, ქანანოვმა ფარნავაზ ბატონიშვილი ვერ შეიპყრო. როგორც ჩანს, მას არც ბატონიშვილი და არც 600 ლეკი თვალით არ უნახავს. ქანანოვმა, ალბათ, საიდანღაც შეიტყო, რომ ირანიდან მომავალმა ბატონიშვილმა მტკვარი დემურჩასალოს ფონით გადალახა და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. ფარნავაზ ბატონიშვილს არც 600 ლეკი ეყოლებოდა, ესეც ქანანოვის თავის მართლების მიზნით შეთხზულს ჰგავს, ვერავინ მისაყვედურებს, ბატონიშვილი როგორ დაგისხლტა ხელიდანო. 1804 წლის 10 სექტემბერს ფარნავაზ ბატონიშვილი კახეთში ჩავიდა, საიდანაც ჯერ ანანურში, ხოლო შემდეგ მთიულეთში, აქედან კი ხევში ავიდა და აჯანყებულებს შეუერთდა. ფარნავაზ ბატონიშვილს გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს რუსები. 1804 წლის 23 სექტემბერს **მაიორი გარცევიჩი** სოფელ მუხრანიდან ვოლკონსკის მოახსენებდა: 22 სექტემბერს ფარნავაზ ბატონიშვილი 6.000 მებრძოლით ანანურის მიდამოებში გამოჩნდა და, როგორც ჩანს, დუშეთზე თავდასხმას აპირებსო. მაიორი გარცევიჩი მუხრანში განლაგებული ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკისა და ეგერთა მე-15 პოლკის რამდენიმე ასეულით დუშეთისაკენ დაძრულა, რათა ბატონიშვილისათვის დაესწრო. ფარნავაზ ბატონიშვილი რუსებთან ბრძოლაში დამარცხდა. **გენერალ-მაიორ ნესვეტაევისა** და **პოდპოლკოვნიკ ბიხალოვის** მიერ დევნილ ფარნავაზ ბატონიშვილს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ქსნის ერისთავები მირმანოზი და სოლომონი და ყველაფერს დაუყოვნებლივ ატყობინებდნენ ციციანოვს. ბატონიშვილმა სასწრაფოდ დატოვა ხევი და შეეცადა ხევსურთა და ფშაველთა ძალების ხელახალ თავმოყრას, მაგრამ უშედეგოდ. ფარნავაზ ბატონიშვილი კახეთში გადავიდა, საიდანაც ერევანში აპირებდა ჩასვლას. უმჯობესი იყო ბატონიშვილი დაღესტანში გახიზნულიყო და იქედან ეცადა ირანში გადასვლა, რადგან კახეთი რუსეთის ჯარით იყო სავსე. ციციანოვი ბატონიშვილის შეპყრობას სწორედ კახეთში გეგმავდა. მან ფარნავაზ ბატონიშვილის დაკავება პოლკოვნიკ **სემიონ პორტნიაგინს** უბრძანა. ბატონიშვილ ფარნავაზს თიანეთში ელოდა ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის კაპიტანი **სავარსამიძე** 2 ასეულითა და ზარბაზნებით. გაიგო თუ არა ბატონიშვილის კახეთისაკენ წასვლა, სავარსამიძემ ქვეითები და ზარბაზნები თიანეთში დატოვა და კაზაკთა რაზმით ფარნავაზს დაედევნა, მაგრამ ბატონიშვილი მდევრებს დაუსხლტდა. ციციანოვმა მას ახალი რაზმი დაადევნა **მაიორ გოკიელის** მეთაურობით, რომელსაც თან გააყოლა ბრიგადირი **თამაზ ორბელიანი.** თავადი თამაზ ორბელიანი ფარნავაზის ახლო ნათესავი იყო. 1804 წლის ოქტომბერში, თბილისიდან 40 ვერსის მოშორებით, ბორჩალოში, მტკვარზე არსებულ დემურჩასალოს ფონთან თამაზ ორბელიანი, მაიორი გოკიელი და ბორჩალოს ბოქაულის თანაშემწე **პრაპორშჩიკი ქანანოვი** ფარნავაზ ბატონიშვილს დაეწიენ და შეიპყრეს. 1804 წლის 31 ოქტომბერს გახარებული ციციანოვი ალექსანდრ I-ს მოახსენებდა: ფარნავაზ ბატონიშვილი 31-კაციან ამალასთან ერთად შევიპყარითო. თავადმა თამაზ ორბელიანმა გაბაწრული ფარნავაზ ბატონიშვილი თბილისში ჩამოიყვანა და ციციანოვს მიჰგვარა. ფარნავაზი ციხეში ჩასვეს და დღიურ ულუფად 5 მანეთი დაუნიშნეს. მან ციხეში 5 თვე გაატარა. 1805 წლის 5 აპრილს პაველ ციციანოვმა ბატონიშვილები იულონ ერეკლეს ძე და ფარნავაზ ერეკლეს ძე რუსეთში გაგზავნა. **იულონი საცხოვრებლად ქალაქ ტულაში გაამწესეს, ფარნავაზი – ქალაქ ვორონეჟში.** იულონს დღიურ ხარჯად 15 მანეთი დაუნიშნეს, ფარნავაზს 10 მანეთი. ორივე ბატონიშვილის რუსეთში გადაყვანა და მათი დაბინავება რუსეთის ხაზინას 5.116 მანეთი და 30 კაპიკი დაუჯდა.



დარიალი.
ჰერმან როსკოშნის ილუსტრაცია

***

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც შემოირიგა და ვერც შეიპყრო ბატონიშვილები ალექსანდრე ერეკლეს ძე და ლევან იულონის ძე. ***ალექსანდრე ბატონიშვილი რამდენიმე ათეული წელი ებრძოდა რუსეთს და სამშობლოდან გადახვეწილი გარდაიცვალა.*** 1804 წელს რუსეთის ტყვეობას გადარჩენილმა ლევან ბატონიშვილმა 1810 წელს შიდა ქართლში აჯანყების მოწყობა სცადა, მაგრამ დამარცხდა. **ლევან იულონის ძე გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ახალციხეში** – ერთ-ერთმა ლეკმა, რომელიც ბატონიშვილს გზად მიმავალს შეხვდა, მოულოდნელად ესროლა და მოკლა.

ექსპრესიონისტული ასპექტები კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიონისოს ღიმილი“

ლალი ქვრივიშვილი

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ ერთ-ერთი საინტერესო და მაღალი მხატვრული დონის მოდერნისტული რომანია. კერძოდ, იგი ექსპრესიონისტული მიმდინარეობის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ქართული პროზის ისტორიაში. მასში მკვერად არის ასახული მითოსს მოკლებული სივრცე, მოდერნული ქალაქის ქაუტურობა, მატერიალისტური საზოგადოების გულგრილობა, კულტურის გაუფასურება, რომლის ფონზე წინა პლანზეა წამონეული ამ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების სულიერი და მორალური კრიზისი. ვულგარულმა სოციოლოგიურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ და მაშინდელმა ოფიციალურმა საბჭოურმა ლიტერატურულმა წრეებმა არასწორად შეაფასეს მწერლის ოციანი წლების შემოქმედება და მისი მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები.

ექსპრესიონიზმი XX საუკუნის მოდერნისტული მიმართულებაა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. კ.გამსახურდია ოციან წლებში უდავოდ ერთ-ერთი ორთოდოქსი ექსპრესიონისტია, რომელიც იზიარებს ამ სკოლის, როგორც იდეურ-ესთეტიკურ, ისე მხატვრულ-სტილურ პრინციპებს. იგი გრიგოლ რობაქიძესთან ერთად თანამიმდევრულად ამკვიდრებს ქართულ მწერლობაში მოდერნიზმს – ექსპრესიონისტულ პოეტიკასა და მხატვრულ ნარატივს.

მკვლევარმა გურამ კანკავამ სწორად მიუთითა ექსპრესიონიზმის გამსახურდიასეულ განსაზღვრაზე, იმ მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებზე, რომლებშიც გამოვლინდა პრაქტიკულად ამ მიმართულების კონკრეტული ნიშნები მწერლის შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით განიხილება მწერლის ეს რთული და პრობლემატური რომანი „დიონისოს ღიმილი“.

ადრინდელმა საბჭოურმა სალიტერატურო კრიტიკამ აშკარად, არაობიექტურად, ტენდენციურად, განიხილა კ. გამსახურდიას ეს პროზაული შედევრი, რომელიც ჭეშმარიტად უდიდესი მოვლენაა ქართულ და არამარტო ქართულ პროზაში. მასში ჩანს ექსპრესიონისტული და რეალისტური ტენდენციები.

მკვლევარი დიმიტრი ბენაშვილის აზრით, „დიონისოს ღიმილი“ ერთსა და იმავე დროს ხარკს უხდის როგორც ლიტერატურულ რეალიზმს, ისე მოდერნიზმს. იგი უნდა ჩაითვალოს უღელტეხილად დეკადენტური მისტიციზმიდან რეალიზმისკენ.

„დიონისოს ღიმილში“ კონსტანტინე გამსახურდიამ წარმოაჩნა მოდერნის ეპოქის არაჰარმონიულ სამყაროში მცხოვრებ პერსონაჟთა სიმბოლური სახეები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან 20-იანი წლების ქართულ და ევროპულ საზოგადობრივ აზროვნებასა და სარწმუნოებრივ პრობლემებზე.

„დიონისოს ღიმილი“ ერთ-ერთი პირველი მოდერნისტული რომანია ქართულ პროზაში; მისი პოეტური ენა, თხრობის ინდივიდუალური სტილი და საზოგადოდ რომანის სტრუქტურა, პოეტიკა და ესთეტიკურ-მხატვრული მხარე ნათლად მეტყველებს, რომ იგი მოდერნისტული პროზის ნიმუშია. თუმცა ნაწარმოების ცენტრალური პერსონაჟი კონსტანტინე სავარსამიძე იმ სოციალური ფენის შვილია, რომელიც ასახეს: ილია ჭავჭავაძემ, გიორგი წერეთელმა, დავით კლდიაშვილმა და შალვა დადიანმა, მაგრამ მათი პერსონაჟებისაგან განსხვავებით, სავარსამიძის სახე სცილდება სოციალურ-ეროვნულ საზღვრებს და საკუთარ თავში ატარებს „მსოფლიოს სევდას“. ამდენად, ნაწარმოების მთავარი გმირი კონსტანტინე სავარსამიძე ტიპური მოდერნისტული პერსონაჟია; ის ე.წ. „არამყარი“ პერსონაჟია, რომლის შინაგანი სამყარო დესტრირებულია. ის არ არის მონოლითური პიროვნება, ანუ მასში იკვეთება „მეს“ სუბიექტურობის რღვევა. თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში (ეს, ზოგადად, მოდერნისტული რომანის დამახასიათებელი ნიშანია), რის გამოც უფრო ნათელია ამ პერსონაჟის ეგზისტენციალური კრიზისი. კონსტანტინე სავარსამიძე ექსპერსიონისტული ლიტერატურის ტიპური გმირია. მის მოუსვენარ ბუნებას განსაზღვრავს ეპოქის აფორიაქებული ხასიათი. იგი გარემოსთან გაუცხოებულია, როგორც მარტოსულს, მას სულიერ შვებას ვერ ანიჭებს ვერც ფართო განსწავლულობა, ვერც პირადი და ეროვნული ღირსებები. გრძნობს, რომ წილდაკარგული, ზედმეტი ადამიანია, რომელიც არც აწმყოს უნდა და არც მომავალს, ფესვებმომპალ ფუღუროსა ჰგავს.

კონსტანტინე სავარსამიძე ევროპაში მცხოვრები ქართველი აზნაურია, რომელმაც ახალგაზრდობაში მიატოვა სამშობლო და უცხოეთში გადაიხვეწა. მან გაყიდა მამისეული ვენახი, რითაც წინაპრებთან სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი. ეს მოტივი კიდევ უფრო გამძაფრებულია მამის წყევლის ფაქტით, რაც თავის მხრივ უპერსპექტივობის მომასწავებელია; ამის შემდეგ სავარსამიძე იქცა გაუცხოებულ და „უსამშობლო“ გმირად.

„ქვეყანაზე საკუთარი „შინ“ არ გქონდეს, ცაში ღმერთი არ გეგულებოდეს

და არც არავის უყვარდე ამ გაუცხოებული ცხოვრების ბნელ ღამეში„?!

პატრიარქალურ გარემოში აღზრდილი სავარსამიძე უცხოეთში ვერ ეგუება მოდერნული ქალაქის ინდუსტრიულ ყოფას, „ბენზინის სუნით აყროლებულ ქუჩებს“, გართულებულ ყოფით და სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციებს (აქედან ექსპრესიონიზმის კრიტიკული პათოსი, არსებული სინამდვილის წინააღმდეგ), ამიტომ ევროპის მეგაპოლისებში ის თავს ყოველთვის მარტოსულად გრძნობს. პარიზისა და გერმანიის სალონური ცხოვრება და იქ წარმოშობილი ცრუ ურთიერთობები კიდევ უფრო გარიყულად და მიუსაფარად აგრძნობინებს თავს მთავარ გმირს. ქალაქის მერკანტილური საზოგადოება, რომელიც მხოლოდ კაპიტალიზმზეა ორიენტირებული, კიდევ უფრო ამძაფრებს „უსამშობლო გმირის სულიერ კრიზისს, რისი გამომხატველიცაა სავარსამიძის ნაღვლიანი შეძახილი: „რად გამომრიყე ღმერთო ამ ბუხჰალტერების საუკუნეში?“.

ნათელია, რომ თანამედროვე ეპოქაში ხსნა ტრადიციული გზებით შეუძლებელია, ამიტომ მარტოსული, უღმერთოდ დარჩენილი, საზოგადოებისგან გარიყული და გაუცხოებული გმირი იძულებულია, საკუთარი თავის გადასარჩენი გზა თავად აირჩიოს. რომანში კი კონსტანტინე სავარსამიძე სხვადასხვა გზით ცდილობს ჩაკეტილი წრის გარღვევას, სწორედ ამ მიზნით იწყებს ის ევროპის ქვეყნებში ოდისეას, ხან საყვარელ ქალთან ჯენეტთან ცდილობს ახალი ცხოვრების დაწყებას, თუმცა, ბევრი მცდელობის შემდეგ, საბოლოოდ გმირი საქართველოში ბრუნდება, მაგრამ აქაც ვერ პოულობს სულიერ სიმშვიდეს.

ერთი ქართველი კრიტიკოსი სავარსამიძეს რუსოს მიმდევარს უწოდებდა და წერდა: „მას (კონსტ.სავარსამიძეს) აშინებს ცხოვრების მექანიზაცია, ის ილაშქრებს თანამედროვე ქალაქების, ინდუსტრიის და მანქანების წინააღმდეგ; მისი მისწრაფებაა პრიმიტიულ ბუნებაში ცხოვრება პირველყოფილი წესებით. ის აღფრთოვანებულია, როდესაც უბრუნდება აბასთუმნის მთებს, ტაია შელიას ჯოგს და ველურად ცხოვრობს“, მაგრამ ეს არ არის სწორი. როგორც უკვე მივუთითეთ, სავარსამიძის ბუნება უნდა მოვიაზროთ არა როგორც გარკვეული სოციალური (ფეოდალური) კლასის შვილი ან პიროვნული ხასიათი და ზედმეტი ადამიანისთვის მახასიათებელი ნიშნის მატარებელი, არამედ როგორც ეპოქის პროდუქტი, როგორც საუკუნეთა მიჯნაზე გართულებული სოციალურ - პოლიტიკური კატაკლიზმებისა და ტექნიკური გაუცხოების პირობებში მომწყვდეული ადამიანის ტრაგიზმი. თუ დავუშვებთ, რომ ამ მიმართულებით სავარსამიძის ხასიათს აკლია ფერადები, მხატვრული ნიშნები, შემდეგ „მთვარის მოტაცებაში“, შეიძლება ითქვას ხდება ამ ხასიათის განსრულება... ამასთან, არ ვიქნებით სწორი, ტექნიკური გაუცხოების პრობლემა. როგორც ასეთი, მხოლოდ ე.წ. „კაპიტალისტურ საზოგადოებას“ გადავაბრალოთ. იგი მთელი სიმძლავრით დადგა, განსაკუთრებით დღეს, ჩვენს საზოგადოებაშიც. ამდენად, ცივილიზაციის ჰარმონიული განვითარების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს.

კონსტანტინე სავარსამიძის მითოსურ-დიონისური საწყისებისკენ ლტოლვა ტაია შელიას ისლის სახლში იწყება. თავად კონსტანტინე სავარსამიძის მორდუ, ტაია შელია მითოსური ცნობიერების მატარებელი გლეხია, რომლის მიერ პატარა კონსტანტინეს მითოსურ ცნობიერებასთან ზიარების შემდეგ ხდება სავარსამიძისთვის ფილისტურ-ბიურგერული ცხოვრება უფერული, ამიტომაც აღმოჩნდა მთავარი გმირისთვის გაუგებარი მამამისის სიყვარული მიწისადმი. საყურადღებოა, რომ ტაია შელიას ისლის სახლი, რომელიც ბუნების წიაღში მდებარეობს, უპირისპირდება ურბანულ ქალაქს. ბუნება, ამ შემთხვევაში, მხოლოდ მატერიალური სივრცე არ არის.

მოდერნისტული რომანი ხშირად მრავალპლანიანია, გამონაკლისი არ არის არც „დიონისოს ღიმილი“, რომელშიც შემოდის სიზმრისეული და მითოსური პლანები. კონსტანტინე სავარსამიძე არათანაბრად განვითარებული ცივილიზაციის ზრდადაუმთავრებელი პირმშოა, რომელიც ჯერ კიდევ თვით ისტორიულ ეპოქას ვერ ჩამოუყალიბებია. მწერალმა შენიშნა ეს და კონკრეტულ რეალურ გარემოსა და სოციალურ სივრცეში ასახა პერსონაჟები, რომლებიც მოქმედებენ ფრიად გართულებულ სიტუაციებში.

მთავარი პერსონაჟის ეროვნული ფორმა, თუნდაც მისი აშკარა ქართული ხასიათი, არ ზღუდავს მის ზოგად ბუნებას. ამ სახის დაკავშრება მითთან (კ.იმედაშვილი, ა. ცანავა, ს. სიგუა) არ ცვლის ლიტერატული პერსონაჟის ბუნებას. შეიძლება ითქვას, „დიონისოს ღიმილის“ ექსპრესიონისტული პერსონაჟები რეალურ გარემოსა და სოციალურ-პოლიტიკურ ფონზე მოქმედებენ. მათში, როგორც საზოგადოდ რომანის სტრუქტურაში, შეზავებულია ორივე მიმართულების – ექსპრესიონიზმისა და რეალიზმის არსებითი პრინციპები. ეს პროცესი მწერლის შემოქმედებაში უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება 20-იანი წლების დასასრულს და რეალიზმის სასარგებლოდ ვითარდება.

„დიონისოს ღიმილში“ როგორც ტექსტის საზრისის გაშლა-განვითარების, ისე ტექსტის სტრუქტურირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მამა-შვილის ურთიერთმიმართების პარადიგმა. კ. გამსახურიას რომანში მამის მითოსური ხატი და მასთან დაკავშირებული ვენახის სახისმეტყველებითი სიმბოლო მოდერნიზმის ეპოქაში, ხოლო შვილის მიერ საკუთარი მამის უარყოფა, უკვე რომანის დასაწყისიდანვე ჩანს, რომ სავარსამიძე, შესაბამისად, მოდერნიზმის ეპოქის ადამიანია, რომელიც მენტალური თვალსაზრისით მითოსური ცნობიერების მატარებელი ინდივიდი და ძველი ქართული არისტოკრატიული სულიერი კულტურის უკანასკნელი წარმომადგენელია.

განსაკუთრებით საინტერესოა „დიონისოს ღიმილის“ ფერთამეტყველება, რომელიც კვლავ დიონისურ სიმბოლიკასთან იკვეთება.

დიონისური სიმბოლოების საპირისპიროდ რომანში წარმოდგენილია ანტი-დიონისური სიმბოლოები, რომლებიც მოდერნის ეპოქის დესაკრალიზებაზე მოქმედებს. მთელი რომანის მანძილზე სავარსამიძე მუდმივად ირყევა საკუთარი ეგზისსტენციის ესთეტიკურ, ეთიკურ და რწმენისეულ ფაზებს შორის, რაც თავად რომანის სტრუქტურაზე აისახება: კერძოდ, რომანის კომპოზიცია ისეა აგებული, რომ ერთმანეთს ენაცვლება სავარსამიძის რწმენითა და მაღალი სულიერებით აღვსილი ნიუანსები.

მთელი ცხოვრების მანძილზე სავარსამიძე მუდმივად ცდილობს ეგზისტენციის ეთიკურ ფაზაზე სასოწარკვეთილებისა და შიშის დაძლევას. გარდა ამისა, ჯენეტისადმი სავარსამიძის სიყვარული, რომელიც სცილდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო, ან ფსიქოლიგიზებულ სასიყვარულო ისტორიას.

„დიონისოს ღიმილის“ – „კაცი რომელიც ვეღარ იცინის“, წარმოგვიდგენს ოქტომბრის უმშვენიერეს დროს პარიზში, სადაც თითქოს შეფარვით იკვეთება პერსონაჟის მწუხარება, რომელიც სხვა ქვეყანაშია გადასული ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების გამო: „ ო, შემოდგომის მწუხარებავ, სხვის ქვეყანაში!“

საკმაოდ რთულია შენი სამშობლოსაგან მოშორებით ცხოვრება, გიწევს ყოველივე ახალს შეეგუო და იმ გარემოსთან რეალიზდე. სწორედ ამიტომ ცოცხალთა შორის უფრო მახინჯი არაფერი ყოფილა, წარბები და თმა გადაუტრუსავს გაზებს.

კ.გამსახურიადიას „დიონისოს ღიმილიც“ სწორედ ტიპური მოდერნისტული მხატვრული ტექსტია. ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის სივრცეში ეს არის ყველაზე უფრო სრულყოფილი მხატვრული ტექსტი მოდერნისტული ესთეტიკის თვალსაზრისით, რომლის საზრისეული დისკურსი მოდერნიზმის ეპოქის ადამიანის ეგზისტენციალური და სულიერი კრიზისის წარმოჩენაზეა მიმართული, რაც გამოწვეულია მენტალობის საყოველთაო ცვალებადობით, ანუ სხვაგვარად – ღირებულებათა საყოველთაო გადაფასებით, ამავდროულად, კ. გამსახურდიას რომანის ტექსტში მოცემულია ღმერთის სიკვდილით გამოწვეული ეგზისტენციალური კრიზისის დაძლევის ცდა-მოდერნიზმის ეპოქაში.

ამრიგად, გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის“ მიხედვით მატერიალურ მოდერნის ეპოქა კლავს დიონისოს საკრალურ საწყისს, რითაც ცხადდება, რომ მოდერნის ეპოქაში იდეალის პოვნა და თვითგადარჩენა შეუძლებელია. მოდერნის ანტი-დიონისური ხასიათი იმდენად ტოტალურია, რომ დიონისოს ამქვეყნად ცხოვრება არ შეუძლია და გარდაუვალი სიკვდილი ელის. მისი სიკვდილი კი მრავალჯერაა წინასწარ გაცხადებული სავარსამიძის სიზმრებში. აქ კონცეპტუალურია, რომ ფარვიზის სიკვდილის მიზეზი სწორედ ტექნოკრატიზმის სიმბოლო - ავტომობილი ხდება. მაშასადამე, გამსახურდიას აზრით, ნიცშეს იდეა სამყაროს დიონისური ესთეტიკური გზით გადარჩენის შესახებ კრახით სრულდება, რის გამოც მოდერნის ეპოქაში სრული ონტო-ეგზისტენციური კრიზისი, უღმერთობა და უიმედობა ისადგურებს.

ეროვნული გადარჩენისა ქართველთა უფლებრივი საკუთრებიდან

ამას წინათ, საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ ყველაშვილმა,** პარლამენტში გამოსვლისას, განაცხადა, – „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს დემოგრაფიული საკითხები, ჩვენ ისედაც პატარა ერი ვართ და არაერთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს ოჯახების გაძლიერებაზე, იმ პირობების უზრუნველყოფაზე, რომელსაც პოზიტიური ეფექტი ექნება დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. მიმაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ჩვენი მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. გვჭირდება საფუძვლიანი კვლევა და შესაბამისი სტრატეგიის განსაზღვრა უწყებათაშორისი კოორდინაციის საფუძველზე. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საპატრიარქოს როლი კვლავ უდიდესი იქნება.“

მეტად საგულისხმო სიტყვაა. თუ ქართველი ხარ და საქართველო გიყვარს, უნდა გაითავისო ერის გამრავლების პრობლემა...

ჩვენს გაზეთსა და ,,საქართველოს რესპუბლიკაში“ ხშირად ვაქვეყნებ წერილებს და სტატისტიკურ მონაცემებს ქვეყანაში და, კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებულ დემოგრაფიულ პრობლემებზე. ვეძებ მისი გადაწყვეტის გზებს, თუმცა, სამწუხაროდ, ვითარება, წლიდან წლამდე, სულ უფრო და უფრო საგანგაშო ხდება.

გასული წლის ბოლოს საქართველოში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ნეტავ არ გავცნობოდი აღწერის წინასწარ მონაცემებს! ნეტავ შეცდომა იყოს ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც გაზეთების ფურცლებზე და სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა. თუ ამ **30-35** წლის წინ საქართველოს მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის **0,0625** პროცენტს შეადგენდა, ეს პროცენტი ახლა მინიმუმიც აღარაა.

სამჯერ თუ ოთხჯერ გადავამოწმე სტატისტიკის წინასწარი მონაცემები. **2024** წლის აღწერით საქართველოში **1 340 000** ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. ეს მაშინ, როცა საქართველოში საცხოვრებლად შემოსახლებულთა გამრავლება უკვე თვალსაჩინოა! ხელთ მაქვს ცნობილი ქართველი დემოგრაფის, პროფესორ **ანზორ თოთაძის** მიერ საქართველოში დემოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალები. ბოლო წლებში **2** მილიონზე მეტი ეთნიკური ქართველია ქვეყნის გარეთ გასული, აქედან **1 200** ათასი რუსეთშია, **500** ათასი – თურქეთსა და საბერძნეთში, დანარჩენი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია მოდებული.

2021 წელს საქართველოში **3** მილიონ **703** ათასი ადამიანი ცხოვრობდა, **2022** წელს მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი **40** ათასით გაიზარდა. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ნამატი ქართველებზე არ მოდის. ამ **40** ათას ახალშობილში მხოლოდ ყოველი მესამე იყო ქართველი, დანარჩენი – საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები და სხვა ეროვნების ადამიანები არიან. ამ ფაქტს ადასტურებს ანალიტიკოსი, პროფესორი, **დემურ გიორხელიძეც.**

ცნობილი მწერალი **ოთარ ჭილაძე** წერს: „**ებრაელები 25 საუკუნე საკუთარი სახელმწიფოს გარეშე იყვნენ მიმობნეულნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. როგორც კი ისრაელის სახელმწიფო შექმნეს, ებრაელთა 80-90 პროცენტი მშობლიური სახელმწიფოს ასაშენებლად დაირაზმა და ისრაელში ჩავიდა. უმოკლეს დროში დიდებული სახელმწიფო შექმნეს და დამსახურებული ავტორიტეტითაც სარგებლობენ მსოფლიოში, მათ სიტყვას დღეს**

დიდი ფასი აქვს და მსოფლიო უსმენს.

ჩვენ, როგორც კი თავისუფლება მოვიპოვეთ, საქართველო ქართველებისგან დაიცალა, მშობლიური სახლ-კარი მიატოვეს და საშოვარზე საზღვარგარეთის ქვეყნებში გაიფანტნენ, ზოგი მეეზოვედ, ზოგიც მოხუცთა და ავადმყოფთა მომვლელებად, ზოგიც ღირსებაშემლახავ, მეტწილად, აუტანელ, დამამცირებელ სამუშაოს ასრულებს. იმ პროფილის სამუშაოს, რასაც იქ ასრულებენ, ჩვენ სამშობლოში უკადრისობენ და თავზე მამალ ბუზსაც არ ისვამენ. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ბევრი ემიგრანტი კიდეც მათხოვრობს და ქურდობს. ევროპის სახელმწიფოების ციხეები სავსეა თურმე ქართველებით, თითქმის ყოველკვირა არაერთი ინფორმაცია ქვეყნდება მათი ,,საგმირო საქმეების“ შესახებ, ბევრი პოლიტიკურ დევნილებად დადგნენ აღრიცხვაზე.“

სამწუხაროდ, უცხოეთში გადახვეწილებს საქართველოსადმი „დიდი ნოსტალგია“ აქვთ, – თუ ვინმე გარდაიცვლება, ანდერძს ტოვებენ – საზღვარგარეთ არ დამმარხოთ, საქართველოში გადამასვენეთო! მათთვის საქართველო დღეს ერთ დიდ სასაფლაოდაა გადაქცეული.

მინდა ვიკითხო, ოცი-ოცდაათი წელი რომ საზღვარგარეთ მუშაობენ, რით ვერ დააგროვეს საქართველოში სახლის ყიდვის თუ შვილის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის ფული? სამწუხაროდ, ჩვენი ემიგრანტების აშკარა ექსპლოატაცია ხდება იმითაც, რომ ევროპული სახელმწიფოები, საკუთარ მოსახლეობასთან შედარებით, მათ **2-3-ჯერ** ნაკლებ გასამრჯელოს უხდიან!

საინტერესოა, ვინ უნდა ააშენოს სისხლით მოპოვებული დამოუკიდებელი საქართველო, სადაც **30-35** წელია აქციებისა და მიტინგების გარეშე ერთი დღეც არ გვიცხოვრია?! ერთმანეთის შუღლსა და დაპირისპირებაში კი გადის ძვირფასი წლები!.. ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე უწევს სიარული, რათა, როგორმე, ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნოს და გარეშე და შიდა მტრების არნახულ ზეწოლას გაუძლოს! ოპოზიციას არასდროს არც ჩატარებული არჩევნების შედეგები აწყობს და არც პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, უკეთესს კი ვერაფერს გვთავაზობენ...

საქსტატის მონაცემებით **2023** წელს საქართველოდან **120** ათასი ადამიანი წავიდა ემიგრაციაში. იმავე წელს **26** ათასი ემიგრანტი შემოვიდა და მუდმივ საცხოვრებლად დარჩა!

საგანგაშო ვითარებაა!!! ქართველები მშობლიურ სამშობლოს ტოვებენ და უცხოეთში მიდიან სამუშაოდ, უცხოტომელები კი საქართველოში ჩამოდიან საცხოვრებლად და ისე ბედნიერად გრძნობენ თავს, რომ თავიანთ ქვეყანაში დარჩენილ თანამოძმეებსაც ეპატიჟებიან ჩამოსასვლელად!!!

ქართველებს სტუმართმოყვარეობას და ტოლერანტობას ვერავინ გვასწავლის, ამის დასტურად დღეს ჰარმონიულად, გვერდიგვერდ დგას თბილისში სიონი, მეჩეთი და სინაგოგა.

იცით თუ არა, რომ ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში **2023** წელს **დაიბადა 40 214 ბავშვი** და **გარდაიცვალა 42 756 ადამიანი?!**

ახლა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიულ სტატისტიკას გაგაცნობთ და დასკვნა თავად გამოიტანე, ძვირფასო მკითხველო.

1989 წლის აღწერით **ბორჯომის რაიონში 39,5 ათასი ადამიანი ცხოვრობდა,** მათ შორის **ქართველი 65 პროცენტი იყო.** 2024 წლის აღწერის მონაცემებით, სულ ბორჯომის მუნიციპალიტეტში, **24,5 ათასი ადამიანი ცხოვრობს,** მათ შორის ქალაქ **ბორჯომში 11,2 ათასი;** ახალდაბა, ბაკურიანი, წაღვერი, ანდეზიტი, საქალაქო დასახლებებია და აქ **4,2 ათასი ადამიანი** ცხოვრობს, სასოფლო დასახლებებში – **9,2 ათასი.** 2023 წელს **იქორწინა 177 წყვილმა, განქორწინდა – 83** (თითქმის ნახევარი), ამავე პერიოდში **დაიბადა 217 ბავშვი, გარდაიცვალა 361** ადამიანი. ბორჯომში ყოველი მესამე-მეოთხე ბინა დაკეტილია და მეპატრონე ემიგრაციაშია წასული.

იცით თუ არა, რომ საქართველოში, ბოლო მონაცემებით, ყველაზე მრავალრიცხოვანი **ქართული გვარი ბერიძეა – (14 963 მამაკაცი),** მეორე გვარია **მამედოვი – (14 482** მამაკაცი), მესამე **კაპანაძე – 9538** და მეოთხე – **ალიევი – 9298;** ქალებში პირველ **ადგილზეა ბერიძე – 15 059** და **მეორე მამედოვი - 13 487.** როგორ მიგაჩნიათ, ნორმალურია ეს სტატისტიკა? კი, ბატონო, ყველა საქართველოს შვილია, მაგრამ მისი ეთნიკური შემადგენლობა სიმწრის ოფლს ხომ არ გასხამთ?!

ამას წინათ გამოქვეყნებულ კიდევ ერთ საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს გაგაცნობთ: **1991** წელს საქართველოში **5,453** მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. **2024** წელს მისი **მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა** და **3,7** მილიონი დარჩა. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს თუ შევადარებთ: – **აზერბაიჯანის დემოგრაფიული მონაცემები ამავე წლებში 88,89 პროცენტით გაიზარდა, ტაჯიკეთის - 43,06 პროცენტით, ყაზახეთის - 23,17 პროცენტით, უზბეკეთის - 79,43 პროცენტით, თურქმენეთის - 70,27 პროცენტით, ყირგიზეთის - 65,95 პროცენტით.** ასევე ჩვენზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს სომხეთს, ლიტვას და რუსეთს, ხოლო საქართველოზე უარესი – უკრაინას, მოლდოვას და ლატვიას.

თუ ასეთი დემოგრაფიული სტატისტიკა გვექნება, ერთ დღესაც ჩვენთან მცხოვრები სხვა ეთნოსის წარმომადგენლები გვეტყვიან, – უმრავესობაში ჩვენ ვარ, უმცირესობაში თქვენო და, მერე რას იტყვით? ომს ვიწყებთ თუ როგორც ერი ვამთავრებთ ჩვენს არსებობას?

გაეროს წინასწარი მონაცემებით 2050 წელს ქართველი ეთნოსი 30 პროცენტით შემცირდება!

ვინ იცის, მერამდენედ ვაქვეყნებ ამ სავალალო სტატისტიკას, მაგრამ ვისაც ევალება ამ მდგომარეობის ოდნავ მაინც გაუმჯობესება, დუმს, მაგრამ, სადამდე?!

ძალიან განვიცდი ქართველთა ასეთ გულარხეინობას, არადა, საქართველოს დიდი გულშემატკივარი ვარ! ნუთუ ის მაინც არ შეგვიძლია, რომ შეიზღუდოს ემიგრანთა შემოდინება, რომლებსაც დიდი ხანია თვალი უჭირავთ ჩვენ მიწა-წყალზე. ამ თემასთან დაკავშირებით დასაწერი და სათქმელი ბევრია, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ.

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“
რედაქტორი

მესხეთს

ისტორიულად ნაქებო
მესხეთო, ტფურფა მხარეო,
შოთა რუსთველის მშობელო
გამოიღვიძე მალეო.

შოთას სიტყვები ესლაც ჭქონს:
მესხეთო, გაიხარეო...
სიმართლის მზემა ანათოს,
მოჭფინოს ჩვენი არეო.

თამარ მეფისა ნაშენი
ციხე აქ ბლომად დგანაო,
ის მოწმობს ჩვენსა წარსულსა,
დედამ რომ გვითხრა ნანაო.

ხელს გვიწვდის
დედა-სამშობლო:
– ჩემო სულიკო ნენაო,
მოდი და გულში ჩამიკარ,
არ შეგეყაროს სნებაო.

ყორნებს კი ლახვრათ ესობათ
დედის ეს ტკბილი სიტყვები,
და ყოველ ღონეს ხმარობენ
შევიქმნეთ კვლავაც მონები.

დამბრწიან ყოველ სოფელში,
ფვიცნი, მოქრთამფლები,
მტრებს გვერდში ამოდგომიან,
ჩაფუჯიბავენ ფფულები.

ოჯახს გვინგრევენ, სამშობლოს
განადგურებას ლამობენ,
მტერები ფერხულსა ფვლიან,
ჩვენი წვალებით ხარობენ.

განა არ გვეყო ცრემლები,
განა არ კმარა გოდება?
რომ დღესაც არ გვასვენებენ,
ავსული აღარ გვშორდება.

ისტორიულად ნაქებო,
მესხეთო, ტფურფა მხარეო,
შოთა რუსთველის სამშობლოვ
გამოიღვიძე მალეო.

ხასან თხილაიშვილი,
„სამუსლიმანო საქართველო,“
1920 წ. N375

„ვიარე ისე, როგორც ქოცს შეეფერება“

14 მარტს ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ცნობილი ქართველი პოეტის, მხატვრისა და ჟურნალისტის – ალექსანდრე (შურა) ტაბატაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო „ვიარე ისე, როგორც პოეტს შეეფერება.“

ღონისძიება, რომელსაც ალექსანდრე ტაბატაძის პოეზიის თაყვანისმცემლები, ქართული პროზისა და პოეზიის მოყვარულები, პედაგოგები, სამეცნიერო წრის წარმოამადგენლები, ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანამშრომლები, პოეტის მეგობრები და ნათესავები ესწრებოდნენ, მისასალმებელი სიტყვით გახსნა ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერმა ლილი აჩელაშვილმა.

ლიტერატურული საღამოს ძირითად ნაწილში დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგნენ ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომლები ნაირა გოგოლაძე, დიანა ჭყოიძე, მარინა ბერიძე და ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები, სტუდენტები და სკოლების მაღალი კლასის მოსწავლეები: მარიამ აღოშაშვილი, მარიამ გურეშიძე და გიორგი კოჩეტოვი, რომლებმაც პოეტის მოკლე ბიოგრაფიული ცნობების და სახასიათო ნაწარმოებების მსმენელთათვის გაცნობის შემდეგ, საკმაოდ საინტერესოდ და პროფესიული ოსტატობით წაიკითხეს პოეტის ლექსები.

შემდეგ აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოვიდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი ავთანდილ ბერიძე, რომელმაც, თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს და მონაწილეებს აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებისათვის. ასევე ხაზგასმით აღნიშნა ქართული ლექსის, ზოგადად პოეზიის დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე. მანვე აღნიშნა, რომ ალექსანდრე ტაბატაძის პოეზიამ დროს გაუძლო და იგი მომავალი თაობების საყვარელ პოეტად დარჩება.

ალექსანდრე ტაბატაძის ერთ-ერთი ლექსის – „ბარათი გოკიის ტყეში მოჩუხჩუხე წყაროს“ საპასუხოდ პოეტის თანასოფლელმა და პოეტმა ელვარდ ზაზაძემ წაიკითხა პოეტის რჩეულ პოეტურ კრებულზე მინაწერი საკუთარი ლექსები: „ბარათი გოკიის ტყეში მოჩუხჩუხე წყაროსაგან“ და „საუბარი გოკიის ტყეში მოჩუხჩუხე წყაროსთან“. გაიხსენა პოეტთან შეხვედრების რამდენიმე ეპიზოდი სოფელ აგარაში, პოეტის მამისეულ ოჯახში, სოფ. რუსთავში „შოთაობაზე“ და თბილისში – მწერალთა კავშირში.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ნატო ყრუაშვილმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნება თუ ხშირად მოეწყობა მსგავსი ლიტერატურული საღამოები, რომელსაც, მესხი პოეტების უკეთ გაცნობის მიზნით, უფრო მეტი მოსწავლე-ახალგაზრდობა დაესწრება.

პოეტის ცხოვრებიდან საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს მისმა თანამედროვეებმა და ახლობლებმა შალვა ჯინჭველაძემ, ცეზარ გოგოლაძემ, თამაზ მელიქიძემ.

ლიტერატურული საღამოს ორგანიზატორებს და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა მერიის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა ქეთევან მეშველაძემ და კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა გიორგი ჟუჟუნაძემ, სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ირმა მერაბიშვილმა.

დასასრულს პოეტის ძმამ შალვა ტაბატაძემ გულითადი მადლობა გადაუხადა ლიტერატურული საღამოს ორგანიზატორებს და მონაწილეებს, ამასთან ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ცნობილ ქართველ მწერალთა და პოეტთა ავტოგრაფებით დამშვენებული, უკვე რელიქვიად ქცეული წიგნი – „ქართული პოეზიის ანთოლოგია.“

ელვარდ ზაზაძე

თარგმანები

ჰარუთიუნ ხუდანიანი

ჰარუთიუნ ხუდანიანი ცნობილი სომეხი პოეტი, მთარგმნელი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე და „სომხეთის ისტორიკოსთა ასოციაციის“ წევრია. მას ნათარგმნი აქვს ორ ათეულამდე წიგნი და ბუკლეტი (ძირითადად ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის). მუშაობს სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში. არის ათამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა აკადემიურ გამომცემლობებში, სადაც კორექტირებასა და რედაქტირებას უკეთებდა ინგლისურენოვან ტექსტებს ჟურნალებისთვის. ჰარუთიუნ ხუდანიანი საქართველოს და ქართველი ხალხის გულწრფელი და ერთგული მეგობარია. მას ბევრი გულითადი მეგობარი ჰყავს ქართულ ინტელექტუალურ წრეებში. იგი მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობს სომხეთში ქართულ სათვისტომო „ივერიასთან“, რის შედეგადაც გასულ წელს გამოიცა საკმაოდ სქელტანიანი წიგნი „ქართველები სომხეთში“.

ქვემოთ ვთავაზობთ მის ორ ლექსს, რომლებიც ქართულად პირველად ითარგმნა სომხეთისა და საქართველოს მწერალთა კავშირების წევრის, პოეტისა და მთარგმნელის ნინო სპანდერაშვილის მიერ.

მიყვარდი

მიყვარდი ისე უმწიკვლო გრძნობით,
მხურვალებით რომ, მზესავით
მწვავდა,
მარადისობით ავსებდა სულს და
ცაში აფრენის უდავოდ მწამდა.

შენ კი გიყვარდი ეჭვებით ტანჯულს,
თვალებანთებულს, თრთოლვით
და ვნებით,
რასაც მაგ გულის მარადის მპყრობელს
მამცნობდი ხანჯლადქცეული მზერით.

ბევრჯერ დამიცდა ფეხი სავალზე,
თვით ჯოჯოხეთის ფსკერზე დავეცი,
დავთმე სიამე ამქვეყნიური,
რომ შენი სუნთქვით მეგრძნო ალერსი.

დამნაშავე ვარ, გზას ავცდი ბევრჯერ,
ცხოვრების მწარე ბანგმა დამათრო,
მოდი სასმისი დავცალოთ ერთად,
იქნებ პირველმა ცეკვამ აგვანთოს..

ფეხი დამიცდა, დავეცი მწარედ,
თუმც წამოდგომის ძალა კვლავ ვპოვე.
ამ საწუთროში მეც სხვათა მსგავსად
მრავალჯერ შევცდი, მრავალჯერ
ვცოდე.

თუ ასეთია ცხოვრების წესი,
რაღა აზრი აქვს რა განცდა მქონდა,
ვის თვალთა ეშხის მონად ვიქეცი,
ვის უნაზეს სულს ვუძღვენი ოდა.

დღეს სულ ერთია ამ გულის სითბომ
რამდენის გული გააჩირაღდნა,
გრძობებში რამდენ თავმოტყუებულს
უბრალ შორს ყოფნა ჩემგან
წილად ხვდა.

შენ ერთადერთი ხარ ჩემი აწმყო,
ამ მზისქვეშეთში მხოლოდ შენ მწამხარ,
რა ბედენაა ვინ მსურდა უნინ,
თუ უკანასკნელ ბედ-იღბლად მყავხარ!

რა ბედენაა

რა ბედენაა უწინ სად ვიყავ,
შენამდე ბედმა როგორ იავა,
ბევრჯერ დამწვარს და
ფერფლიდან აღმდგარს,
თავს რა გრიგალმა გადამიარა.

ვერ ჩამიყოლა ზღვათა მორევმა,
ტალღებთან ომში წლები გავიდა,
ბრძოლით, ჭიდილით
ძალაგამოცლილს,
ხშირად სტიქიის ძალა მჯაბნიდა.

ჰარუთიუნ ხუდანიანი,
სომხურიდან თარგმნა
ნინო სპანდერაშვილმა

მინიატურა

დამშვიდობება

თამარ გლურჯიძე



სამუდამოდ ტოვებდა აქაურობას. გულდაწყვეტილი ალაგებდა ჩანთას, თან ეშინოდა, ნერვიულობის გამო რაიმე მნიშვნელოვანი და აუცილებელი არ დარჩენოდა. ახლა რომ გეკითხათ, ვერც გეტყოდათ, რასთან დაშორება სტკენდა ყველაზე მეტად გულს. ერთადერთი, რაც აკვირვებდა, ის იყო, რომ ერთი და იგივე ნივთი ხან უმნიშვნელოვანესად ეჩვენებოდა, ხან სრულიად უმნიშვნელოდ, თუმცა ახლა იმაზე ფიქრის დრო არ იყო, ეს რანაირად შეიძლებოდა მომხდარიყო. ჩანთის შუა ლაგებაში თავი გამოიჭირა, რომ შიგადაშიგ ღრმად შეისუნთქავდა ხოლმე ჰაერს, აქაურობის სურნელს აგროვებდა, იქ, სადაც მიდიოდა, ცოტა ხანი მაინც რომ ეკმარა და სული არ შეხუთვოდა. ყველაფერს, რასაც ეხებოდა, ამ შეხებით ემშვიდობებოდა, თან, თითქოს, უნდოდა თავისი სითბოც დაეტოვებინა ზედ. ახლა ვეღარ გებულობდა, ამდენი ნივთი რაში სჭირდებოდა, თუმცა, თავის დროზე, სულ ეჩვენებოდა, რომ არაფერი ჰქონდა საკმარისი. ყველაზე მეტად უკმაყოფილების ამ გრძნობის რცხვენოდა. მაშინ, ახალგაზრდობაში, სახლი, სამყარო, სადაც ყველასთვის ყველაფერია, თუ მისწვდები და აიღებ... ჰყავდა მეგობრები, ახლობლები, ვინც უყვარდა, რა არ ჰყოფნიდა?!

ახლა? რა აქვს! გააცია. არა, ამაზე აღარ უნდა იფიქროს! უცებ რატომღაც მოუნდა სარკეში ჩახედვა. წამოდგა. კედელზე დაკიდებულ უზარმაზარ სარკეს მიუახლოვდა და გაშეშდა. მხოლოდ თვალებს ამოძრავებდა და ამ გადაღლილი, დაღარული, ჩაშავებული, ჩამქრალი თვალებით ისე სწავლობდა სარკეში თავის თავს, თითქოს პირველად ენახოს. ამ სამყაროში მცხოვრები საკუთარი თავიც აქაური სურნელივით უნდა დაემახსოვრებინა. მერე, უცებ, პატარა ბავშვივით დასწყდა გული იმაზე, რომ ოთახი, რომლის კედლებიც მისი ემოციებით იყო გაჯერებული, არანაირად არ გამოხატავდა გულისტკივილს მასთან განშორების გამო.

საათს დახედა. რამდენიმე წუთიღა დარჩენოდა. უცებ, თვითონაც ვერ მიხვდა, რა დაემართა, ფეხზე მყარად დადგა, წელში გაიმართა, თვალები დახუჭა, ხელები გაშალა, თავი ოდნავ მაღლა ასწია და სცადა წუთით მაინც სრულად ათქვეფილიყო ოთახის სივრცეში, რომელსაც ბოლომდე მაინც ვერაფრით თმობდა... დინჯად გაიხურა სახლის კარი...

ტაქსიში ჩაჯდა თუ არა, სხვა ადამიანად გადაიქცა. ეს სხვა ადამიანი ისე უემოციოდ უყურებდა გამვლელებს, როგორც ყოველდღე ვუყურებთ ჩვენც, ყველა დანარჩენი. უსიცოცხლობამ დაისადგურა მის გულში და გონებაში. დადგა უწარსულო, უმომავლო გაურკვევლობა, სიცარიელე, მის არსებაში და სხვა არაფერი...

მოხუცთა თავშესაფრის კარი მოღიმარმა ქალბატონმა გაუღო, ჩანთა გამოართვა და შეიპატიჟა. ამ ღიმილმა სასიამოვნოდ შეაფერადა მისი ცხოვრების ბოლო ნავსაყუდელი, რომლისთვისაც, იმედია, დარჩენილი სიცოცხლის ბოლომდე ეყოფოდა გაყიდულ ბინაში აღებული თანხა.

„გამარჯვების მომტანი ომიც კი ბოროტებაა, რომელიც ხალხის სიბრძნით თავიდან უნდა იქნეს აცილებული“.

ოტო ფონ ბისმარკი

წარსულის ფურცლები

ხიზაბავრა, 8 ღვინობისთვეს. წელს ჯავახეთში კარგი მოსავალი მოვიდა ჭირნახულისა, კარგი გამოსავალიცა აქვს. ადრე, სულ უწინ, ქერი მოდიოდა ბლომად; სომხები რომ გადმოსახლდნენ და გამრავლდნენ ყოველგან, ჰაერი გატყდა და დიკის მოსავალიც გამრავლდა; მიტომ მესხები ჯავახელთ „ქერ-დიკას“ ეძახიან. ახლა კი ეგრედ გაზომიერდა ჰაერი, რომ იგივე ხორბალ-დოლიც მოჰყავთ უხვად! ერთს სომრის ნათესს ათი სომარი და უფრო მეტი გამოდისო!

რაც უხვი და მეტი ჭირნახული მოვიდეს, ისეთს უთაურ, ოხერ-ტიალ დროებაში შთავცვივდით, რომ ჭირნახულს გაეფების პირი არა აქვს. ერთ ადგილს თუ უხვი მოსავალი მოდის, მეორე, მესამე და მეოთხე მხარენი უმოსავლიანობისაგან შეწუხებულნი არიან, შეშინებულნი თვალ-დამშეულნი. არ იციან, თუ რით რა წამალი დაადვან თავიანთ სიღატაკეს.

ყარსის მცხოვრები მაჰმადიანების დიდი ნაწილი გარდასახლდა ოსმალეთში, დანარჩენებიც დარჩნენ შეშლილნი, სწორედ ვერც მოხნეს-მოთესეს და ვერც რიგიან ყოფა-ცხოვრებას დაადგნენ. ასრე უნდა ვიფიქროთ მეორე მხარეებზედაც, ჩილდირია, არტაანია თუ სხვა მხარენი!

ერთს სახლში ჭირიანობის დროს რძალ-დედამთილი დაშთნენ: რძალმა რომ მუშაობას ხელი მიჰყო წლის სარჩოს შემოსატანად, დედამთილმა უთხრა: შვილო, ტყუილად თავს რად იწუხებ? მე ამ ჩემს დიდს ნაღვლისგან ვეღარ ვიცოცხლებ, უთუოდ მოვკვდები, შენც ახალი რძალი ხარ თვალნაჩენი, არა ვინ დაგტოვებს აგრე ქვრივად, ვინც არის გითხოვს, მე მოვკვდები, შენ გათხოვდები, გარჯა და სარჩო რისთვის გვინდაო?

არც ბებერი მოკვდა, არც რძალი გათხოვდა და ორნივე მშიერნი დარჩნენ! ასრე მოუვიდათ ჩვენს ახლადშემოერთებულ მეზობელ-მოძმეთა და რითიღა მოხდება ჭირნახულის გაეფება?..

ჯავახეთში ბევრგან კალო შეიბა. მთის ძირებში ზოგან ახლა ეპირებიან, მაგრამ ბორჯომიდგან ჯავახეთის ახალქალაქზედ გაყვანილმა ახალმა გზამ საქმე გააჭირვა; თითო სოფლიდგან 40-ცობით-სამოცობით და უფრო მეტი მუშის გაყვანით გლეხ-კაცს აღარ შერჩა ილლაჯი. გამკითხავი და შემბრალებელი არავინ არის. ასეთი უსინდისოდ მოპყრობა, ტაცვა-გლეჯა ხდება ადმინისტრაციის დადგენილ მოხელეებიდგან, რომ კაცი გაოცდება. მერმე იმ ნაირი საწყალი ხალხი არის, რომ ენა აქვსთ, პირი არა აქვსთ, პირი აქვსთ ენა და გამგონი არავინ უჩნდებათ. რამდენი სიცივეებისაგან დასნეულებული ღარიბ-ღატაკი ხალხი ლოგინში ვარდება და ბევრიც საუკუნოდ ეთხოვება ამ წუთის სოფელს? ადგილობრივ ადმინისტრაციას კი ეს გაჭირვებული გარემოებანი არ ენაღვლება, ოღონც თავიანთზედ მონდობილი საქმე მაღალ მფლობელობიდგან მალე თავს გაიტანენ, თავიანთ სახელი გაიკეთონ და გლეხ-კაცს ჯანიმც გავარდნია!.. ეს ერთი გაჭირვებაა?

მეორე გაჭირვება მავალ გლახაკ გლეხთა ეს გახლავსთ: გავლილ წლის პურ-ტკბილობითა გაიყიდნენ, აღარც ხარ-ძროხა დარჩათ და აღარც ღონე-შეძლება. ბევრმა თავისი მიწა სახნავი ნახევარზე მეტი მეზობელს გარდასცა, ბევრსაც ჭირნახულის ნახევარი მოსავალი მეზობლის ვალებში არც კი აუხდება. ამისთანებს ჯერ სწორედ არ გაულეწიათ, ყოველ დღე ფოდრაჯიკებითგან შეჩენილნი პირნი ურია, სომეხი, ბერძნები დადიან და ახლავე აწვენენ ფულებსა, 32 მანეთად პურს ურიგდებიან და 20 სომარ ქერსა. ეს სანყლებიც გაჭირვებისაგან ტყვილდებიან და თავიანთ მომავალს კი აღარ ეძებენ! ამათგან უარეს ჭირს აყენებენ კარის-კარ მაწანწალა ურიები, ბერძნები და ახალქალაქელი სომხები. ამათ ძველს თუ ახალ ვალებს თუ მოურჩნენ, კაი საქმეა!

წელს ხერთვისს და მის ხეობაში ხილნარი კარგი არ იყო: რაც ესხა ცოტა, ისიც ცივ ტაროსებიდგან კარგად არ შემოვიდა; მებაღე ხალხმა ამ ზაფხულობით თავი ძლივ გამოიყვანა თავიანთ ბაღჩებიდგან მოსული ხილით და ვნახოთ ამ ზამთრობას რით დაირჩენენ თავსა. ამათ თუმც კვარშას სახნავი მიწები აქვსთ, მაგრამ ხვნა-თესვას ცივად ეკიდებიან.

საზოგადოდ მაჰმადიანები მეტად გულგრილად უყურებენ გლეხობას და მიწის მუშაობას, თვალი გარედ უჭირავთ, თავიანთ სარჩო ძლივ მოჰყავთ, ისე იქცევიან, თითქოს უცხო, მგზავრნი და შორს სადმე წამსვლელნი იყვნენ! ამათი ცხოვრებაში უკან დაწევა პირველად იქიდგან სჩანს, რომ ადრე სადაც ვენახები ყოფილა თოკს, როკეთს, შვიდრევანტას, ტოლოშს, გელსუნდას, ნაქალაქევს, ასპინძას და ოშორას, სულ გაუუქმებიათ ზარმაცობით, მეტადრე ოშორას, რომ განთქმული იყო იქაური ღვინო და მცხოვრებთ დარბაისლური გალობა თუ სუფრული სამაგალითო იყო. თუმც მაჰმადიანები იყვნენ, მაგრამ უღვინოთ იმათი ლხინი, წვეულება და ქორწილი არ იქმნებოდა თურმე, ახლა, როცა რუსეთის მფლობელობაში შევიდა ჩვენი ქვეყანა, ნელ-ნელა გადაკაფეს ვენახები და მოსპეს მამა-პაპური ჩვეულება! ამ ოშორას ზუბალაანთ გვარის-კაცნი ბევრნი არიან.

გასაკვირველია, რომ სადაც მაჰმადიანები ქრისტიანებთან არეულად სხცოვრობენ, დღე-ღამესავით ირჩევიან; ქრისტიანები ნელ-ნელა მდიდრდებიან, სიცხოველე ეტყობათ ცხოვრებაში და მაჰმადიანები კი სიგლახაკეში მიდიან, ჰყიდიან ყანა-ჭალას, საბადებელს და რა ელევათ ყოველი ღონე-საშვალი, ხელს ჰკიდებენ ავკაცობასა, ცარცვა-მგლეჯელობას და მისთანას, რომელსაც თავიანთ ფანატიკობას ძალით მადლად სთვლიან, სახელად და ვაჟკაცობად. ამ შვიდი წლის წინად ხიზაბავრელ მაჰმადიანებმა, ექვსი ოდე მოსახლე იყვნენ, გაჰყიდეს თავიანთი სახლ-კარი, ყანა, ჭალა, ვენახები, ოჩხეები და გარდასახლდნენ შალოშეთის ბეგის ნაოხარში; მაგრამ სულ ვერ შეეწყვნენ ადგილსა, მიწებში აღებული ფულიც გამოჭამეს და, ამბობენ, ახლა სხვა ადგილს ეძებენ გარდასასახლებლადო. აი ერთი მიზეზი ჩვენი მაჰმადიანების უკან დაწევისა და გაავკაცებისა.

ენკენისთვის დამლევს ჰქონდათ ხიზაბავრელებს სთველი. წლევანდელი ვენახის მოსავალი შარშანდელს ერთიორად სჯობდა, მაგრამ ყურძენს შემოსვლა აკლდა; იმისათვის ადრე მოჰკრიბეს, რომ ზოგიერთ ხელ-ნაკლებულთა საპანლობით უწყეს ყიდვა ჯავახეთში პურზედ და შეძლებულნიც იმათ წაეცილდნენ, რა არის ჩვენც ვისარგებლოთო. აგრეთვე საროელებსაც კარგი ვენახები ჰქონდათ წელს და დადეშელებსაც.

5 ღვინობისთვეს პანაშვიდი იყო განსვენებული ბროსსეს სულის სათვის ხიზაბავრის კათოლიკეთ ეკკლესიაში, სადაც შეკრებილიყო სამი სოფლის ერი ხიზაბავრისა, ვარგავისა და ბნელისა. კუბო მორთული იყო ტევნებით, სხმული ვაზის ფოთლებით და ყვავილებით. კუბოზედ იდვა ბროსსეს დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“ და ზედ სიმის ფუნჯებიანი გვირგვინი გარემოს მრავალი კელაპტრებით გაბრწყინებული. წირვის შემდგომ მღვდელმა წაიკითხა შესაბამი სიტყვა მიცვალებულის პატივად. დიდი მხურვალება და თანაგრძნობა გამოიჩინა ამ მდაბიო ხალხმა, ქალით კაცამდის ისე გაკრძალულად იყვნენ და მწუხარედ, რომ თითქოს ვინმე თავიანთ გულის დიდი საყვარელი მოჰკდომიანო.

ვინმე მესხი

„დროება“, 1880 წელი, N219

***

ჯავახეთიდამ გვწერენ, რომ ჩვენსკენ სულ 15-მდე სოფელია ქართველებით დასახლებული და ოთხი საერო სკოლა გვაქვს გამართული: ქილდისა, ბარალეთისა, ხიზაბავრისა და ხერთვისისაო. ხერთვისში ნახევარი მცხოვრებლებისა ქართველი მაჰმადიანები არიან, მაგრამ ისინიც აძლევენ თავიანთ შვილებს სკოლაშიო. სამწუხაროდ, გვწერს კორრესპონდენტი, ქართული წიგნები ნაკლებადა გვაქვს აქეთაო. ერთად-ერთი წიგნი, რომელიც მოიპოვება სკოლებში ჩვენს ბედობაზედ, არის „დედა-ენაო.“ მაგრამ მარტო „დედა-ენა“ საკმარისი არ არისო. სხვა წიგნებს-კი არც ფასით და არც მუქთად არავინ არ გვიგზავნის. ამას წინად „დედა-ენაც“ არ იყო ჩვენს სკოლებში და მასწავლებელი ქაღალდზე სწერდა ქართულს ანბანს და ისე ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას.

ამ ზაფხულს აქ გადმოვიდა აქ მღვდლად ნამყოფი მამა გიორგი ასათიანი, რომელიც დღეს წინამძღვარიანთ-კარში არის მღვდლათა და სამღვთო წერილის მასწავლებლადაო და იმან გადმოუტანა შეგირდებს საჩუქრად რამდენიმე ქართული წიგნიო. უნდა გეცქირნათ, რა სიხარბითა და აღტაცებით მიიღეს ეს სასიამოვნო საჩუქარი მოსწავლე ყმაწვილებმა და მაშინ დარწმუნდებით, რა ძრიელია ჯავახეთში სურვილი ქართულის წერა-კითხვის სწავლისა და საზოგადოთ ქართულის წიგნისაო.

ერთხელ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ მოგვაწოდა რამდენიმე წიგნი და დღესაც ვსთხოვთ, ნუ დაგვივიწყებს და ან საჩუქრად ან სწორედ გასასყიდად გამოგვიგზავნოს ქართველ მწერალთა ნაწერები ჩვენის მოზარდის ახალ-გაზდობისათვის, რომელსაც ასეთის სიხარბითა ჰსურს და სწყურიან სწავლა და ქართულის წიგნების კითხვაო. მეტად სასიამოვნოც არის და თან მეტად სამწუხაროც ეს ამბავი. სამწუხაროა იმიტომ, რომ ჩვენ ყურადღებასაც არ ვაქცევთ ამ გარემოებას და არ გვინდა მივეშველოთ და დავუკმაყოფილოთ ხალხს ეს სურვილი. ვისაც ასხმიან ყურნი სმენად, ისმინონ!

„ივერია,“ 1886 წელი, N212

ფოლკლორი

მესხური გამონათქვამები

***

დილით ამდგომ უხაროდეს, გვიან მოსადილესაო.

***

თუ ცა მწყალობს, დედამიწა ვერრას დამაკლებს.

***

უსირცხვილოს თუ არ არცხვენ,
ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების.

***

რა მღვდლის ჯორივით გაჰქირდი?

***

ღმერთო, ბუნებით მდიდარო დიდო,
ჩემებრ იმედო, გთხოვ ყური მიგდო:
ძლეულს უდროოთ სიკვდილისაგან
ამ წუთ სოფელში წილი დამიდო.

***

წვეთი წმინდა მადლისა,
ყველას მოგვმადლებია.
ზოგთა გულში ღვივის ის,
ზოგში ამომშრალია.

***

ვისაც სურს, რომ ფხიზელი თვალით, ცხოვრების სვლას ჩაუკვირდეს – შეისწავლოს, ან არ უნდა გაჩნდეს ქვეყნად, ან უმალვე დაიმარხოს.

***

დავაყარე წისქვილსა,
გამოველი სირცხვილსა.

***

წისქვილი დაგიკარგავს,
ჩახრახს დაეძებო.

***

ჯავახმა კაცმა რა იცის?
სადილს სჭამს, გაგორდებაო,
წინ რო დოქით ღვინო ედგას,
მაინც დო აგონდებაო.

***

ვთქვა? – ხანი მომკლავს,
არა ვთქვა – სისხლი მახრჩობს.

***

ერი ერთს კაცობდეს
სჯულს არ სცხებდეს მღვდელი,
ხალხი ცხვრად არ მიაჩნდეს,
არც თვით იყოს მღვდელი.

***

თუ კაცი კაცად კაცია,
რათ უნდა მას ფული?
თუ კაცი ვირია,
შემოსე ოქროს ჩულით
(მაინც ვირათ დარჩება).

***

სეტყვამ დამასველა,
წვიმისა არ მერიდება.

***

ჯიშით გათხვრილი, ჯიშსვე მიბაძავს.

***

ყვავი რომ ბულბულად იქცეს, ვარდის ღირსება რა იცის.

***

ძალით ჩაგონებული ჭკუა ჭკუა არაა, ადამიანს ბუნებითი ჭკუა უნდა ჰქონდეს.

***

ვთქვა, ბატონი მომკლავს,
არა და სისხლი მომახრჩობს.

***

კბილის ჩიჩქნით მუცელი არ გაძღება.

***

დათვი ტყეს შემოსწყრა, ტყემ არაფერი იცოდა.

ჩაიწერა ნიკო ასათიანმა 1930 -1939 წწ .ახალციხის ეროვნული მუზეუმის ფ.N3102

მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მადლობას უხდის ახალციხელ ბიზნესმენს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, შპს CO-2+-ის დირექტორს

ავთანდილ გელაძეს ფინანსური დახმარებისათვის

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com